

**XXXV**

**რესპუბლიკური დიალექტოლოგიური  
სამეცნიერო სესიის  
მასალები**

2015

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

**XXXV**

**რესპუბლიკური დიალექტოლოგიური  
სამეცნიერო სესიის**

**მ ა ს ა ლ ე ბ ი**

**ბ ა თ უ მ ი**

2015 წლის 23-24 ოქტომბერი

ექვნება ბათუმის შოთა რუსთაველის  
უნივერსიტეტის 80 წლის იუბილეს

თბილისი  
2015

დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია გაიმართება **2015 წლის 23-24 ოქტომბერს ბათუმის** შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბათუმი, ნინოშვილის ქ. № 35)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 5 წუთი

რედაქტორი – **გ. გოგოლაშვილი**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

## **მუშაობის გეგმა**

პლენარული სხდომა, **23** ოქტომბერი, **11** საათი  
თავმჯდომარე პროფ. **გ. გოგოლაშვილი**

**მისალმებები:** პროფ. **მერაბ ხალვაში** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი  
აკად. **ავთანდილ არაბული** – თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

### **მოხსენებები:**

1. მ. ფადავა – კლარჯული კილო, მისი გავრცელების არეალი და ადგილი მომიჯნავე დიალექტებს შორის
2. ი. ჩანტლაძე – ერთი ისტორიული გვარი საქართველოში (ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით)
3. რ. ჭიკაძე – სპეციფიკური ჰიპოტაქსური კონსტრუქციები ჩვენებურების ქართულში
4. ნ. შარაშენიძე – ევიდენციალობის (უნახაობის) კატეგორია ქართული ენის დასავლურ დიალექტებში: ნა- პრეფიქსიანი ფორმების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზისათვის
5. თ. გოგოლაძე – დიალექტის გამოყენების საკითხი პერსონაჟთა მეტყველებაში თარგმნილ მხატვრულ ტექსტებში
6. თ. ლომთაძე – ქართველ ებრაელთა მეტყველების სოციალური ასპექტები

## **I სექცია**

**23 ოქტომბერი, 15 საათი**

თავმჯდომარე აკად. **ა. არაბული**

- გ. გოგოლაშვილი – ძველი ქართული ენის -ავ/-ამ თემისნიშნის ან ზმნათა უწყვეტლის პარადიგმის ვარიაციები თანამედროვე დიალექტებში
- შ. ფუტყარაძე – მართა იერუსალიმელის წერილის ენისათვის
- რ. ხალვაში – ხანთუშეთი და ხანთუშიძეები

- მ. მიქაძე – დიალექტიზმების ადგილისათვის ოტია იოსელიანის თხზულებათა ენაში
- დ. ახვლედიანი – მსაზღვრელ-საზღვრული 30-იანი წლების განხეთ „საბჭოთა აჭარისტანის“ მიხედვით
- მ. ჩოხარაძე, თ. ჩოხარაძე – ქართული დასახლებები გირესუნის პროვინციაში
- მ. კობერიძე – ქართლურისა და აჭარულის ურთიერთმიმართებისათვის წითელუბნის მეტყველებაში
- ე. ფუტყარაძე – ლექსიკური ერთეულები ქუაბაგის ხევის მეტყველებიდან
- მ. ხახუტაიშვილი – ქობულეთური მეტყველების ზოგი ფონეტიკური თავისებურება
- რ. რამიშვილი – ფერეიდნული დიალექტის ზოგიერთი საკითხისათვის
- ნ. ჭოხონელიძე – სართიჭალაში (გარდაბნის რაიონი) დადასტურებული ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები
- ნ. ჯორბენაძე – ინტერნეტენა
- დ. კაკაშვილი – თავთან, გულთან და პირთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და იდიომატური გამოთქმები ქიზიყურში
- მ. ლაბარტყავა – დიალექტურ ფორმათა ნაირსახეობისათვის გლეონიდის პროზაში („ნატვრის ხე“)
- რ. საღინაძე, მ. კიკვაძე – მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები ფაზარის ჰამიდიეში (ყოფა და ენობრივი სიტუაცია)
- შ. გაბესკირია – რუსთაველის მშობლიური კილოს საკითხისათვის

## **24 ოქტომბერი, 10 საათი**

თავმჯდომარე პროფ. **მ. ფაღავა**

- ა. არაბული – შუქ- ლექსემის საკრალური შინაარსისათვის ხევისურულში
- ნ. მაჭავარიანი – ლექსემა „ვასაკას“ წარმომავლობისათვის
- მ. ქაცარავა, ლ. აბზიანიძე – აკა მორჩილაძის ნაწარმოებთა ლექსიკისათვის („რდილი გზაზე“)

- მ. დ ლ ო ნ ტ ი – საღვთისმეტყველო ლექსიკა ქართულ დიალექტებში. 1. ხევს. ხთის იასაული „ანგელოზი“
- ო. რ უ ს ა ძ ე – ზოგიერთი მოსაზრება ქუთაისის ერთ-ერთი უბნის სახელწოდების შესახებ
- ნ. ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი – ენობრივ-დიალექტოლოგიური ძიებანი ფრონეს ხეობიდან
- ნ. ფ ა რ ტ ე ნ ა ძ ე – ზმნურ ფუძეთა მონაცვლეობა მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში
- ნ. ნ ო ღ ა ი დ ე ლ ი – რამდენიმე არქაული ტერმინისათვის აჭარულ დიალექტში
- ნ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი – ერთი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის
- ნ. ც ე ც ხ ლ ა ძ ე – გრამატიკული კატეგორიები სამხრული ზმნური ფრაზეოლოგიზმების მიხედვით
- ნ. ს ა ა კ ა ძ ე – მესაქონლეობის ტერმინები ქვემოქართლელთა მეტყველების მიხედვით
- ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი – ყურს- სიტყვის სემანტიკისათვის
- ნ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი – კახური დიალექტის ზოგიერთი მორფოლოგიური თავისებურება კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მიხედვით
- შ. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე – სოფელ ქართლას (ბორჩხის რაიონი, თურქეთი) მეტყველების თავისებურებანი
- ლ. კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი – ჯზ კორელაციური ოპოზიციისათვის თუშურსა და ქიზიყურში
- ნ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე – ვერბალიზაციის შემთხვევები ქართული ენის დიალექტებში

## I სექცია

**23 ოქტომბერი, 15 საათი**

თავმჯდომარე აკადემიის წევრ-კორესპოდენტი. **ვ. შენგელია**

- ვ. ა ხ ა ლ ა ი ა – თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობებიდან
- ე. გ ა ზ დ ე ლ ი ა ნ ი – მსაზღვრელ-საზღვრული სვანური ენის ლაშხურ და ლენტეხურ დიალექტებში

- მ. ჩ უ ხ უ ა – მასალები ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის
- ც. ნ ა რ ა კ ი ძ ე – ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი ჩვენებურების ქართულში
- მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი – მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკური გააზრებისათვის სვანურში
- მ. ბ უ კ ი ა – ქართულიდან ნასესხები რამდენიმე სიტყვისთვის მეგრულში
- შ. გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა – რუსთაველის მშობლიური კილოს საკითხისათვის
- ნ. ფ ო ნ ი ა ვ ა – რწმენა-წარმოდგენების ამსახველი ლექსიკისათვის ლაზურ იდიომებში
- ნ. ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი – ხოკ- ლექსიკური ძირისათვის მცენარეთა ქართველურ სახელებში

## **24 ოქტომბერი, 10 საათი**

თავმჯდომარე პროფ. **ო. ჩანტლაძე**

- ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ც. ჯ ა ნ ჯ ლ ა ვ ა – ფონეტიკურ პროცესთა ტიპოლოგია ქართველურ და ჩერქეზულ ენებსა და დიალექტებში
- ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი – პარონომაზიის სპეციფიკა სვანურ ენაში
- ნ. მ გ ე ლ ა ძ ე, მ. ფ ა ლ ა ვ ა – დევსქელი'ს სემანტიკისათვის
- მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი – სვანურ ელიზიურ სიტყვათა სიმფონია-ლექსიკონის შედგენის პრინციპები
- ო. კ ე კ ე ლ ი ა – ძიებანი აფხაზეთის ტოპონიმიიდან (ბირცხა, დარენი, ფსკალი)
- ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა – ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი სახელები მეგრულ იდიომებში
- ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი – უსრული წინადადებისათვის სვანურში
- მ. ჯ ღ ა რ კ ა ვ ა – ზანურის სემანტიკური თანხვედრები ძველ ქართულთან
- ს. ბ ე რ უ ლ ა ვ ა – თვალისა და გამოხედვის გამომხატველი ლექსიკა მეგრულში
- მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე – ქართული ენა „ჩვენებურთა“ ცნობიერებაში

## შუქ- ლექსების საკრალური შინაარსისათვის ხევისურულში

ხევისურულ დიალექტში თვალშისაცემია „ნათელთან“ და „მნათობთან“ დაკავშირებული ფუძეების უხვი გამოყენება ქალთა სახელების გაფორმებისას:

- მზია, მზექალი/ა, მზექლო, მზევინარი... ზექო/ზექუა;
- ნათელა, ნათია, ნათულა, ნათუა... სანათა;
- შუქია...

შესაძლებელია **შუქი-ა** მხოლოდ ქალის სახელად არ გამოიყენებოდა (შდრ. **მინდ-ი[ა]** და **მინდ-ა**); ერთ-ერთ ლექსში („მარტია შუქიაური“), რომელშიც **შუქიაური-ი** გვარისა თუ მამიშვილობის სახელად ჩანს, გვხვდება „**შუქია**“ სახელის მოულოდნელი გამოყენება:

*„ციხე სტირს შუქიაურთა, უხმობს ქვითკირის კარია.*

*სიკვდილსა შუქიასას იწყენს წყალ-შუის ჯვარია:*

*„ორივ დამექცა ბელელი, დროშას შამიწყდა ზარია, -*

*პატრონ მარტია მამიკვდა, მტერმ შამამართვა თვალია“*

*(ხევს. კ. 532).*

სხვა ლექსში ვინმე შუქიაური ახიელის ციხეში მტერს თოფით ებრძვის (ა. შანიძე ვარაუდობს ამ ორი ლექსის გმირის იდენტობას).

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ „**შუქიაური**“ რჩეული ხმლის ეპითეტია („წელს იბომს **შუქიაურსა**, ბეწვის ოროლა მჭრელია“, - სწორფრ. 181, 29), შეუძლებლად ვედარ მივიჩნევთ, რომ ამ ფუძის გამოყენება მამაკაცის საკუთარ სახელად უშუალოდ „შუქიდან“ მომდინარეობდეს და არა ქალის საკუთარი სახელიდან (შდრ. „**ნათელისძე**“).

ვვარაუდობთ, რომ „შუქის“ გამოყენება აქ ფიზიკური თვისების მეტაფორულ გამოხატვას კი არ გულისხმობს, არამედ მასში უფრო შინაარსეული (არსისეული) მხარეა გამოვლენილი, იგივე - პიროვნული ხიბლი, აურა (შდრ. მნიშვნელობები: „სილამაზე“ და „მშვენიერება“). ასეთი ადამიანი (ჩვეულებისამებრ, ქალი) „**შუქთ უტევს**“ (ანუ „აშუქებს, ბრწყინავს“).



საგულისხმოა, რომ ვაჟკაცის სიკვდილი „შუქის ჩაკრეფად“ არის შეფასებული:

*„ღმერთო, რა დიდი ბრალია სიკვდილი კაის ყმისათ!  
მინდიათ შეღმაიშვილმა შუქი ჩაკრეფა მზისათ.“*

ა. შანიძის განმარტებით: „შექებით იტყვიან: მზე იყო და თავისი შუქი თან ჩაიტანაო“ (თხზ. 1. გვ. 437). (მდრ.: „გიგიათაი აბაი **შუქ დაიკრეფა მზისათ**“- ხევს. პ. 209, 21).

ამ სიტყვის და მასთან დაკავშირებული სოლარისტული (თუ ანიმისტური) წარმოდგენის ღრმა კვალი ჩანს „სილამაზის“ ხალხურ შეფასებაში: თუ ლამაზი „მზიანი“ და „შუქიანი“, სილამაზის მოკლეა „უშუქობა“; არსებობს სინონიმური კომპოზიტი „**უმნო-უმუქო**“, რომელიც, ფიზიკურთან ერთად, შინაგან „შუქს“ უკავშირდება. ასეთ ადამიანზე სხვაგვარად იტყვიან: „**რას შუქისა-ი!**!“ (რაც ნიშნავს: „რას ჰგავს?!“ „რა უმნო!“).

ამავე რაკურსით შესაძლებელია მხოლოდ ფიზიკურ გამოვლინებად არ გავიგოთ თინათინის ვაზირებისეული დახასიათება:

*„**შუქთა** მისთაებრ საქმეცა მისი მზეებრ განაცხადია...“*

## **ვიანორ ახალაია** (გორი)

### **თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობებიდან**

1453 წელს თურქ-ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მოხდა მნიშვნელოვანი გარდატეხა წინა აზიის ხალხთა პოლიტიკურ ცხოვრებაში. მართალია, ლაზების მნიშვნელოვანი ნაწილი მშობლიურ მიწაწყალზე დარჩა, შეინარჩუნა მთლიანობა და ენა, მაგრამ შესუსტდა ურთიერთობა ლაზურსა და მეგრულს შორის, გართულდა კომუნიკაცია ქართულ ენოვან სამყაროსთან, ლაზები თურქულენოვან გარემოცვაში აღმოჩნდნენ. ამას კი არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა მეტყველებაზე.

თურქულის გავლენა ლაზურზე ძირითადად გამოვლინდა ლექსიკური ერთეულებისა და სინტაქსური კალკების სახით. თურ-

ქულიდან არის შემოსული **-ქი** (// **ჩი** ათინურში) „რომ“ კავშირის მნიშვნელობით, **-ეგერ** „თუ“ თურქულ-სპარსულიდანაა ნასესხები კავშირი დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების აღსანიშნავად, **-ჰამა/ამა** მაპირისპირებელი კავშირის ფუნქციით. ბერძნულიდან შემოსული **-ოტი** „რომ“ ათინურ კილოკავში ჩანს. მის პარალელურად სხვა კილოკავში კი **-ქი-** იხმარება:

ჩქუა მუ გინონან **ოტი** (//**ქი**) მოგილ > „რა გინდა კიდევ მე რომ მოგიტანო?“

**ოტი, ქი // ჩი** (ქი > ჩი ქ-ს პალატალიზაციის შედეგია) კავშირებს შეუძლიათ გამოხატონ ქვემდებარული, პირდაპირ დამატებითი, განსაზღვრებითი, შემასმენლური, დროის გარემოებითი, ვითარების, მიზეზის და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები.

ნ. მარი აღნიშნავდა: „ჭანურის სინტაქსის ყველაზე ორიგინალური მოვლენა დამოუკიდებელი კონსტრუქციებია, სახელდობრ, გარემოებით წინადადებათა გამოხატვა კავშირის გარეშე; ეს კი დაფუძნებულია შესაძლებლობაზე, მორფოლოგიურად გამოხატოს ერთსა და იმავე სიტყვაში ერთდროულად მიმართება დროსთან, პირთანაც და ადგილთანაც... სქოლასტიკური გრამატიკის ყველასათვის გასაგებ ენაზე ეს ნიშნავს, რომ ჭანურში ზმნური ფორმები... იბრუნვიან“. არნ. ჩიქობავა: ჭანურში „ბრუნვის დაბოლოებას ხშირად დაერთავს ზმნის ფორმა“.

ჭანურის ის თავისებურება, რაც ზმნის პირიან ფორმებზე ბრუნვის ნიშნისა და თანდებულის (ან ნაწილაკთა) დართვითაა გამოწვეული, არც ქართულისთვის, არც მის დიალექტთათვის არ ყოფილა უცხო. ამდენად, ასეთი წარმოება ქართულში (resp. ქართველურ ენებში) პოტენციურად, ჩანს, არსებობდა.

საკითხავი ისაა, ეს თვით ქართულის ნიადაგზე წარმოჩნდა, თუ სხვა რომელიმე ენის გავლენით. ამ კონტექსტში საინტერესოა ს. ჯიქიას აზრი, ჭანურის ეს შემთხვევები თურქულის კალკიაო. განხილულია მისი შეხედულება ჭანურში დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ჩამოყალიბებაზე...

თურქულში ზმნის ფორმაა დაწყებით ბრუნვაში (თანდებული ითხოვს ამას, ხოლო ჭანურში კი **უკულე (ოკულე, ეკულე)** ზმნისართები, რომლებიც თანდებულის ფუნქციასაც ითვისებენ, თვით შეიცავენ დაწყებითობის გამომხატველ **-ლე** აფიქსს. მაგრამ ჭანურში

მთავარი ისაა, რომ აქ ასეთი ფორმები ზმნის ფუძისაგან არაა ნაწარმოები; მეტიც **-შეუღე** რიგის მაწარმოებლები ჯერ გაფორმდნენ სახელთან (მართავენ სახელს ნათესაობით ბრუნვაში), შემდეგ არიან ზმნის პირიან ფორმებთან გადანაცვლებული. მეგრულში კი **უკული** დასტურდება ოდენ ცალკე მდგომ თანდებულად: ჭიჭე **ხანი-ში** უკული ხოლო ქიდიძახე შხვაქე.

მეგრულში **ხანიში უკული** „ხნის შემდეგ“ ტიპის წარმოებაზე შეჩერებულა... ჭანურში პროცესი ბოლომდეა მართული; მასში ანალიზური წარმოება სინთეტურითაა შეცვლილი. აქ კი, რა თქმა უნდა, თურქულს შეეძლო მოეხდინა გავლენა და, ამდენად მის კალკზეც გვესაუბრა, ის აქ უფრო ენობრივი კატალიზატორის როლში მოგვევლინა: თურქული ენის სტრუქტურამ, შესაძლებელია, დააჩქარა ლაზურში ასეთი ცვლილებები.

## **დი ა ნ ა ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი** (ბათუმი)

### **მსაზღვრელ-საზღვრული 30-იანი წლების გაზეთ „საბჭოთა აჭარისტანის“ მიხედვით**

სინტაქსური თავისებურებებიდან აღსანიშნავია მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების თავისებურებანი. მათ შორის თითქმის არასდროს არაა შეთანხმება ბრუნვაში:

**მოთხოვითი ბრუნვა-დასახელებულ პირებმა**, პასუხი უნდა მოეთხოვოს იმ პირთ ვინც ხელს უშლის ფიზკულტურულ ორგანიზაციის მუშაობას; **ერთპიროვნულ მშრომელმა გლეხებმა გააჩაღეს ჩაის მოსავლის აღება; უმაღლეს სასამართლოს თანამშრომლებმა** ახალი სესხის ობლიგაციას მოაწერეს ხელი;

**ნათესაობითი ბრუნვა** — 1 მაისს გაფიცულიყვნენ **დიდ ფაბრიკა-ქარხნების** უმეტესობის მუშები; ამას წინ ადგილი ჰქონდა მუშფაკის მსმენელების მიერ **კომკავშირულ საშუალო სკოლის** მსმენელების დადევნება; აელვარდა ღიადა **მუქ ტალღებისგან** შემდგარი ცისარტყელა; მინდაძემ ჩაიყოლია **მოფიქრებულ**

**დანაშაულის** ჩასადენად ხორომანსკაიას ნათესავი ქალი მარიამ კახიანის ქალი; აღსანიშნავია **აჭარელ ქალების** დამკვრელოური მუშაობა; მოგვიდოდ ხელი დიდ მუშაობას **სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე**; კოლმეურნეობები ძლიერ სივიწროვეს განიცდიან **დამზადებულ არახისის შესანახ საწყობების უქონლობის გამო**; რაიონის **ზოგიერთ კოლმეურნეობების** გამგეობები იბრძოდნენ იმისთვის, რომ კოლმეურნეთა მასა დაერაზმათ ჩაის კულტურისათვის ბრძოლის საკითხების გარშემო; ამხ. ტაბაკიანი მეტ დროს ანდომებს ზრუნვას თავის პირად საქმეებზე, ვიდრე **თავის მოვალეობის** შესრულებაზე; სამხრეთ ირლანდიის რკინისგზის კომპანია დასთანხმდა **დათხოვილ მუშების** მიღებაზე; თავის-თავად **გასაგებ პირობების** გამო იქ საქმე უკეთესად არის; დაუყონებლივ უნდა იქნას გაშლილი სამხარეო კომიტეტის **ბოლშევიკურ პროგრამის** დამუშავება; საჭიროა ბიურომ იზრუნოს **აღნიშნულ ნაკლის** გამოსწორებაზე;

**მოქმედებითი ბრუნვა** — მიმედ დაშავდა 2 მგზავრი, სხვები მიღებულ ზომებით, გადარჩენ დაღუპვას; აჭარისტანი თავის **ბუნებრივ სიმდიდრით**, შეიძლებოდა გამხდარიყო მიმწოდებელ რაიონად; ცხომელიძემ ისარგებლა **სამსახურეობრივ და საზოგადოებრივ მდგომარეობით**.

გაბატონებულია მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ვულგარული სახეობა.

**სრული შეთანხმება გამონაკლისია:** ცხენოსან ბრიგადას ...უფლება აქვს იამაყოს თავისი **ჩინებული ისტორიული წარსულით**; აკრძალულია **გაუცივებელი გამაგრილებელი სასმელების** გაყიდვა.

როცა რამდენიმე მსაზღვრელია, მეორე შეთანხმებულია საზღვრულთან ბრუნვაში: ჩაის კულტურის განვითარებისათვის **მიცემულ არარეალური გეგმების** შეცვლა, რასაც ადგილი ჰქონდა აჭარისტანში — საუკეთესო დამამტკიცებელია.

ყურადღებას იქცევს მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვში შეთანხმების საკითხიც. სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელ სახელთან საზღვრული მრავლობითში დგას: *მრავალი დამახინჯებები, უამრავი ბუზები, ყველა წევრები, ყველა საბჭოთა მწერლები, ზოგიერთი წარმოებები, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები...*

## **ნ ა რ გ ი ზ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი** (ბათუმი)

### **ერთი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის**

აჭარაში, ისევე როგორც სხვაგან, ხშირად ადგილის სახელწოდებები დავიწყებას ეძლევა. მათი მოპოვება, დაფიქსირება და შენახვა მეტად საშური საქმეა, ვინაიდან სამომავლოდ შესაძლებელია აქამდე არსებული ტოპონიმების გაქრობაც. ასე მაგალითად, აჭარაში დღემდე ცნობილი ტოპონიმი „მწვანე კონცხი“ კარგად დავიწყებული „წყანარი კონცხი“, დღევანდელი „განთიადი“ – „ორპირი“ – იყო (აზიზ ახვლედიანის ცნობით).

ცნობილია, რომ აჭარის ტერიტორიაზე ბევრი ობიექტის სახელწოდება უკავშირდება რუსი ჩინოვნიკების გვარებს. ასე მაგ.: სიბირიაკოვი, პოპოვი, გუბანოვი, სმირნოვი, ლიტვინოვი და სხვა. ამ ტოპონიმთა ქვეშ ჯერ კიდევ მისაკვლევია ძველი ქართული ტოპონიმები.

აჭარის სანაპირო ზოლი, კერძოდ ბათუმი და მისი შემოგარენი, ყოველი დამპყრობლის ხელში განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ამ მხრივ მახინჯაური, საქვეყნოდ განთქმული კურორტი, ყველასათვის მიმზიდველი იყო და მისი ხელში ჩაგდება ყველა დამპყრობელს ერთნაირად სურდა.

მახინჯაურში არსებული რუსულენოვანი ტოპონიმების ადრეული, ძირძველი ქართული სახელწოდებების აღდგენა ჯერ კიდევ შესაძლებელია. ასე მაგალითად, ამჯერად თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ ერთი ტოპონიმის უძველეს გეოგრაფიულ სახელწოდე-

ბაზე. ეს გახლავთ ტოპონიმი „გუბანოვი“, რომლის ძველი სახელწოდებაც ოჯინჯია.

**მაია ბარამიძე** (ბათუმი)

## **ქართული ენა „ჩვენებურთა“ ცნობიერებაში**

თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების – „ჩვენებურების“ ყოფა მეცნიერების სხვადასხვა დარგის აქტუალურ თემად იქცა.

მოხსენებაში გადმოცემულია „ჩვენებურთა“ დამოკიდებულება ქართული ენისადმი, ამ ენით მინიჭებული სიხარული თუ მისი დაკარგვის შიშით გამოწვეული ტკივილი...

მათ აუცილებლობად, სავალდებულოდ მიაჩნიათ თავიანთი წინაპრების ენის ცოდნა: **რატომ არ'ნა იცოდეს გურჯმა მისი ანადილი (=დედაენა)? ჩომა (=პირუტყვი) არი მაქფერი ინსანი (=ადამიანი); ჩუნა ვინცხამ რომე გურჯიჯა არ იცის, იმა ქართულე კაცათ არ ვთლით; ქართულემა მისი ანადილი'ნა იცოდეს; ჩვენი ანადილი გურჯია.** – ასე სწამთ მათ. ამიტომ ანიჭებენ უპირატესობას ქართულს. **„რა ზორი მაქ თურქჩა ვილაპარაკო?“** სიამაყით იხსენებენ თავიანთ ნენეს – 107 წლის ბებიას, რომელიც თურმე **„ისე მოკდა, თურქი ენა არ დეისტავლა, არ იცოდა“.** კმაყოფილებითა და სიამაყით ამბობენ, რომ **„ჩვენ ოჯალში პატიტვანმა, ყუელამ, თეელმა იციან გურჯიჯა, ბალღები ქართულათ ლაპარიკობენ ჩემი“.**

ჩვენებურებმა კარგად იციან თურქეთის რომელ სოფელში ლაპარაკობენ ქართულად, სად არის შენახული წინაპრების ენა, სად აღარ ან კანტიკუნტად ისმის ქართული: **ქართულ ნამცოდნი პარხალ არ იქნებან; ზაქიეთი, დაბა ბითავ (=მთლად) გურჯია... ზემო თერეფში თლათ გურჯიჯა იციან; სინკოეთ ქართული არ იციან; მაჩხატეთი, მანატბა, აგარა... თლათ გურჯულია; ხეწრული ბითევი გურჯია.**

ზოგმა ჩვენებურმა კარგად იცის ქართული ანბანის თავისებურება, მისი უპირატესობა სხვა ხალხის ანბანებთან შედარებით: **ჩუენი ენა, ჩუენი მაზი, ნაწერავი ფენა თემიზი (=სუფთა) რამე არი. ერთ**

ასოს ერთი ფასი აქ. ზოგ ენებში სამი ასოც არი ერთად, ერთი ხმის ბარობაზე. სამი ასო ერთად უნდა მოიდეს, რომე ერთი ხმა ამეილო, ერთი ხმის ფასი ქონდეს. შესანიშნავი დახასიათებაა ქართული ანბანისა. სიამაყით ამბობენ: ქართულ ხალხსა დიდი თაარიჰი (=ისტორია) აქ. დუნიაში თოთხმეტი ალფაბეა და მათში ერთი ჩუენი არი.

საოცარი ენობრივი ალლო აქვთ ჩვენებურებს. კარგად გრძნობენ ენობრივ განსხვავებას ქართულ სოფლებს შორის. შეუცდომლად იციან, სად, რომელ სოფელში როგორი ქართული იციან, რას უწოდებენ სხვადასხვა საგანს.

**ხასანფაშელების ლაპარიკი ცოტა აირია (=ცალკეა). სობა (=ღუმელი) გაანთეო, იტყვიან, ჩუენ ვიტყვით: დაანთე; ისენი ამბობენ ცეხლით, ჩუენ ვიტყვით ცეხლი. მათი ლაპარიკი ცოტა გაწევილია, ამბობენ ისინი სოფელ ხასანფაშის მკვიდრებზე.**

ბევრი საინტერესო ლექსიკური ერთეული თუ გრამატიკული ფორმა, არქაული, სხვა ქართული დიალექტებისათვისაც საერთო თუ განსხვავებული შეუნახავთ ჩვენებურებს. **ძირთული** – ერთსართულიანი, **ჭადი პური** – ხმიადი, **იადიგარი** – სამახსოვრო საჩუქარი, **თავდიდი** – ხელმძღვანელი, უფროსი, **სადილი** – დილის საჭმელი, **ბუჭულა** – პატარა, ჩურჩხელა – „რაც რომ აცმულია ძაფზე, ჩურჩხელა სიტყუა სხუისავით არ ვიცი“.

ყველა ანალოგიური მასალის, შესანიშნავი ანდაზების, ფრაზეოლოგიის შესწავლა მომავალი კვლევის საგანი უნდა გახდეს.

## სოფიკო ბერულავა (თბილისი)

### თვალისა და გამოხედვის გამომხატველი ლექსიკა მეგრულში

მეგრულში მრავალშემადგენლიან სემანტიკურ ველს ქმნის სიტყვები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ გამოიყურება თვალი, როგორია სუბიექტის შეფასება მის მიერ დანახული ობიექტის თვალისა და, ზოგადად, სახის გამომეტყველებისას. სემანტიკური ნიშნების შესაბამისად ისინი პირობითად შეიძლება ორ ქვეჯგუფად დავყოთ:

ა) სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ თვალის ფიზიკურ ნიშან-თვისებებს:

**რიყა//რიყ-ალი – „მლიერ წითელი, ბრიალა“**  
**გვირა//გვირ-ალ-ი – „დიდრონი“**  
**დღვიზა//დღვიზ-ალ-ი – „დაზღვერილი“**  
**პირჭა//პირჭ-ალ-ი – „ფართოდგახელილი“**  
**რჟიმა//რჟიმ-ალ-ი – „თვალეზბრიალა“**

ბ) სიტყვები, რომლებიც მეტაფორულად მიგვანიშნებენ თვალის გარეგნულ გამომეტყველებაზე:

**უბირცხანს „ჭყეტა“ (თვალისა)**  
**უვალუნს „უზრწყინავს“**  
**უვარვალუნს „ატრიალებს თვალებს“ (ეშმაკურად)**  
**უმანუნს „პრაწავს“**

მეგრულში ასევე საინტერესოაა ნაჩვენები სახის გამომეტყველების ამსახველი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას, თუ როგორ გამოიყურება ობიექტი სუბიექტის შეფასებით:

**ბირდინი „გულუზრყვილო, მიამიტი ყურება“**  
**ბირდლინი „ამაყად, ზვიადად იყურება“**  
**ბირჩხინი „ზრწყინვა, კარგად გამოიყურება“**  
**ბიტინი „უაზრო, უდარდელი ყურება“**  
**დღვიზინი „ზღვერა, წყრომით, მუქარით ყურება“**

ლექსიკური სინონიმები გაერთიანებულია რომელიმე ერთი ნიშნის მიხედვით, თითოეულ ლექსემაში ჩანს სუბიექტის გუნება-განწყობილება და ხედვის რავგარობა.

თვალის/სახის გამომეტყველების ამსახველი ლექსიკური ერთეულები ძირითადად ზმნები ან სახელზმნებია, გვხვდება თხზული სახელებიც. თითოეულ ამ სემანტიკურ ჯგუფში შემავალი სიტყვები სტრუქტურული თვალსაზრისითაც განსხვავდებიან, ანუ გვაქვს, ერთი მხრივ, მარტივფუძიანი და ასევე რედუპლიკაციის გზით მიღებული სიტყვები (ფარფალი, ვარვალი, სვისვინი, ცვიცვინი, თქვითქვინი).

მოხსენებაში განხილული იქნება თვალთან დაკავშირებული ლექსემები, რომელთა კვლევა საინტერესოდ გვესახება.



## ქართულიდან ნასესხები რამდენიმე სიტყვისთვის მეგრულში

მეგრულში გვხვდება სალიტერატურო ქართულიდან შეთვისებული სიტყვები, რომლებსაც სემანტიკა ნაწილობრივ, ან სრულად აქვთ შეცვლილი, გარდა ამისა, ცალკეული შესიტყვებები თუ კომპოზიტები ქართულში არ ჩანს.

მეგრული **მერეთმოსლობა / მერეთმუსლობა** ქართული „მეორედ მოსვლისგან“ მომდინარეობს. ქართული სინტაგმა მეგრულში ერთ სიტყვადაა ქცეული, ეო ხმოვანთკომპლექსი გამარტივებულია და აბსტრაქტულობის -ობა სუფიქსითაა გაფორმებული. გარდა მეორედ მოსვლის, წარღვნის მნიშვნელობისა (**მერეთმოსლობა მურცა დო ღვენწიქ თოლეფი წინიფოთუა** „მეორედ მოსვლა მოდისო და ჭიაყელამ თვალები დაითხარაო“), მას „საოცარის“ სემანტიკაც აქვს: **მერეთმოსლობა ამზე** „საოცარი ამბავი“ მეგრულში ნეგატიური კონოტაციის მატარებელი არ არის, მეტიც, **მერეთმოსლობა ცირა** „ძალიან კარგ გოგოს“ ნიშნავს.

მეგრულში ურწმუნო, გულქვა ადამიანის აღმნიშვნელია **უღორონთე (უ-ღორონთ-ე)**, რომელიც ეტიმოლოგიურად „უღმერთოს“ ნიშნავს. მის გვერდით გვხვდება ქართულიდან ნასესხები **უხთო / უხტო** (< ქართ. უღვთო), რომელიც გარდა უღმერთოსი, უტიფარ, თავისებური წესებისა და ნორმების დამრღვევს ნიშნავს. **უხტო კოჩი** მეგრულად „უტიფარი, თავისნათქვამა, უხიაგი კაცია“.

ძალიან ლამაზის, მზეთუნახავის აღსანიშნავად მეგრული იყენებს ზუთხის აღმნიშვნელ **ზინთხუ / ზგნთხუ** სიტყვას. გარდა ამისა, იშვიათად გვხვდება ქართული კომპოზიტის მსგავსად ნაწარმოები **ბჟაშუძირაფუ**, ზედმ. „მზისუნახავი“. უფრო ხშირად გამოიყენება ფონეტიკურად სახეცვლილი საკუთრივ ქართული **ზზისნახე / ზისნახე / ზისინახე / ზისუნახე / ზისგნახე** (ართი **ზზისნახე რე, ცირა** „ერთი მზეთუნახავია, ქალიშვილი“; **ათე ყორზის სუმი ზისნახე გგმახენანა** „ამ კომპში სამი მზეთუნახავი ზისო“).

მეგრული **მითაჟამი** „ძალიან ძველს, შორეულ წარსულს“ აღნიშნავს. მეგრულ ნიადაგზე მას ეტიმოლოგია არ ეძებნება. ვვარაუდობთ, რომ სიტყვა ქართული სინტაგმიდან მომდინარეობს და ამო-

სავალი მითთა ჟამი უნდა იყოს, შესაბამისად, მითაჟამიში, მითაჟამე-რი „ძალიან ძველი, ოდინდელი“ (ათე ამზე მითაჟამიში რე „ეს ამბავი ძალიან ძველია“, მითაჟამერი თირგ ძუ „ძველისძველი თოვლი დევს“).

## **შალვა გაბესკირია** (თბილისი)

### **რუსთაველის მშობლიური კილოს საკითხისათვის**

„ვეფხისტყაოსნის“ დიალექტიზმების კვლევა ფასეულია როგორც გენიოსი პოეტის ენის, ასევე ქართული ენის ისტორიისა და ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის პოემის დიალექტიზმების საკითხზე, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი რამ არის დაწერილი, ამ თემაზე მკვლევართა აზრი დღესაც ორადაა გაყოფილი. მეცნიერთა ერთი ნაწილის თვალსაზრისით, შოთა რუსთაველის მშობლიური კილო მესხურია, სხვები ინგილოურს ანიჭებენ უპირატესობას.

მოხსენებაში აღნიშნული საკითხის გაშუქების კიდეც ერთი ცდაა. გამოყენებული გვაქვს პოემის 1957 წლის გამოცემა.

მოხსენების ავტორის აზრით, რუსთაველის ქმნილების ენობრივი ჩვენებები მესხური დიალექტის სასარგებლოდ მეტყველებს.

## **ელისაბედ გაზდელიანი** (თბილისი)

### **მსაზღვრელ-საზღვრული სვანური ენის ლაშხურ და ლენტეხურ დიალექტებში**

სვანურში მსაზღვრელად შეიძლება გამოყენებული იქნეს: არსებითი სახელი, ზედსართავი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და მიმღეობა.

დღევანდელ სვანურში ატრიბუტული მსაზღვრელი ყოველთვის წინ უძღვის საზღვრულს ე. ი. გაბატონებულია პრეპოზიციური

წყობა, რომელიც ბრუნების მხოლოდ ერთ ტიპს გვიჩვენებს.

ნაკლებად გვხვდება ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი პოსტპოზიციური წყობა.

ატრიბუტულ მსაზღვრელს არცერთ ბრუნვაში ბრუნვის ნიშანი არა აქვს. საზღვრული სახელი კი ჩვეულებრივ იბრუნვის. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას სხვაობა, აღნიშნულ დიალექტებს შორის მხოლოდ ამ დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ფორმების მიხედვით დასტურდება.

მაგ.:	ლშხ. „მაღალი ხე“	ლნტ.
სახ.	კვლთხი მეგემ	კლათხი მეგამ
მიც.	კვლთხი მეგემ-ს	კლათხი მეგამ-ს
მოთხ.	კვლთხი მეგემ-დ	კლათხი მეგამ-დ
მოქმ.	კვლთხი მეგემ-შუ	კლათხი მეგამ-შუ
ვით.	კვლთხი მეგემ-დ	კლათხი მეგამ-დ
ნათ.	კვლთხი მეგემ/მეგემ-იშ	კლათხი მეგამ-იშ

ატრიბუტული მსაზღვრელი პრეპოზიციული წყობისას მრავლობითში არ დაისმის, არც ბრუნვის ნიშნებს დაირთავს. მრავლობითშია საზღვრული და შესაბამისი ბრუნვის ნიშნებითაა წარმოდგენილი.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, სვანურ პოეზიაში, სადაც მრავლადაა დაცული ძველი ენობრივი მონაცემები, გამოვლენილია პრეპოზიციული მსაზღვრელის საზღვრულთან რიცხვში შეთანხმების შემთხვევები (იხა ჩანტლაძე).

ერთ საზღვრულს ხშირად ახლავს ორი ან მეტი ატრიბუტული მსაზღვრელი. ასეთ შემთხვევაში ძველსა და ახალ ქართულში გვაქვს შეთანხმება. სვანურში მსაზღვრელები უბრუნველია, იბრუნვის მხოლოდ საზღვრული. მაგ. ლშხ. მოთხ. ძღუდ ლუმუჟ ღვაშ-დ; ლნტ. ძღუდ ლემიჟუ ღუაშ-დ „დიდმა რქიანმა ჯიხვმა“.

სვანურში პოსტპოზიციური წყობის დროს, როცა საზღვრული წინ უძღვის მსაზღვრელს, შეთანხმება გვექნება ბრუნვასა და რიცხვში.

მაგ.:	ლნტ. „სახლი დიდი“	
	მხ. რიცხ.	მრ. რიცხ.
სახ.	ქრ ძღუდ	ქორ-ალ ძღუდ-არ
მიც.	ქორ-ს ძღუდ-ს	ქორ-ალ-ს ძღუდ-არ-ს

მოთხ.	ქორ-დ ძღვდ-დ	ქორ-წლ-დ ძღვდ-წრ-დ
მოქ.	ქორ-შუ ძღვდ-შუ	ქორ-წლ-შუ ძღვდ-წრ-შუ
ვით.	ქორ-დ ძღვდ-დ	ქორ-წლ-დ ძღვდ-წრ-დ
ნათ.	ქორ-იმ/-წმ ძღვდ-იმ	ქორ-წლ-ემ ძღვდ-წრ-ემ

## გიორგი გოგოლაშვილი (თბილისი)

### ძველი ქართული ენის -ავ/-ამ თემისნიშნიან ზმნათა უწყვეტლის პარადიგმის ვარიაციები თანამედროვე დიალექტებში

ძველ ქართულში -ავ/-ამ თემისნიშნიანი ზმნები I სერიაში სამგვარ **საყრდენ ფუძეს** გამოავლენენ:

ა) აწმყოში **ავ/ამ** თემისნიშნიანებს: **მალ-ავ, ა-ბ-ამ...** (I ვარიანტი)

ბ) უწყვეტლის I-II პირებში **ევ-დ** დაბოლოებიანს: **მალ-ევ-დ, ა-ბ-ემ-დ...** (II ვარიანტი)

გ) უწყვეტლის III პირში **ვ-იდ** დაბოლოებიანს: **მალ-ვ-იდ, ა-ბ-მ-იდ...** (III ვარიანტი)

ქართული ენის დიალექტებში ძველი ქართულის პარადიგმამ საინტერესო ტრანსფორმაცია განიცადა. უწყვეტლის პარადიგმა განვითარდა სამი მიმართულებით:

1. უწყვეტელი დაემყარა ფუძის I ვარიანტს: ვ-**მალ-ავ-დ-ი** / **მალ-ავ-დ-ი** / **მალ-ავ-დ-ა...** ვ-**ა-ბ-ამ-დ-ი**, **ა-ბ-ამ-დ-ი**, **ა-ბ-ამ-დ-ა** (ქართლურში, კახურში, მოხურში, მთიულურ-გუდამაყრულში, ქვემოიმერულში)...

2. უწყვეტელი დაემყარა ფუძის II ვარიანტს: ვ-**მალ-ევ-დ-ი** / **მალ-ევ-დ-ი** / **მალ-ევ-დ-ა...** ვ-**ა-ბ-ემ-დ-ი** / **ა-ბ-ემ-დ-ი** / **ა-ბ-ემ-დ-ა** (ხევსურულში, თუშურში, ფერეიდნულში, ზემოიმერულში, რაჭულში, აჭარულსა და იმერხეულში)...

3. უწყვეტელი დაემყარა ფუძის III ვარიანტს: ვ-**მალ-ვ-იდ-ი** / **მალ-ვ-იდ-ი** / **მალ-ავ-დ-ა...** ვ-**ა-ბ-მ-იდ-ი** / **ა-ბ-მ-იდ-ი** / **ა-ბ-მ-იდ-ა** (ფშურში, რაჭულში, გურულსა და აჭარულში)...

როგორც ვხედავთ, რაჭულსა და აჭარულში გვაქვს ორ-ორი ვარიანტი – მეორე და მესამე.

შეინიშნება ერთი კანონზომიერება: დიალექტებში, სადაც **ავ/ამ** თემისნიშნისეული ხმოვნები აწმყოს მესამე პირის მრავლობით რიცხვში არ რედუცირდება (მალ-ავ-ენ, ა-ბ-ამ-ენ...), უწყვეტელს იწარმოებენ I ვარიანტით (მალ-ავ-დ-ა, ა-ბ-ამ-დ-ა...); დიალექტები, რომლებშიც **ავ/ამ** თემისნიშნისეული ხმოვნები რედუცირდება აწმყოს მესამე პირის მრავლობით რიცხვში (მალ-ვ-ენ, აბ-მ-ენ), უწყვეტელს იწარმოებენ II ან III ვარიანტით (მალ-ევ-დ-ა, აბ-ემ-დ-ა... მალ-ვ-იდ-ა, აბ-მ-იდ-ა...).

უწყვეტლის ფუძეს ყველა ვარიანტში ემყარება I სერიის სხვა მწკრივები: I კავშირებითი და I ხოლმეობითი (სადაც გვაქვს).

სამივე ვარიანტში მოხდა უწყვეტლის პარადიგმის გასწორება; ამავე დროს I და III ვარიანტში მოხდა სერიის პარადიგმის გასწორება. II ვარიანტში აწმყოს ფუძე სხვაობს სხვა მწკრივთა საყრდენი ფუძისაგან (**მალ-ავ – მალ-ევ, ა-ბ-ამ – ა-ბ-ემ**)... თუმცა იმერულში თავი იჩინა ტენდენციამ, რაც სერიის პარადიგმის გასწორების მცდელობად გვესახება, აწმყოს III პირის მრავლობითში **-ევ/-ემ** ფორმანტი გვაქვს. (მალ-ევ-ენ, აბ-ემ-ენ...). მსგავს ფაქტებს ადასტურებენ მესხურშიც (რგ-ენ-ს...).

**თ ა მ ი ლ ა გ ო გ ო ლ ა ძ ე** (გორი)

## **დიალექტის გამოყენების საკითხი პერსონაჟთა მეტყველებაში თარგმნილ მხატვრულ ტექსტებში**

1. ავტორი და მთარგმნელი (ძირითადად თუ ნაწილობრივ) შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილეა. თუ როგორ ცდილობს ავტორ-შემოქმედი მხატვრული ტექსტის სტილური სადებავებით სრულყოფას, ამისი ერთ-ერთი მაგალითია დიალექტური ფორმების „მორგება“ პერსონაჟის მეტყველებისათვის, ამით მისი პორტრეტის შესაქმნელად (მაგ.: მოხვევ ლელთ ღუნიას მეტყველება ი. ჭავჭავაძე-

მის „მგზავრის წერილებში“, სხვადასხვა პერსონაჟის მეტყველება ა. ფურცელაძის „მაცი ხვიტიაში“ და სხვ.).

რაც შეეხება სხვა ენიდან თარგმნილ მხატვრულ ტექსტს, აქ მთარგმნელი ცდილობს რა სხვადასხვა საშუალებებით, სრულყოფილად, ზედმიწევნით გადმოსცეს ავტორის მიერ დანახული, შემეცნებული და მის მსოფლმხედველობრივ პრიზმაში გარდატეხილი სინამდვილე, ორიგინალსა და თარგმანს შორის ეკვივალენტურობის შესაქმნელად ძირითადად ეყრდნობა საერთო სახალხო ენას. მაგრამ აქაც, როგორც თარგმანმცოდნე დალი ფანჯიკიძე მიიჩნევს, „თარგმანი უფრო მკაცრად უნდა მოექცეს სალიტერატურო ენის ფარგლებში, ვიდრე ორიგინალური შემოქმედება“.

2. თარგმანმცოდნეთა ძირითადი ნაწილი თვლის, რომ „თარგმნილ ნაწარმოებში არ უნდა იგრძნობოდეს მთარგმნელის ინდივიდუალური ენის თავისებურებანი“ (ი. ნაიდა). ასე რომ, „ქართულ ენაზე თარგმნისას გადაჭარბებული ქართული კოლორიტის შექმნა ანუ თარგმანის გართულება, როგორც მთელი ნაწარმოების, ასევე პერსონაჟების გაორებისა და გაყალბების საფუძველი ხდება“, რამდენადაც „...უცხო პერსონაჟს მხოლოდ უცხო ენა და უცხო ნაციონალური რეალიები კი არ ქმნის, არამედ იგი უცხო მხატვრული ხასიათია. ქართული რომელიმე კუთხის დიალექტით შექმნილ ენობრივ პორტრეტს ვერ შეეთვისება“ (დ. ფანჯიკიძე). ამავე აზრს იზიარებს იტალიური ენიდან მთარგმნელი ხათუნა ცხადაძეც: „დიალექტის დიალექტით გადმოტანას კატეგორიულად ვეწინააღმდეგები“. თარგმანთმცოდნე ნელი საყვარელიძე მიიჩნევს, რომ „დიალექტთა თუ ვარიანტთა ლინგვისტურ განსხვავებას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენადაც მათი ანალოგიზაცია თარგმანში უნაყოფო ცდა იქნებოდაო“;

3. აღნიშნულ შეხედულებათა ფონზე საკვლევად შევარჩიეთ იტალიელი მწერლის ჯუზეპე ტომაზი დი ლამპედუზას (1896-1957) რომანის „ლეოპარდის“ ქართულ ენაზე ნოდარ ლადარიას მიერ შესრულებული თარგმანი, სადაც ერთი პერსონაჟის, მეფე ფერდინანდის (რომელიც წარმოშობით ნეაპოლელია), მეტყველება გადმოცემულია ქართული დიალექტური ფორმების გამოყენებით.

4. წინამდებარე მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია, თუ როგორი ცვლილება განიცადა პერსონაჟმა დიალექტური ფორმის გამოყენებით თარგმნილ ტექსტში.

**თავთან, გულთან და პირთან დაკავშირებული  
ფრაზეოლოგიზმები და იდიომატური  
გამოთქმები ქიზიყურში**

როგორც ცნობილია, ფრაზეოლოგია ენის გამდიდრების უმნიშვნელოვანეს საშუალებას წარმოადგენს. ისევე როგორც სალიტერატურო ქართულსა თუ სხვა დიალექტებში, ქიზიყურშიც იდიომატურ გამოთქმებსა და ფრაზეოლოგიზმებში ყველაზე გავრცელებული ლექსიკური ერთეულებია **გული,პირი** და **თავი**. იდიომებში, როგორც წესი, მათთან დაკავშირებულია ზმნა, მასდარი ან მიმღეობა.

**გულთან** უმთავრესად დაკავშირებულია ადამიანის გრძნობისა და ემოციის გამოხატვა. მაგ., **გული მიკორკოტდება** „გული მიჩუყდება“, **გულის ჩამოსვლა** „შეჩვევის შემდეგ ადამიანის შეყვარება“, **გულის მოკოდვა** „ხიხინი გაციებულისა“ და სხვ.

**თავის** შემცველი ფრაზეოლოგიზმები და იდიომატური გამოთქმები მიუთითებს ადამიანის როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ მდგომარეობაზე, ასევე საქმის ვითარებას. მაგ., **თავს ვერ არის** „ავად არის“, **თავწყალ გასვლა** „კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლა“, **თავის დანებივება** „საქმისაგან მოცლა, განმარტოება“ და სხვ.

საკმაოდ ბევრი იდიომატური გამოთქმა შეიცავს **პირ** სიტყვას. მაგ., **პირის ართმევა** „საქმის დაწყება“, **პირის მოხეხვა** „გათავება, შესრულება“, **პირის აწყობა** „მჭრელი იარაღის სახელდახელო გალესვა თასმაზე“ და სხვ.

საკითხის სრული განხილვა კერძოდ, იდიომებში შემავალი ფუძეების ფორმოზომები და ფუნქციური ანალიზი წარმოდგენილი იქნება მოხსენებაში.

## ი გ ო რ კ ე კ ე ლ ი ა (მარტვილი)

### ძიებანი აფხაზეთის ტოპონიმიიდან (ბირცხა, დარენი, ფსკალი)

**ბირცხა** სოფელია სოხუმის რაიონში. ეს სახელი ზემო და ქვემო ბირცხის კრებსითი სახელწოდებაა. ზემო ბირცხა მდ. ბესლეთის მარჯვენა ნაპირზე, ზ. დ. 130 მ-ზეა და სოხუმს დაშორებულია 5 კმ-ით; ქვემო ბირცხა მდებარეობს აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, ბესლეთის ნაპირას, ზ. დ. 150 მ, სოხუმიდან 8 კმ, ბესლეთიდან 2 კმ. ვ. ზუხბაიას განმარტებით, სოფლის სახელწოდება დაკავშირებულია მეგრულ სიტყვასთან – ბირცხა, რაც „ფრჩხილს“ ნიშნავს. **ბირცხა** სიტყვა მეგრულში მართლაც აღნიშნავს ფრჩხილს, ბრჭყალს, ჭანგს; ლიბრს; ნაჭდევს თიხის ჭურჭელზე; მაგრამ ოიკონიმ „ბირცხის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას ჩვენ საგულისხმოდ გვეჩვენება ამ ლექსიკური ერთეულის კიდევ ერთი მნიშვნელობა სამურზაყანოულ მეგრულში. ესაა მცენარის სახელწოდება, იგივე **ჭანგა** (ა. ქობალია). არაა გამორიცხული, რომ ტოპონიმი ამ შემთხვევაში მიუთითებდეს ამ მცენარის სოფლის ტერიტორიაზე გავრცელების გარკვეულ არეალზე.

**დარენი.** ადრეული შუა საუკუნეების ბიზანტიურ წყაროებში, კერძოდ, მენანდრე პროტიქტორის თხზულებაში მოხსენიებული **დარინის უღელტეხილი** ბზიფისა და კოდორის სათავეებს შორის მდებარეობდა. მენანდრე წერს: „შინ დაბრუნება უმჯობესია ეგრეთწოდებული დარინის გზითო... ზემარქე დარინის გზით მივიდა აფსილიაში: მისიმიანთა გზა მან უარჰყო, დასტოვა ის მარცხნივ: ამ გზით საფიქრებელი იყო, რომ თავს დაესხმოდნენ სპარსელები“ (გეორგიკა, III, 1936: 236).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „მისიმიანთა გზაში“ დღევანდელი ქლუხორის უღელტეხილი იგულისხმება, ხოლო „დარინის გზა“ ერქვა მის დასავლეთით მდებარე რომელიღაც გადასასვლელს (თ. მიბჩუანი).

თ. მიბჩუანი ტოპონიმ „დარინის“ წარმომავლობას სვანურ სიტყვას – **ლადრენი**, უკავშირებს: „ბიზანტიელი ავტორების მიერ სადაც კოდორის სათავეებში უღელტეხილის სახელწოდება დარენი



ქართული (სვანური) წარმოშობის უნდა იყოს და ნიშნავს სადარაჯოს, საგუშაგოს. თუ არა ქართულ (სვანურ) ენაზე მოლაპარაკე ხალხს, სხვას ვის შეეძლო ასეთი სახელის შერქმევა ამ უღელტეხილისათვის?“ ვ. ზუხბაიაც მიიჩნევდა, რომ კოდორის სათავეებთან მდებარე უღელტეხილის სახელწოდება დარენი სვანური სიტყვაა და საგუშაგოს ნიშნავს.

გამორიცხული არაა, რომ აფშილეთის ტერიტორიაზე, ბზიფისა და კოდორის სათავეებს შორის მდებარე უღელტეხილის სახელწოდება **დარენი/დარინი** მეგრული წარმომავლობისა იყოს და ნიშნავდეს სადგომს, სამყოფელს, გასაჩერებელ ადგილს. შესაძლებელია, რომ ამ უღელტეხილზე იყო შესასვენებლად მოხერხებული, სულმოსათქმელი ადგილი მგზავრობით დაღლილთათვის.

ტოპონიმზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია **დარენ(ჯ)ი, დარინი** სიტყვის მეგრული მნიშვნელობა. **დარინალი** მეგრულში აღნიშნავს „სამყოფელს, საცხოვრისს, სადგომს“; **დარინაფალი** იგივეა, რაც „დასაყენებელი“. **დარენჯი** ეწოდება „საცხოვრისს, სადგომს, სამყოფელს, გასაჩერებელ ადგილს“ (ა. ქობალია). **დორინა/დორინი** იგივეა, რაც „დადგომა, დაბინავება“; **დორინელი** „დამდგარს, დაბინავებულს“ ნიშნავს (იქვე). მაშასადამე, დარენი/დარინი იგივეა, რაც სამყოფელი, საცხოვრისი, სადგომი, გასაჩერებელი, დასაბინავებელი ადგილი.

**ფსკალი** ეწოდება სოფელს ოჩამჩირის რაიონში და სომხური ათარის თემში შედის. სოფელი მდებარეობს შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. ჭაშის ზემოთში, ზ. დ. 150 მ-ზე. ოჩამჩირეს დაშორებულია 45 კმ-ით, ათარას – 6 კმ-ით (ქსე). ფსკალში შემორჩენილია ადრეფეოდალური ხანის მცირე ზომის ციხის ნაშთი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ციხეს ფუნქციონირება უნდა დაეწყო IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისში (მ. ჭუმბურიძე). ი. ვორონოვის მოსაზრებით, ეს უნდა იყოს VI-VIII სს. ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებული ძახარის ციხე.

ვ. კვარჩია შეეცადა, რომ ტოპონიმ **ფსკალში** თურქული **ყალა** (kale) ფუძე გამოეყო, რაც ციხე-სიმაგრეს ნიშნავს; თუმცა არაფერს ამბობს თავკიდურა **ფს** თანხმოვნების სემანტიკურ-მორფოლოგიური რაობის შესახებ. თ. გვანცელაძე არამეცნიერულად მიიჩნევს ტოპონიმ ფსკალის ვ. კვარჩიასეულ ეტიმოლოგიას და შენიშნავს, რომ ეს სახელი არც აფხაზურია და არც აფხაზურ-თურქული. „იგი მომდინარეობს საფუტკრე სკის მეგრული **ფსკალ-ი** სახელწოდებისა-

გან. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის, რომ ასეთი მოდელის ტოპონიმები – არსებითი სახელი მხოლოდითი რიცხვის ფორმაში – მეტად პროდუქტიულია ქართველურ ენობრივ სივრცეში (შდრ. ცაცხვი//ცხაცხუ, ტყვარჩელი, ხიდი, კლდე...). მეგრულში **სკა/ფსკა** აღნიშნავს „ფუტკარს“. შდრ. სკანაჭვი//ფსკანაჭვი – მინდორი ჯვარის სატყეოში, ბარხის ტყეში (პ. ცხადაია). **ფსკაშ ქოფეს** ეძახიან ბუკს, სკას (ა. ქობალია). **სკაია/ფსკაია** „ფუტკარმრავალი ადგილია“, ხოლო **სკალონა/ფსკალონა** „საფუტკრეა“. ტოპონიმი ფსკალი, ჩვენი აზრით, იმ ადგილის აღმნიშვნელია, სადაც ფუტკრის ბუკები, სკები დგას (საფუტკრე ადგილი). შდრ. **ნა(ფ)სკალ** – 1. თხმელნარი ნაშამგუში; 2. მინდორი ლეთკანთში (პ. ცხადაია). ნაფსკალ აღნიშნავს ნასკევარ, ნა-საფუტკრალ ადგილს.

## **მ ა რ ი ა მ კ ო ბ ე რ ი ძ ე** (გორი)

### **ქართლურისა და აჭარულის ურთიერთმიმართებისათვის წითელუბნის მეტყველებაში**

სოფელი წითელუბანი მდებარეობს ქართლში, გორის რაიონში, ტირიფონას ველზე. მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში აქ გადმოსახლდნენ საცხოვრებლად ზემო აჭარიდან, ხულოს რაიონის სოფელ ჩაოდან, მოგვიანებით სამაჩაბლოდან და ქართლის სხვადასხვა კუთხიდან. წითელუბნის მეტყველებაში შეინიშნება, როგორც ქართლურის, ასევე აჭარულისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენების ურთიერთმიმართების შემთხვევები. ეს შემთხვევები განსაკუთრებით თვალში საცემია ჩვეულებრივ საუბარში, დიალოგში, როცა მოსაუბრე ქართლელია, თანამოსაუბრე აჭარელი, ან - პირიქით, მოსაუბრის მეტყველებაზე ხდება თანამოსაუბრის გადაართვა.

წითელუბნის მეტყველებაში წყვეტილის პირველსა და მეორე პირში რიგი ზმნები – ე სუფიქსის შემდეგ დაირთავენ **ი** ხმოვანს. მაგ.: **წავიღეი, გავაკეთეი, ვჭამეი, ავაშენეი, ვნახეი...** აღნიშნული ფორმები გავრცელებულია ქართლურში (ვ. თოფურია, გრ. იმნაიშ-

ვილი). ეს მოვლენა ამ სოფელში მცხოვრებ აჭარელთა მეტყველებაშიც შეინიშნება. მაგ.: „– თქვი, თუ არ შემიძლია, იმფერს შენც არ მეტყვი, რაც გინდა, **მთხუი**, ძროხაც რომ მთხუო, ვარს არ გეტყვი“ (გენადი ცეცხლაძე, 41 წლის). „– ერთი რამა რუმ **გთხუი**, ჰამა არ დამიშალო, ვარი არ მითხრა“ (ბესო ცეცხლაძე, 41 წლის).

**რომ** მაქვემდებარებელი კავშირი ქართული ენის დალექტებში სხვადასხვა სახით დასტურდება. წითელუბნის ქართლელთა მეტყველებაში გვხვდება **რო**, აჭარელთა მეტყველებაში – **რუმ**. მაგალითები წითელუბნელთა მეტყველებიდან:

1) **აჭარ.** : „– კედელს ჩხირი, რაფერ დაგემართა, **რუმ** მოგვიგონე და მობბანდი? (პეპელა ბოლქვაძე, 75 წლის).

**ქართლ.:** „– თქვენც **რუმ** მოგვიგონებდეთ, გაგვახარებთ“ (ვერიკო მზარეულიშვილი, 65 წლის).

2) **ქართლ.:** „– ცა **რო** მოიდრუბლა, წვიმა **რო** დაიწყო, სუ ვლოცულობდი, ღმერთ ვევედრებოდი“ (მარუსა ხიდაშელი, 70 წლის)...

**აჭარ.** : „– სხვა რაფერ ხართ სახლში, რას ირჯებით, ყველაი ხო კარქა არიან? შევტყე, შენი კაცი **რო** უქეიფურად ყოფილა. მორჩა?“ (პეპელა ბოლქვაძე, 75 წლის).

**უნდა** ნაწილაკი ცენტრალურ ქართლურში გვევლინება **უნა** სახით, აჭარულში **ნა**-ს სახით, რომელიც წარმოთქმაში ეკვრის წინამავალ სიტყვას. მაგ.: **აჭარ.:** „ყველინა დაფშენა საინში, **მემრენა** დაახა ცხელი წყალი. ყველი რუმ გადნება, **ნა** გადმოწურო“ (მზიური შავაძე, 40 წლის). იგივე მთქმელი სხვა სიტუაციაში ამბობს: „მოვზილოთ ცომი ხინკლისა, ამევლოთ პაწაი-პაწაი გუნდები. მემრე გავაბრტყელოთ თხლად, მემრე **უნა** კიდევ შევწვათ სობაზე“.

წითელუბნის მეტყველებაში **საიდან** ზმნიზედა დასტურდება **ჰიდან** ფორმით. ეს ქართლურს არ ახასიათებს, დამახასიათებელია აჭარულისათვის, მაგრამ ქართლელთა მეტყველებაშიც შეინიშნება.

მაგ.: **აჭარ.:** „– **ჰიდან** მოდიხართ, ამ დილაი?“ (ბესო ცეცხლაძე, 41 წლის).

**ქართლ.:** „– **ჰიდან** მოვდივარ და სახლიდან, შენ უნა მენახე“ (ვასო მზარეულიშვილი, 66 წლის).

განსაზღვრულ კომუნიკაციურ სიტუაციაში გადართვა ხდება როგორც ცალკეული სიტყვების, ისე წინადადებების. ვფიქრობთ, ეს პროცესი დაწყებულია. ამას ხელს უწყობს სოფელ წითელუბანში ქართლელებისა და აჭარლების თანაცხოვრება.

წითელუბნის ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე დაკვირვება სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ საინტერესო ფორმებს გამოავლენს.

## **ლევან კოჭლამაზაშვილი** (თბილისი)

### **ჯ~ხ კორელაციური ოპოზიციისათვის თუშურსა და ქიზიყურში**

ფარინგალური რიგის თანხმოვანთა მოშლას ქართულ სამწერლობო ენაში ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ რიგ კილო-თქმებში განსხვავებული ვითარებაა: ხახისმიერი თანხმოვნები ჯ-ყ უცვლელად ინარჩუნებენ სახეს და არც ფონოლოგიური ღირებულება დაუკარგავთ. ყ-მ სამწერლობო ენასა და ბარის კილოებში იცვალა საწარმოთქმო ლოკალიზაციის ცენტრი, მაგრამ ქიზიყურსა და თუშურში, აგრეთვე მთის სხვა კილოებში, შეინარჩუნა ფარინგალობა სიტყვის ყველა პოზიციამში.

თუშურ კილოში შეინიშნება მეტად საინტერესო შემთხვევა ჯ~ხ კორელაციური ოპოზიციისა, როდესაც მოცემულ ბგერათა შეპირისპირება სემანტიკურ ცვლილებას იწვევს: მეჯი ~ მეხი. პირველი მათგანი დიალექტში ტახტის აღმნიშვნელი სიტყვაა, მეორე კი – სამწერლობო ენის ვითარებას იმეორებს და ჭექა-ქუხილის მეტეოროლოგიურ მოვლენას გულისხმობს. გარდა ამისა, მთქმელები აღნიშნავენ ჯ ბგერის წარმოთქმის აუცილებლობას თუშური მეტყველები-სათვის.

ქიზიყურ კილოში, მართალია, თუშურისაგან განსხვავებით ჯ ფარინგალის პოზიცია შესუსტებულია, თუმცა ცალკეულ თქმებს არქაული ვითარება შეუნახავთ. მიუხედავად ფარინგალთა მოშლის ტენდენციისა, ქიზიყურის თქმა-ქცევებში მაინც ვხვდებით ფონოლოგიურ ოპოზიციებს, სადაც ჯ~ხ მინიმალური წყვილის შეპირისპირება სემანტიკურ ცვლილებებს იწვევს:

**ჯურს ~ ხურს;** პირველი მათგანი საქონლის სქესობრივი მომწიფების მზაობას გამოხატავს, მეორე კი – სიციხეს: ჯურს ძროხა – ხურს კერა... (ბოხორული კილოკავი, ბოდბური თქმა).

შირაქულ კილოკავში შეინიშნება მსგავსი ფონოლოგიური ოპოზიცია, რომელიც იწვევს შინაარსობრივ ცვლილებებს: ჩოჭიგული ~ ჩოხიგული: პირველი ტრადიციული სამოსის გულის პირს გულისხმობს და დამოწმებული აქვს ამ ფორმით სტეფანე მენთეშაშვილს „ქიზიყურ ლექსიკონში“ (1943). რაც შეეხება ჩოხიგულ ფორმას, კომპოზიცია და მარცვლეული კულტურის ერთ-ერთი სახეობის – ჩოხის ნაყოფს გულისხმობს (ხორნაბუჯული თქმა).

ქიზიყურში უკანასკნელ ხანს მეტად ტენდენციური გახდა დეფარინგალიზაცია, რასაც სამწერლობო ენის ზეგავლენით ავსხნიდი. საინტერესოა, რომ ამ პროცესმა დიალექტი სრულად მოიცვა: ორსავე კილოკავში თქმა-ქცევათა ნაწილს ძლიერ მოედო, თუმცა მისი ზუსტი საზღვრების დადგენა ერთი თქმის ფარგლებშიც კი რთულია, რამეთუ ცალკეულ ფორმებში ჯ ხ-დ გარდაიქმნა, ზოგ შემთხვევაში კი შენარჩუნებულია ისტორიული სახე.

## **მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა** (თბილისი)

### **დიალექტურ ფორმათა ნაირსახეობისათვის გ. ლეონიძის პროზაში („ნატერის ხე“)**

გ. ლეონიძის მოთხრობების წიგნმა – „ნატერის ხემ“ სრულიად ახალ მხატვრულ სამყაროს აზიარა მკითხველი. პოეტის ყრმობის ხორცშესხმული აჩრდილები, გააზრებულნი დიდი მხატვრის ღრმა ინტელექტით, თანამედროვე ოსტატის თვალთახედვით წარმოგვიდგებიან. ერთმანეთთან დაკავშირებული მცირე მოთხრობების ეპიკურობა მძლავრი პოეტური ნაკადით არის გაჯერებული. თვალშისაცემია დიალექტურ ფორმათა სიმრავლეც – როგორც სტილისტიკური მახასიათებელი გ. ლეონიძის პროზისა.

ნაწარმოებში გვხვდება კახური, ქართლური, ქიზიყური, იმერული თუ ლეჩხუმური ლექსიკა, რაც ძირითადად ამა თუ იმ პერსონაჟის მეტყველების წარმოსაჩენადაა მოხმობილი, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში თავად ავტორიც მიმართავს დიალექტურ ფორმებს: „– შენ გეტყობა სიმინდის **ღურღუკაც** (ქართლ., კახ.) არ გეცოდინება: – არა, არ ვიცი – ეგ რა ხილია!“; „ენკენისთვის მიწურულები იყო, რო-

ცა ყურძნები დაკრეფილია, ქვევრები ნიგვზის ფოთლებითა და აყალოთი ახლად არის წახურული, ეზოებში კი მოდებულა **ბრელო** (იმერ., ლეჩხ.) ახლადმოჭრილი სიმინდისა“; „გარსევანმა **გაიკმარა** (ქიზიყ.), – ჩემი რა ბრალია, თუ რაჟდენი ცას შეჰყურებდა და ვარსკვლავებს ითვლიდა და ხელი ჩარხში გამოაყოლაო“; „– აი, გაქრეს შენი **სარჯულავი** (ფშ.) – ერთად მიაძახეს მესუფრეებმა და მიესაყვარლნენ სიმღერების მწყემსს“; „სოფელში სათვალსეიროდ გავლა უყვარდა, ზამთრობით კი, **კიწაწი** (ფშ., ლეჩხ.) შეშა არა ჰქონდა“; „ფეხაკრეფით, **ზარგანაობით** (თუშ., ფშ.) იკვლევდა გზას კენტი კაცი, მარტორქასავით“...

დიალექტური ფორმებით დასტურდება: ა) **წარმოქმნილი სახელები**: „...ახლა უკანასკნელად თხოვნით მოსულიყო კომისართან, რათა **ნაკუთვნილარი** საბალახე მთა უკან დაებრუნებინათ საზრდოდ, სარჩომად“; „**ნასმენალის** მერე ჩიკოტელამ ფრთხილად გადასწია ვაზის ფოთლები და რა სახილავი ნახა!“; „ღია კარებიდან სუსხიანი ქარი შემოვიდა, თოვლის **ნაგუნჯალი** შემოიტაცა“; „**წრეგანდელ** მოსავალს აყივნებდნენ: – ხორბალს მაწივრობა არა აქვსო, ყინვამ მოთუთქა, ღოჯი ვერ გაიტანაო“...

ბ) **კითხვითი სიტყვები**: „– მაშ, არ იცი? – რაი?“; „...თავი როცა აიღო, მურწას მაგიერ მოლიმარე ახალგაზრდა ქორია იდგა მის წინაშე – ეს ვიღაა, **საიდამ** მოთრეულა?“; „ეს ის ელეფთერია, რომელსაც სწორედ გასულ თვეს სცემეს კეტებით დღეობაში მოსულმა ჭირვეულმა სტუმრებმა – ელეფთერი **რათა** გქვიანო“...

გ) **ზმნები**: „**გადიღევი** ეს ქათმის კურტუმი ძალიანი ნაჭერია, თუ გიყვარდე!“; „სიტყვა გაღორდა: ზღვის რყევა დაიწყო, ერთპირზე როდი **დგა** წუთისოფელი?“; „– საშიში კაცია, დიაკვანო, ფარულად ყუმბარებს ამზადებს, ქვეყნის აფეთქებას **აპირობს**“; „**მოსთქვავდა** ყადორი და თან წითელ ღვინოს ბრკეს აცლიდა“...

დ) **ზმნისართები**: „**წრეულს** ღვინის დიდი მოსავალი მოუვიდა, პირთამდე აივსო ისედაც სავსე კაცი“; „**ესე** მტერი დაგეცალოსო! – ასე იტყოდა მოწაფებული ყანწის სარდალი, ღვინჯუა, – დიდკაცურად, დიდმაჯურად“; „ბიჭი და გოგო **ქვეით** გარბოდნენ ჭიგოების ლაწალუწით“; „**ზეით** რუისპირზე ორი ვერხვია, – სამმღვარი ის არის“...

სხვადასხვა დიალექტიდან მოხმობილი ფორმები კიდევ უფრო გამორჩეულ ელფერს სძენს გ. ლეონიძის ულამაზეს პროზას.

## ლომთაძე თამარი (ქუთაისი)

### ქართველ ებრაელთა მეტყველების სოციალური ასპექტები

ენა იყო და არის ქართველ ებრაელთა იდენტიფიკაციის ერთ-ერთი ნიშანი. ებრაელთა მეტყველებაში დაჩნდება:

1. გეოგრაფიული სხვაობები, მაგ., სამეგრელოს საზღვრების გასწვრივ არის სხვა გავლენები, ვიდრე აჭარის, ან თუნდაც სამცხე-ჯავახეთის, ან შიდა ქართლის ან ურბანული ზონების ებრაელთა მეტყველებაში. ამიტომაც, ებრაელთა იმ სპეციფიკურ ენობრივ მოვლენებს, რომლებიც მხოლოდ ებრაელებს ახასიათებთ, ემატება იმ დიალექტური არეალის დამახასიათებელი მოვლენები, რომელი კუთხის წარმომადგენლებიც არიან.

2. სოციალური სხვაობები: ადამიანები რომლებიც ცხოვრობენ ერთსა და იმავე სოციალურ, კულტურულ თუ გეოგრაფიულ კონტექსტში, არიან ერთმანეთთან პირდაპირ კონტაქტში, ავითარებენ ერთნაირ ლინგვისტურ თავისებურებებს, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ამ გადაცემამ გამოიწვია მათ მეტყველებაში საერთო ნიშნების შენარჩუნება საუკუნეების განმავლობაში, ხოლო გეოგრაფიულმა თუ სოციალურმა ფაქტორებმა წარმოშვა განსხვავებულობა. ყველა კუთხის ებრაელს ახასიათებს ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური საერთოც და თავისებური ფაქტორები, მაგრამ განსხვავებას გარდა გეოგრაფიულისა, ქმნის სოციალური ასპექტებიც.

#### ა. პროფესიული ფაქტორი

ებრაელები საქართველოში მეტ-ნაკლებად ჩაკეტილი თემის სტატუსს ინარჩუნებდნენ, რაც გარკვეულწილად ხელს უწყობდა მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური მეტყველების შენარჩუნებასა და თაობიდან თაობისათვის გადაცემას. ძირითადი მასა ებრაელებისა 50-იან წლებამდე გაუნათლებელი იყო. მათი მთავარი საქმიანობა საუკუნეების განმავლობაში ვაჭრობა გახლდათ, რომელიც არარეგალურ საქმედ ითვლებოდა, რის გამოც მათ მეტყველებაში სპეციალური არგოს შემუშავება მოხდა ებრაიზმების საფუძველზე. როგორც კ. დუმბაძე მიუთითებს, მოგვიანებით ვაჭრების არგოს საზღვრები გაფართოვდა და იგი ქალაქურ ჟარგონად იქცა, რომელსაც

ვაჭრების გარდა სხვა სოციალური წრის წარმომადგენლებიც იყენებდნენ, თუმცა ებრაელი ვაჭრების მახასიათებლად ეს ლექსიკური, ინტონაციური და გრამატიკული თავისებურებები გასული საუკუნის 90-იან წლებამდე დარჩა.

### ბ. გენდერი

ებრაელთათვის დამახასიათებელი სპეციფიკური წარმოთქმები განსაკუთრებით გაუნათლებელ ფენასთან და ქალებთან იგრძნობოდა. ქალები გამოიყენებდნენ ისეთ მყარ შესიტყვებებს (მაგ., წყველის ფორმულები და სხვა), რომლებიც აშკარად განსხვავებული იყო საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკურ ჯგუფებში გავრცელებული ფორმებისაგან. საერთოდ, ქალებთან უფრო მძაფრად იგრძნობოდა ებრაელთა დამახასიათებელი სპეციფიკური მოვლენების გამოყენება, ვიდრე მამაკაცებთან. ამის მიზეზი შეიძლება იყოს მათი ცხოვრების წესი. 60-იან წლებამდე ისინი ძირითადად დიასახლისები იყვნენ, ამიტომ ჩაკეტილობა მათ უფრო ეხებოდათ და ინტეგრირების ხარისხი საზოგადოების სხვა წევრებთან ნაკლები იყო.

### გ. განათლება

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან სიტუაცია იცვლება: ებრაელები განათლების მიღებას იწყებენ. საბჭოთა პერიოდში რუსული იყო ჰიპერდომინანტი ენა საქართველოში. რუსეთში ბევრად უფრო მეტი უმაღლესი სასწავლებელი იყო და აქედან გამომდინარე, შანსიც მეტი - სტუდენტობისათვის. ებრაელებს შვილები ძირითადად შეჰყავდათ რუსულ სკოლებში და განათლებას იღებდნენ რუსულად. გარდა ამისა, რუსულის მაღალი სოციალური პრესტიჟი აძლევდა მათ ბიძგს, რაც შეიძლება ბევრი რუსიციზმი გამოეყენებინათ მეტყველებისას და ამით ხაზი გაესვათ თავიანთი განათლებულობისათვის. ებრაელთა უმეტესობა სამედიცინო განათლებას რუსეთში იღებდა. რუსული სამედიცინო სკოლაც უფრო პრესტიჟულად ითვლებოდა. მეტყველებისას რუსულის გამოყენება მათ რუსულ სამედიცინო განათლებაზე მიუთითებდა, რაც პაციენტებისათვის საიმედოობისა და მაღალი პროფესიონალიზმის გარანტია გახლდათ.

რუსიციზმებს იყენებდნენ ის ოჯახებიც, რომელთა შვილებიც სწავლობდნენ რუსულ სკოლებში. სწორედ ამის შედეგია მათ მე-



ტყველებაში დაფიქსირებული უამრავი რუსიციზმი: მუზიკალური, ატკრივალჩიკი, რემესლენიკი და სხვა.

განათლებული ებრაელები ინტეგრირებულები გახდნენ საზოგადოებაში, მათთვის შესამჩნევი იყო წარმოთქმის სპეციფიკურობა და ცდილობენ დაძლიერებულად. მართალია, ინტონაციური თავისებურებების სრულ ნიველირებას უმეტესობა მაინც ვერ ახერხებდა, თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილისათვის შესამჩნევი აღარ იყო. ასევე ნაკლებად იყენებდნენ ისინი გრამატიკულ და ლექსიკურ სპეციფიკურებებს. ამ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები ზოგჯერ ცდილობდნენ ქართული ეკვივალენტით გადმოეცათ რელიგიური ტერმინებიც კი, რომელთა გამოყენებაც საქართველოში მცხოვრები ყველა კუთხის ებრაელისათვის გამაერთიანებელი ნიშანი გახლდათ.

#### დ) რელიგიური ფაქტორი

საბჭოთა პერიოდამდე საქართველოში სინაგოგებთან არსებობდა იემიბები (სკოლები), სადაც ივრითს ასწავლიდნენ. საბჭოთა პერიოდში ებრაელთა ენა გახდა უმცირესობა უმცირესობაში, რამაც კიდევ უფრო შეამცირა ენის მცოდნეთა რაოდენობა. ებრაულს ძირითადად მორწმუნე ებრაელები, რაბინები, ხახმები და მათი ოჯახის წევრები სწავლობდნენ. აღსანიშნავია, რომ დღესაც რელიგიასთან დაკავშირებული ებრაიზმების გამოყენება პროპორციულია მათი რელიგიური ცხოვრებისა.

## **ქეთევან მარგიანი - სუბარი** (თბილისი)

### **პარონომაზიის სპეციფიკა სვანურ ენაში**

პარონომაზია სვანურ ენაში, ისევე, როგორც ქართულში, საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა, თუმცა გამოხატვის საშუალებები მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. თუ ქართულ ენაში პარონომაზიული შესიტყვებებში ძირითადი ზმნის პირიან ფორმასთან უთანდებულო მოქმედებითის ფორმით მისივე საწყისია დაკავშირებული („ქამით ისინი ვერა სქამენ, სმით ისინი ველარა სმენ, რა კაცები არი-

ან?"), სვანურში მსგავს ვითარებაში საწყისი გვხვდება რამდენიმე ბრუნვის ფორმით:

ა) ვითარებითი: **ლეზიდ ქაჩად, მარე ჩუ დემ ანტაზ** (ბზ.) – „ასვლით („ასვლად/ასასვლელად“) ავიდა, მაგრამ ვერ ჩამოვიდა („ჩამობრუნდა“);

ბ) **ხან-ხენ** („გან,-დან“) თანდებულიანი ნათესაობითი: **ლი-ზიხენ ქაჩად...** (ბქ.) – „<sup>ა</sup>სვლით („ასვლიდან“, „ასვლის მხრივ“) ავიდა...“;

გ) მოქმედებითი: **ლაზშუ ქაჩად...** (ბქ.) – „ასვლით ავიდა...“, თუმცა ეს უკანასკნელი საკმაოდ ხელოვნურად ჟღერს და ქართულის კალკი ჩანს.

უფრო მეტად საინტერესოა პარონომაზიული გამოთქმები ე. წ. „წინდებულ-თანდებულები“ (ვ. თოფურიას ტერმინოლოგიით) – **ჟი, ჩუ, სგა, ქა**ს მონაწილეობით ამავე ელემენტებიან ზმნის პირიან ფორმებთან ერთად; სვანურში ამგვარი პარონომაზიული გამოთქმები სხვებზე მეტად გავრცელებულია ყველა თაობის წარმომადგენლის სვანურ მეტყველებაში (განსხვავებით საწყისის მოქმედებითი ბრუნვის ფორმისაგან, რომელსაც მხოლოდ ახალგაზრდებისგან თუ გაიგონებთ):

**ჟი ქაჩად, მარე ჩუ დემ ანტაზ** – „ასვლით ავიდა, მაგრამ ვერ ჩამობრუნდა“;

**ჟიამ ქაჩად ი ჩუამ შჷიდებდ ანტაზ** – ასვლითაც ავიდა და ჩამობრუნებითაც მშვიდობიანად ჩამობრუნდა“;

როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევებში პარონომაზიას სწორედ „წინდებულ-თანდებულები“ განაპირობებენ; ვფიქრობთ, ენის განვითარების საფეხურების გათვალისწინებით, ჟი, ჩუ, სგა, ქა მონაცემების ისტორიულ დამოუკიდებლობას ადასტურებს ჩვენს სანალიზო თემატიკაში მათი როლიც; ამოსავალში ეს, ალბათ, ნიშნავდა: „ზევითაც ავიდა და ქვევითაც ჩამობრუნდა“; მართალია, დღეს ისინი მხოლოდ დამხმარე საშუალებებად აღიქმებიან, მაგრამ ასაკოვან სვანთა მეტყველებაში რამდენჯერმე მაინც დავადასტურეთ ამ ელემენტთა, როგორც სრულმნიშვნელოვან ლექსემათა, გამოყენება: **ათხე ჟი ი მამ დო ლასჷ, სგოთჰიედ კარაჷთეისგა** (გერმან ცინდელიანი, 82 წლის, მესტიის რ-ნი, სოფ. ნაკრა) – „ახლა **[ავდივართ]** („ზე-“/„ზევით“) და შევალწიეთ კარვამდე“ (როგორც ვხედავთ, აქ ზმნა-შემასმენელი არ გვაქვს; შეიძლება ელიფსის მოვლენაზე შე-

გვეჩერებინა ყურადღება, რომ არა ამ ელემენტთა ფუნქციების მრავალმხრივობა; მაგალითად, საგულისხმოდ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ელემენტები პრევერბის როლში ქართული „-ც“-ს შესატყვისი -ინაწილაკის დართვით სვანურში ზმნა-შემასმენელს დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებად აქცევენ; შდრ.: **სგ'აჩად** „შევიდა“ – **სგა-ი აჩად** „როგორც კი შევიდა/შევიდა თუ არა...“; **ჟი ლაზშაყდ** „გაახსენდა“ – **ჟი-ი ლაზშაყდ** „როგორც კი გაახსენდა/გაახსენდა თუ არა...“ (თუმცა, კონტექსტის მიხედვით, იგივე ფრაზები პირდაპირი მნიშვნელობითაც გვხვდება: „შევიდა კიდევაც“, „გაახსენდა კიდევაც“...);

**-ჟი, -ჩუ, -სგა, -ქა** ელემენტების აღნიშნული ფუნქციები, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ მოწმობს ისტორიულად მათ დამოუკიდებლობას, თუმცა, დღეს მათი როლი შესიტყვებაში, ძირითადად სემანტიკური აქცენტუაციაა, რაც პარონომზიასთან მიმართებითაც დადასტურდა.

## **ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი** (თბილისი)

### **ლექსემა „ვასაკას“ წარმომავლობისათვის**

„ვასაკა“ ხის პატარა მწვანე ბაყაყია. ზემო იმერულში ეს სიტყვა ბგერათა მეტათეზისით – „ვაკასა“ გვხვდება.

მოხსენებაში გამოთქმულია ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეს სიტყვა ქართულში შემოსულია ბერძნულიდან – Basiliskos (წმინდა წერილი, ფსალმუნნი) თარგმანის გზით.

## **ნ უ გ ზ ა რ მ გ ე ლ ა ძ ე , მ ა მ ი ა ფ ა ლ ა ვ ა** (ბათუმი)

### **დეესქელი'ს სემანტიკისათვის**

კლარჯეთი ისტორიული სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინცია იყო. დღეს იგი თურქეთში მდებარეობს, ადრე კი არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე არ-

სებულ მიწა-წყალს, კერძოდ, მდინარე ჭოროხის ქვემო დინების აუზს მოიცავდა.

კლარჯეთი თავდაპირველად ერთ-ერთი დიდი ხევი იყო. მის ფარგლებში არტანუჯის, ეგრის, ნიგალის ხეობები წარმოიქმნა. კლარჯეთის თითოეული ხეობა, თავის მხრივ, პატარა ხეობებად იყოფა, რომელთა შორის ნიგალი წარსულით, ისტორიითა და კულტურით განსაკუთრებით საყურადღებოა. ვახუშტი ბატონიშვილი ჭოროხს მდინარეს, ხოლო ნიგალს – ხევს უწოდებდა. აი, რას წერდა ბატონიშვილი: „ჭოროხის მდინარე იწოდა ქვა-ყრილობით და რიყოვანობით მას შინა მყოფთასა, რამეთუ მის მიერ დის მჩქეფარედ და ჩქარად, და ჰვესა მისსა ლიგანის-ჰვევად, კლდოვან განლიგებისათჳს ანუ დაბისაგან“. შესაბამისად, ნიგალიც ხევეებად ნაწილდებოდა, რომელთა შორის **მურღული**, **ქლასქური** და **დევსქელი** გამოირჩეოდა. დევსქელის ხევი თანაბარ ხევებთან ერთად ისტორიულად და ტერიტორიულად ნიგალში თუ შედიოდა, რომელიც, თავის მხრივ, გეოგრაფიულად და სოციო-პოლიტიკურადაც კლარჯეთის მხარეში, უფრო დიდი ხეობის შემადგენლობაში ერთიანდებოდა, მაშინ ყველანი ტაოსთან, კოლა-არტანთან და სპერთან ერთად განმსაზღვრელი ხეობის – ჭოროხის შემადგენელი ნაწილი იყო. სწორედ ამდგვარმა ერთობლივმა სახეობო დანაწილებამ და საერთო ისტორიულმა და პოლიტიკურმა ბედ-იღბალმა მათ კულტურულ ერთობაზეც საგრძნობი გავლენა მოახდინა.

**დევსქელი**, რომელიც ბორჩხის რეგიონულ დარაიონებაში შედის, რამდენიმე სოფლისაგან შედგება. ესენია: **ბაგინი**, **არგეთი**, **შუახევი** და **დევსქელი**. როგორც ვხედავთ, **დევსქელი** სოფელთა ერთობლიობა – თემის (/ხევის) ტიპის დასახლება იყო, რომელიც არა მარტო კლარჯეთისათვის, არამედ შუასაუკუნეების მთელი საქართველოს სახეობო სისტემისათვის იყო დამახასიათებელი. ამიტომაცაა, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ტერმინი **ხევი** (**ვეუ**) ხეობაში ჩამოყალიბებული თემის თუ თემთა კავშირის თანაბარ ცნებას წარმოადგენდა. დევსქელი იყო თემი, მაგრამ იმავდროულად – სოფლის სახელწოდებასაც წარმოადგენდა, რომელიც შემდეგ მის შემადგენლობაში შემავალი დასახლებული პუნქტების ზოგად სახელწოდებად იქცა. ეს დასახლებული პუნქტები ქლასქურის ხევის (/თემის) ფარგლებში დამოუკიდებელ

სოფლებად ჩამოყალიბდნენ და დროთა განმავლობაში თავად დაადგნენ დიფერენციაციის გზას და მცირე დასახლებულ პუნქტებად – უბნებად დაიყვნენ, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა **მაჰელე**საც უწოდებს. დევსქელში ასე გაჩნდა ისეთი დასახლებული პუნქტები, როგორებიცაა **ახალტყე, ახო, ბერისხევი, სათიბისხევი, ოხვათი, ჩიტაური, გაღმობანი...** სახელი **დევსქელი** თურქეთში, მარმარილოს ზღვის აუზში, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ერთ-ერთ სოფელს ჰქვია იმის გამო, რომ იქ კლარჯეთის სოფელ დევსქელიდან გადასახლებულნი ცხოვრობენ და პირველსაცხოვრისთან მოგონებების შესანარჩუნებლად დასახლებას მამა-პაპათა ისტორიული საცხოვრისის სახელი დაარქვეს.

რას უნდა ნიშნავდეს **დევსქელი**? დევსქელი ქართული წარმოების გეოგრაფიული სახელწოდებაა და ორი ნაწილისაგან შედგება: **დევ-სქელი**. პირველი დაკავშირებული უნდა იყოს ქართული მითოლოგიური და ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟთან – **დევთან**, ხოლო მეორე, – **სქირთან**. **დევი** ქართულ ტოპონიმიკაში ხშირად ფიგურირებს, უფრო ზუსტად, საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში ადგილის აღმნიშვნელად დევსქელის ტიპოლოგიურად მსგავსი წარმოება ხშირად გვხვდება. რაც შეეხება **სქელ**ს იგი ამკარად **სქირ**'ის (**სკირ**'ი) ფონეტიკურად სახენაცვალი ფორმაა. ფაქტობრივად, აქ ჩვენ სახეზე გვაქვს **დევ-სქირი**, რაც დევის წყალს, დევის ხევს ნიშნავს. რეგიონში მსგავსი წარმოებისაა **ქლას-ქური** და სხვა ტოპონიმები. საერთოდ, **სქირ, ხი, ყვა** ქართველურ ენათა სამყაროში ტიპოლოგიურად თანაბარი მნიშვნელობების ცნებებია, რომლებიც სხვადასხვა ქრონოლოგიურ, მაგრამ მონათესავე ეთნოლინგვისტურ დონეებზე არსებოდნენ. მურღულის მხარეს გვხვდება სოფლის სახელწოდება **წყალყა**, რაც იგივე **წყალყვა**'ა. ამდენად, **სქირ**, ისე როგორც **ხი (ხე//ფხე)** და ყვა ქართველურ ენებში, ერთი მხრივ, წყალს, მდინარეს, ხეობას, ხოლო, მეორე მხრივ, შვილს, შთამომავლობას აღნიშნავდნენ. დროთა განმავლობაში მათი დამოუკიდებელი მნიშვნელობები ენაში გაუცხოვდა. ისინი სუფიქსებად ჩამოყალიბდნენ, ან ამა თუ იმ სიტყვაში გაქვავდნენ.

## მანანა მიქაძე (ქუთაისი)

### დიალექტიზმების ადგილისათვის ოტია იოსელიანის თხზულებათა ენაში

1. რეალისტური მიმართულება განსაზღვრავს მწერლის ენის სისადავესა და ხალხურობას. ოტია იოსელიანს, რომელიც ძირითადად იცავს ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, იმერეთის მეტყველებიდან ამოუკრებია და გამოუყენებია მრავალი მადლიანი ქართული სიტყვა. მწერალმა თავის ნაწარმოებებში უხვად გამოიყენა იმერიზმები პერსონაჟთა ტიპიზაციისა და კოლორიტის შექმნისათვის, და ქართულ მწერლობას ერთხელ კიდევ გააცნო იმერულისათვის დამახასიათებელი გრამატიკული თუ ლექსიკური თავისებურებანი.

ოტია იოსელიანი იმ თაობის მწერალია, რომელიც საზოგადოებრივ ასპარეზზე XX საუკუნის 50-60-იან წლებში გამოვიდა. მან იმთავითვე მკაცრად გააზრებული ენობრივი პოზიცია დაიკავა, რომელსაც თანმიმდევრულად ამკვიდრებს თავის შემოქმედებაში, ამ მხრივ ნიშანდობლივია მისი სიტყვები:“ რა არის ერის ფუძეთა ფუძე? საწყისი და სასრული? დედა მშობელი, წარსული, აწმყო და მომავალი, ვინაობა, გვარი, ჯიში თუ ჯილაგი?..

ენაა ერის სული!

რაა ერი, რაა ქვეყანა, ვინაა, თუ არა ენა?

ენა მხოლოდ ენა!

ენა ერს სულივით თან ახლავს და უმისობა კი არა, ხელყოფაც კი სენია, დაავადება და დახეიბრება (ერთი წვეთი ნავთი აფუჭებს მთელ ჭურ ღვინოს). მარტო ის კი არა, რაც ენას შეუქმნია და დღემდე მოუტანია, თუ ყოველდღე არ ვითარდება და არ მდიდრდება, ერი ჩამორჩება და დაკნინდება.

ენას ყოველთვის უნდა სულის ბერვა, ყოველ სიტყვას წვდომა, მისი ჟღერადობის, მუსიკალობის, ჩრდილმა ხომ არ დაჰკრა, სხვა ელფერი ხომ არ შეეპარა, უცხო ვინმე ხომ არ შემოეხიზნა? ენის მარტო ზედმიწევნით ცოდნა კი არა – რწმენა უნდა გქონდეს. ზედ ხატივით ლოცულობდე და ცვილის სანთელს უნთებდე.

ენა ერის სიწმინდეა, წყაროს თვალივით გამჭირვალე უნდა იყოს, კამკამა და არა მღვრიე, თავკომბალეებითა და ლორტაკებით არიალებული.

ენა ლოცვაა. ღმერთებმა, სადაც გაგაჩინეს, იმ ენაზე გისმენენ. შენი ენა შენი უფლისაცაა.” (ლიტერატურული საქართველო”, 1999, 16-23 აპრილი, „ენა ერის სული” ო. იოსელიანი)

2. ოტია იოსელიანის ნაწარმოებები იმერული დიალექტით შეზავებული მსუბუქი ქართულითაა დაწერილი. კარგ სტილს, როგორც ცნობილია, არასოდეს ძალდატანების დაღი არ აზის, იგი მუდამ ბუნებრივი და თავდაჭერილია. აზროვნება ემოციური და მეტაფორული. მის ენაში შენიშნული ცოცხალი მეტყველების თავისებურებანი ემყარება ძირითადად იმერული დიალექტის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და ლექსიკურ თავისებურებებს. მათ ავტორი ძირითადად დიალოგებში, პერსონაჟთა მეტყველებაში იყენებს ადგილობრივი კოლორიტის შესაქმნელად.

3. ფონეტიკიდან საყურადღებოა ასიმილაციის, დისიმილაციის, ბგერათ დაკარგვის შემთხვევები.

ოტია იოსელიანი ის შემოქმედია, რომლის თხზულებებიც მდიდარ მასალას იძლევა ენაში დაუნჯებული ლექსიკური ერთეულების წარმოსაჩენად. დიალექტში შემონახული, მწერლის მიერ მოპოვებული და მხატვრული ტექსტის მეშვეობით სალიტერატურო ენაში შემოტანილი სიტყვები ფაქტობრივად ენის სარეზერვო ფონდს წარმოადგენს. მწერლის ენაზე მუშაობისას ავირჩიეთ ლექსიკურ ერთეულთა დაჯგუფების შემდეგი პრინციპი:

ა) იმერულისათვის დამახასიათებელი ის სიტყვები, რომლებიც იმავე ან განსხვავებული მნიშვნელობით სხვა დიალექტშიც გვხვდება და საკუთრივ იმერიზმები, რომლებიც მწერლის ენისათვის მეტად დამახასიათებელია (მაგალითად ილლიტება, იქაქება, იქინდრება, იხუნტრუცებს, იძლინკებოდა, იჯღვარკება, ლაბზიანი, ლეჭო, კოხრო, კულუმბური და ა.შ.).

ბ) სიტყვები, რომლებიც არ დასტურდება დღემდე არსებულ ლექსიკონებში (ყეჟერა, ქვეჯაშნიკა, დეიდღვინკება, გოჩანთია, დორდუმლარიანი).

**1. სიტყვები, რომლებიც ძირითადად იმერულისთვისაა დამახასიათებელი**, მაგრამ იმავე მნიშვნელობით სხვა დიალექტებშიც გვხვდება: აქედან ნაწილი ლექსიკონებში შესულია:

**აკვინტიზიზაცია** (გურ) აოხრება, აკლება [ალ. ღლონტი, 27]: „ისე აკვინტიზიზაცია, ვეღარ მოახერხეს მისი გაჩერება” (ო. იოსელიანი, ნოველები, „ღრუბლიან ღამეს”, გვ. 226).

**იქაქება** – ცეცხლს ეფიცება [ლ. უკლება, 60]: „დიდხანს იქაქებოდა ცეცხლთან” (ო. იოსელიანი, ნოველები, „ქვირვის ცრემლები”, გვ. 100).

**კორტოხი** – გორაკი, ბეჭი, მადლობი [ქეგლ, IV, 146]: „სულ-მოუთქმელად ამოიბრინა კორტოხი და სერზე შედგა” (ო. იოსელიანი, ნოველები, „ღრუბლიან ღამეს”, გვ. 227).

**ლაბზიანი** – დიდტუჩებიანი [ღლონტი, 340]: „ერთი ლაბზიანი ბავშვი ჰყავდა და იმით ამაყოფდა” (ო. იოსელიანი, ნოველები, „თბილი რძე”, გვ. 464).

**გვანგვალი** (ლექს.) – გვანგვალი [ღლონტი, 282]: „მალე ირინეც მოკვანგვალდა” (ო. იოსელიანი, ნოველები, გვ. 227).

## 2. სიტყვები, რომლებიც არ დასტურდება არსებულ ლექსიკონებში:

**ყეყერა** – გამხმარი ღერი: „ყეყერებით ამოვესო საქონლისათვის ბოგა” (ო. იოსელიანი, ნოველები, გვ. 227).

**ქვიჯაშკინა** – იტყვიან შეუხედავ, ძალიან დაბალ ადამიანზე: „უცებ ძაბორძიკდა ქვიჯაშკინა ქეთო” (ო. იოსელიანი, ნოველები, გვ. 122).

**გოჩანთია** – იტყვიან ისეთ ადამიანზე, რომელიც ვერ ძღება: „თავის გოჩანთიობით სული ამოხადა ისიდორეს” (ო. იოსელიანი, ნოველები, გვ. 327).

წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალაც საკმარისია დასკვნისათვის, რამდენად თვითმყოფადია ო. იოსელიანის ენა.

დიალექტთა წარმოქმნისა და განვითარების პროცესში ფონეტიკური მოვლენები ყველაზე უფრო ადრე იჩენენ თავს. ამავე დროს ძალიან დიდხანს ძლებენ და ერთგვარ წინააღმდეგობასაც ავლენენ ენის ნორმალიზაციის ტენდენციებისადმი.

### ასიმილაცია

ო. იოსელიანის ნაწარმოებებში ძირითადად ხმოვანთა რეგრესული მიმართულების, ნაწილობრივი ასიმილაცია გვხვდება, რომელსაც უმლაუტი ანუ მეტაფონია ეწოდება:



1. „რავა გეკადრებათ! ჩვენი ქორწილი ვინ **გეიგონა**” (გვ. 565).
  2. „მოგეწონება, მარა ხეირიანად კი ვერ **გეიგნებ!**” (გვ. 566).
  3. „რავა სულ **დეივიწყე** საწყალი მამაშენი” (გვ. 575).
  4. „შე კაცო ჭიქა წყალი არ **დოულევიათ**” (გვ. 583).
- ყველა მაგალითში ასიმილატორია **ი**, ხოლო ასიმილირებულია **ო** და **ა**.

კანტი-კუნტად შეგვხვდა სრული ასიმილაციის შემთხვევებიც:

1. შარშანწინ თოვლობაზე ურემი გადოუბრუნდა და ბარძაყზე **დეცა**”.

თანხმოვანთა ასიმილაციის პროცესი ზოგჯერ რელიზდება ლიტერატურულ წარმოდგენებშიც. მაშინ, როცა ხმოვნებში გავრცელებული ბგერათცვლილებების ეს სახე თითქმის ყოველთვის დიალექტური მოვლენაა.

ქვემოიშერულში ასიმილაციური გაყრუება ბევრად ჭარბობს ასიმილაციურ გამჟღერებას:

1. „ხარი კოლექტივმა გაწყვიტა, ჩააბარა სახორცეთ, და გლახს **რალათ** უნდა” (გვ. 567).
2. „**თელათ** გამოვედი ნამუსიდან” (გვ. 567).
3. „ვიგუნებ ხომ არავინ გვესტუმრა-თქვა და ისე **აგითი-ნოთ** ღმერთმა ყოველი კაი და კაი”.

განვითარების ყველა ეტაპზე ქართულში ძლიერ მოქმედია ასიმილაციური გაყრუების კანონი, ხოლო სუსტია ასიმილატორული გამჟღერების ტენდენცია.

ო. იოსელიანის ენაში ასიმილაციური გამჟღერების ნიმუშები ვერ დავადასტურეთ.

**დისიმილაცია.** ო. იოსელიანის ნაწერებში ვერც ხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევები დავადასტურეთ, ხოლო თანხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევები საკმაოდ აღირიცხება:

1. „ღმერთო, სული ამომხადე, **რავალი** ჩაგალტუკებული ხალხი შეწუხდა”.
2. „უი, **რავალი** კაი ხალხი ყოფილა” (გვ. 505).
3. „**რავა** არ გამიხმა ენის კლიტე, არ ჩამივარდა პირში ალის ქარი!” (გვ. 569).

1. ო. იოსელიანის ნაწარმოებებში ვერც ხმოვანთა სუბსტიტუციის შემთხვევები დავადასტურეთ, თუმცა თანხმოვანთა ჩა-

ნაცვლების ანუ სუბსტიტუციის შემთხვევები მრავლად შეგვხვდა:  
1. „**კარქი**, ღმერთმა ჩემს მოკეთეს მისცეს” (გვ. 582).

**ბგერათრედუქცია:**

2. „ხბობაზე ყიდიან **საწვადეთ**, ბატონო, ნამეტანი აქებენ ხბოის **წვადს**”. (გვ. 506). (გაუჩინარებულია მ ბგერა).

3. „ბოვშმა რა ქნას ბატონო, ფეხებში გვედება და აღარც **სტავლაა** მისთვის” (გვ. 564).

ო. იოსელიანის თხზულებათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მწერლის ენაში შეიმჩნევა ის ფონეტიკური თავისებურებანი, რაც დამახასიათებელია იმერულისათვის.

მწერლის ენის საკითხი ამოუწყავია, ო. იოსელიანის ნაწერებიც ამის უზღვავე შესაძლებლობას იძლევა. სათქმელი უნდა ითქვას. ოტია იოსელიანი მე-20 საუკუნის ქართული მხატვრული სიტყვის კლასიკოსია, თავისი მრავალფეროვანი, მკითხველზე ორიენტირებული თხზულებებით არა მარტო გაამდიდრა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა, იმერეთიდან დანახული სიცოცხლის ხალისი გადადო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მაშინდელი დედამიწის მეექვსედს, ევროპის თეატრის სცენებს, კინოხელოვნებას და ამდენად, უკვდავებაც მოიპოვა.

## **ც ი ა ლ ა ნ ა რ ა კ ი ძ ე** (ბათუმი)

### **ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი ჩვენებურების ქართულში**

თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მოქცეული ისტორიული საქართველოსა და ქართული მუჰაჯირებით დასახლებულ რეგიონებში პროფ. შ. ფუტკარამის მიერ უხვად დაფიქსირებული ჩვენებურთა ფოლკლორული და დიალექტოლოგიური მასალების ანალიზისას გამოვლინდა ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი.

საყურადღებოა, რომ ზანურ ლექსიკურ ელემენტთა შორის იმერხეულში და მუჰაჯირი ქართველების შთამომავალთა მეტყველების ნიმუშებში მეტწილად ლაზური (ჭანური) დიალექტური

ფორმები გვხვდება. საქმე ისაა, რომ იმერხეული დიალექტი მთელი ისტორიის მანძილზე უშუალო კონტაქტშია ლაზურთან ანუ სამხრეთ ზანურთან, როგორც მეზობელი მხარის მცხოვრებთა მეტყველებასთან.

სუბსტრატი განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი ჩვენებურთა ლექსიკაში. ასე მაგალითად: **კოდანი** (მუმლი), **ჩიჩქვი** (ნორჩი, ნაზი, ახალი), **ხჩინვა** (მოურიდებლად სიცილი), **ჯუმადია** (დეიდას ან მამიდას მეუღლე), **ლუქუსი** (სანთელი), **ჩალახეში** (აკვნის ლების მასალა), **ჩანჩი** (ქუნჩალი), **კობო** (ხის მორის გადანაჭერი), **ცურნე** (ჯიქანი), **ქუნცხი** (ეკალ-ბარდი), **შუშე** (ჭიქა), **ბადიში** (შვილიშვილი) და სხვ.

ზანური ენის კვალი კარგად ჩანს ტოპონომიაშიც. საკვლევ რეგიონში ხშირად გვხვდება „ზან“-ით, „ლაზ“-ით, „ჭან“-ით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები: **ზანავრი** სათესი (სოფ. წეთილეთი), **ლაზიენთი** სოფ. უბანი (სოფ. ჩაქველთა), **ჭანური** სათესი (სოფ. ჭუარები)...

ჩვენებურების ქართულში ზანიზმების მიზანდასახული შესწავლა, უეჭველია, უფრო ღრმად ჩაგვახედებდა არა მარტო საკუთრივ ზანიზმებში, არამედ ჩვენებურების ქართულის თავისებურებებში. ამ მიმართულებით ფართო კვლევა-ძიება, ვფიქრობთ, მომავლის საქმეა.

## **ნ ა ნ უ ლ ი ნ ო დ ა ი დ ე ლ ი** (ბათუმი)

### **რამდენიმე არქაული ტერმინისათვის აჭარულ დიალექტში**

აჭარული დიალექტი ერთ-ერთი საინტერესო საკვლევია ობიექტია ლექსიკის თვალსაზრისით. მისი შესწავლა საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ არქაული ეპოქების კუთვნილი ერთეულები. ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ტერმინებს: **წმასნა** (გრეხა, კლავნვა), **ჭიბოშანი** (ხის დასამუშავებელი იარაღი), **წმინდა** (წვრილი, დახვეწილი), **(რ)წმელა** (სელის აჭარული სახელწოდე-

ბა), რომლებიც აჭარულ დიალექტში სხვადასხვა სამეურნეო დარგის ლექსიკას მიეკუთვნებიან და სხვადასხვა ეპოქის ისტორიასთან გვაახლოებენ. ამ ტერმინთა ეტიმოლოგიური კვლევით შესაძლებელია მათი აღდგენა საერთოქართველურ და ზანურ-ქართულენობრივ ურთიერთობათა დონემდე. ამავე დროს, მათი ნაწილი აჭარულ დიალექტში ზანური სუბსტრატის ნიმუშს წარმოადგენს.

## **ნიკოლოზ ოთინაშვილი** (გორი)

### **ენობრივ-დიალექტოლოგიური ძიებანი ფრონეს ხეობიდან**

ფრონეს ხეობა მდებარეობს შიდა ქართლში, რომელიც რამდენიმე მცირე მდინარისაგან ძირითადად დვანის ფრონე, ფცის ფრონე და ალის ფრონესაგან – არის შემდგარი. მათი მცირე შენაკადები კი ხევებად იწოდებიან, რომელთა სახელები დასახელებული პუნქტების მიხედვით არის დარქმეული. მაგალითად ნულის ხევი, გომართის ხევი, ოჟორის ხევი, ოჟორ წყალი, ლოპანის წყალი და სხვა.

ლოპანის ხეობა მდებარეობს ფცის ხეობის დასავლეთით, რომლის ქვედა ნაწილი ქარელის რაიონში შედის, ხოლო ზემო, ჩრდილოეთის მხარე ოკუპირებულია. მასალები ჩავიწერეთ სოფელ კოდაში, აბისში, აგარაში, მოხისში, სადაც დევნილი მოსახლეობაა ძირითადად თავმოყრილი, ხოლო ადრე ჩაწერილები გადავამოწმეთ.

ხეობის მოსახლეობას საჩხერის რაიონთან სიახლოვის გამო მეტყველებაში დაცული აქვს ზემო იმერულისათვის დამახასიათებელი მოვლენები ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, ლექსიკაში. ამასთან ხდება ქართლურ დიალექტთან შერევის პროცესი, რომელიც საყურადღებო უნდა გახდეს მომავალი კვლევისათვის.

ხეობაში შტოგვარის საწარმოებლად ჩნდება -ებ სუფიქსი: მაგალითად კაპანაძეებისაგან ბაინდრები, ჭეჭელები, წერაქვები. მაჭარაშვილებისაგან – კუდეები, ტოტიკები, შოლტეები, ჭყვივლები და სხვა, თუმცა სხვა სოფლებთან სიახლოვის გამო -ანთ წარმოებაც ხშირია.

ხეობის მეტყველებაში თავს იჩენს მთელი რიგი ფონეტიკური და მორფოლოგიური მოვლენები.

## **რ უ ს უ დ ა ნ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი** (თბილისი) **ფერეიდნული დიალექტის ზოგიერთი** **საკითხისათვის**

ოთხი საუკუნის განმავლობაში სალიტერატურო ქართულისაგან სრულმა მოწყვეტამ და უცხოენოვან გარემოში მოხვედრამ დიდი რაოდენობით ირანიზმები გააჩინა ფერეიდნულ დიალექტში. ფერეიდნულ მეტყველებაში განსაკუთრებით ძლიერია ახალი სპარსულის გავლენა. სპარსულმა ლექსიკამ მოიცვა მეტყველების ყველა ნაწილი, გარდა ზმნისა (ზმნა ყველა შემთხვევაში თარგმნილია).

ამ კუთხით საინტერესო სურათს იძლევა ფერეიდნულ კომპოზიტებზე დაკვირვება. ფერეიდნულ კომპოზიტებში ძირითადად გვხვდება ვარიანტები, როცა ორივე კომპონენტი სპარსულია: **სიაჰ-სორფა** (სპარს. **siyāhsorfe** “ყივანა ხველა“, სპარს. **siyāh** „შავი“, სპარს.**sorfe** „ხველა“); **ჰაფთსანგ** (სპარს **haftsang** „შვიდქვა“ (თამაშის სახეობაა), სპარს. **haft** „შვიდი“, სპარს. **sang** „ქვა“; **რახთეხაბ** (სპარს.**raxt(e)xāb** „საწოლი“, სპარს. **raxt** „ტანსაცმელი“, „სახლის მოწყობილობა“, სპარს. **xāb** „ძილი“; **ქოთოშალვარ** (სპარს. **Kotošalvār** „კოსტიუმი“, სპარს. **Kot** „ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი, წელზევით ჩასაცმელი“, სპარს.**šalvār** „შარვალი“; **აბლიმუ** (სპარს. **ablimu** „ლიმონის წვენი“, სპარს. **āb** „წყალი“, სპარს. **limu** „ლიმონი“; (სპარს. **ფესტუნბანდ** (სპარს. **peštānband** “ზიუსტკალტერი“, სპარს. **peštān** „მეკრდი“, სპარს.**band** „შეკვრა“; **დამფოხთ** (სპარს. **dampoxt** „ორთქლზე დამზადებულო“, სპარს. **dam** „ორთქლი“, სპარს. **poxt** – აწმყო დროის ფუძე ზმნიდან **poxtan** „ხარშვა“. 2. იშვიათად გვხვდება კომპოზიტები, როცა ორივე კომპონენტი ქართულია. მაგ.: **ბიძას ბიჭი**. ჩვენ ვარაუდით, ეს ის შემთხვევაა, როცა მთქმელისათვის ეს არის არა ერთცნებიანი კომპოზიტი, არამედ მსაზღვრელ-საზღვრული, რადგან ამ ტიპის კომპოზიტებში ისეთივე წყობაა, როგორც იზაფეთური კონსტრუქციის დროს. თუმცა სპარსულ ენაში **fesaramu** (სპარს. **pesar** „ბიჭი“, სპარს.**amu** „ბიძა“) ბიძაშვილი“ კომპოზიტია. სა-

ყურადღებოა, რომ იგივე მთქმელი ხმარობს შერეულ ვარიანტსაც: **ამუას ბიჭი**.

კომპოზიტებთან დაკავშირებით ანალოგიური ვითარებაა საშუალო ქართულის ძეგლში, „რუსუდანანში“. ჩვენ მიერ განხილულ კომპოზიტთა უმეტესობა სპარსულიდანაა ნასესხები ან კალკირებულია. მაგ.: **დივანხანა, ფეშხანა, ყუშხანა, ხალვათხანა, ძროხაკუდი** „საყვირი“ (სპარს. **dom gāv** „საყვირი“, სპარს. **dom** „კუდი“, სპარს. **gāv** „ძროხა“); **მოსვლა და წასვლა** (სპარს. **raft o šmad** „მისვლა-მოსვლა“, სპარს. **raft** „წასვლა“, სპარს. **šmad** „მოსვლა“).

განსხვავებული ვითარებაა მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში. ფერეიდნულ დიალექტში გამოყენებულია მსაზღვრელ-საზღვრულის სპარსული მოდელი – იზაფეტური კონსტრუქცია. ეს არის სიტყვათა შეერთების სინტაქსური მეთოდი დამატებითი ნაწილაკის მეშვეობით, რომელიც თავსდება ორ სიტყვას შორის. ეს ნაწილაკი აერთიანებს ორ ან მეტ წევრს. ფერეიდნულ დიალექტში მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში შემდეგი ვითარებაა: 1. მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის ერთი სპარსულია, მეორე კი ქართული. მაგ.: **ხურდა თითი, ომარის თითი**. 3. მსაზღვრელიცა და საზღვრულიც სპარსულია, თანაც გამოყენებულია მსაზღვრელ-საზღვრულის სპარსული მოდელი. მაგ. **ქეშვარე მესრი** (სპარს.**kešvar** „ქვეყანა“, სპარს.**mesr** „ეგვიპტე“); **ქაფე დასთ** (სპარს.**kaf-e dast** „ხელის გული“, სპარს. **kaf** „გული“, „შიგნითა ნაწილი“, სპარს. **dast** “ხელი“, e-იზაფეთის მაწარმოებელი ნაწილაკი. 4. მსაზღვრელიცა და საზღვრულიც ქართულია, ანუ კალკირებულია. მაგ.: **ფეხის ტახტი** „ფეხის გული“; **ფეხის ზურგი** „ფეხის ზედა ნაწილი“.

როგორც ფერეიდნულ კომპოზიტებსა და მსაზღვრელ-საზღვრულზე დაკვირვებამ გვიჩვენა, უმეტესად კომპოზიტების ორივე კომპონენტი სპარსულია, ხოლო მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში გვხვდება მისი სხვადასხვა ვარიანტი: ქართული, ქართულ-სპარსული და სპარსული.

## იზოლდა რუსაძე (ქუთაისი)

### ზოგიერთი მოსაზრება ქუთაისის ერთ-ერთი უბნის სახელწოდების შესახებ

ქ. ქუთაისი რამდენიმე უბანს აერთიანებს: საფიჩხია, გოჭო-ურა, მწვანეყვავილა, ბალახვანი, ოლასკურა, ვაკისუბანი, ავტოქარ-ხნის დასახლება...

საინტერესოა „ვაკისუბნის“ სახელწოდების საკითხი.

„ვაკისუბნის“ ტერიტორია 45 ჰა-ზეა გადაჭიმული, აერთიანებს ცხრა ქუჩას. მათ შორის: ოცხელის, ზაქარიადის, კ. გამსახურდიას, თოფურიას, თაბუკაშვილის, მაისურაძის, დადიანის, ხუნდაძისა და ფელიქს კაკაურიძის (ყოფილი თაბუკაშვილის ქუჩის ერთი მონაკვეთი) ქუჩებს. 2014 წლის აღწერით აქ 5100 ოჯახი სახლობს. მათ შორის: 86 მაღლივი კორპუსი და 750 კერძო მოსახლეა, 21300 მცხოვრებით.

ნაშრომში წარმოდგენილი გვაქვს დღევანდელი ვაკისუბნის სახელწოდების ეტიმოლოგიურ-გრამატიკული განხილვა.

დაახლოებით ორი ათეული წლის წინ დღევანდელ „ვაკისუბანს“ თავისი მოსახლეობა „ბაკისუბანს“ ანუ შემოკლებით „ბაკისუმას“ უწოდებდა.

საანალიზო ტოპონიმის შესახებ სხვადასხვა საუკუნეში სხვადასხვა ავტორის ან რედაქტორის მიერ სხვადასხვა ტერმინია გამოყენებული:

„ბუკისუბანი“ – ე. თაყაიშვილი, დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წელს, ტფ., 1915, გვ. 16.

„ბაკისუბანი“ – სამჯერ არის გამოყენებული 1622 წელს (ს. კაკაბაძე, III, 1928, გვ. 24).

„ვაკისუბანი“ – 1773 წელს, შეწირულობის წიგნი სოლომონ მეფისა ქუთაისის ტაძარს (შ. ბურჯანაძის მიერ გამოცემული ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა, I, 1959, გვ.131; ს. კაკაბაძე, IV, 1929, გვ. 78, 80, 97).

ამ ტოპონიმის ეტიმოლოგიას ნახევარი საუკუნის წინ, კერძოდ, 1964 წელს (გაზეთი „ქუთაისი“, 1964, 20 მარტი, № 64

(9555); 10 მაისი, №92 (9583) პირველად შეეხო პროფ. მიხეილ ალავიძე, რომელიც ემყარება რა ისტორიულ დოკუმენტს, „ქუთათისის საყდრის გამოსავალი ზეგრის დავთარს“, შედგენილს 1578 წელს, მიიჩნევს, რომ ამ უბნის უძველესი სახელწოდება არის „ბუკისუბანი“. მეცნიერი აანალიზებს ამ კომპოზიციის ორივე ნაწილს, მაგრამ არასწორად აქვს ახსნილი ამ თხზული სახელის პირველი ნაწილის „ბუკის“ მნიშვნელობა.

ჩვენი მოსაზრებით, რომელიც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურას ეყრდნობა, მართებულია პროფ. მიხეილ ალავიძის მეცნიერული კვლევა ტოპონიმ „ბუკისუბნის“ სიძველისა და სისწორის შესახებ. ეს დასკვნა გავამყარეთ სათანადო მაგალითებით და გავასწორეთ ტოპონიმის განმარტება.

## **ნ ა ნ ა ს ა ა კ ა ძ ე (თბილისი )**

### **მესაქონლეობის ტერმინები ქვემოქართლელთა მეტყველების მიხედვით**

ქვემო ქართლის მეურნეობა მრავალფეროვანია. სწორედ ამან განსაზღვრა ამ კუთხეში მცხოვრებთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ფონდის სიმდიდრე, რაც ძირითადად დარგობრივ ლექსიკაში აისახა. ამ მხრივ აღსანიშნავია ამ რეგიონის ისეთი უძველესი დარგი, როგორიცაა წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის მოშენება.

მეურნეობრივი ცხოვრების წესის ცვლილება-განვითარების გამო ქვემო ქართლში დავიწყებას ეძლევა როგორც მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული მდიდარი დიალექტური სალექსიკონო მასალა, ასევე მესაქონლეობის ლექსიკა, რაც კუთხური მეტყველების საუნჯეს შეადგენს.

ქვემოქართლური მესაქონლეობის ლექსიკის ფასეული ნიმუშები შემონახულია ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაში, სამეურნეო ურთიერთობის ამსახველ ხალხურ ქმნილებებში. აღნიშნული არეალის წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ლექსიკა, დარგობრივად, შეიძლება ითქვას, დღემდე შესწავლილი არ არის. მისი დრო-



ული გამოვლენა-აღნუსხვა კი საშური საქმეა, რადგან ენობრივი ნივლირებისა და ურბანიზაციის პროცესის გაძლიერების გამო თანდათან დავიწყებას ეძლევა აღნიშნულ ლექსიკასთან დაკავშირებული დიალექტური სალექსიკონო და ნასესხები (ყაზახურიდან) საზიარო დიალექტური ერთეულები, როგორებიცაა: **არალდი, არხაჯი, ბარა/ზერა, გერმა, დელამა, თაია, თირი, კარდალა, კომა, კორა, ქურა, სარქალი** და სხვა.

მესაქონლეობის ლექსიკა ქვემოქართლური დიალექტური ლექსიკური ფონდის შემადგენელი ერთი ნაირგვარი და საინტერესო ნაწილია. იგი შეიცავს საერთოენობრივი თვალსაზრისით საყურადღებო ლექსემებს, რომელთა ნაწილი არქაული ქართულიდან მომდინარეობს, გვხვდება სხვა დიალექტებშიც. ნაწილი კი სემანტიკურ დიალექტიზმებს წარმოადგენს, ან საკუთრივ ქვემოქართლური დიალექტური ლექსიკის კუთვნილებაა. საინტერესოა ასევე მესაქონლეობის ამსახველი ქვემოქართლური დარგობრივი ლექსიკის სემანტიკური სტრუქტურა. იგი საკმაო რაოდენობით შეიცავს როგორც პოლისემანტურ ლექსემებს, ასევე თავისუფლად მონაცვლე ლექსიკურ სინონიმებსა და რეგიონულად მონაცვლე სინონიმურ ლექსიკურ ვარიანტებს.

## **რუსუდან სადინაძე** (ქუთაისი)

### **მაია კიკვაძე** (ბათუმი)

## **მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები ფაზარის ჰამიდიეში** (ყოფა და ენობრივი სიტუაცია)

მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები დღეს სახლობენ თურქეთის სხვადასხვა რეგიონში, როგორც მთიან ადგილებში, ისე ზღვის სანაპიროზე, იმის მიხედვით, თუ საიდან არიან წასულები. მაგალითად, ქობულეთლების დიდ ნაწილს საცხოვრებლად უმეტესად ფაცა და ორდუ აურჩევია, შედარებით მცირე ნაწილი ქობულეთებისა (უმეტესად კვირიკედან) და ჩაქველებისა კი ისტორიულ სამშობლოსთან უფრო ახლოს, ქალაქ რიზეში, ფაზარის რაიონის სოფელ ჰამიდიეში დასახლებულა.

აღსანიშნავია, რომ რიზეში ორი **ჰამიდიე** არის: ერთი – ფაზარში, მეორე – რიზეს შესასვლელში. პირველი ჰამიდიე ერთადერთი ქართული სოფელია რიზეში, მეორე ჰამიდიეში მხოლოდ თურქები ცხოვრობენ.

რიზეს გარდა, ჰამიდიე დასტურდება თურქეთის რამდენიმე ადგილას: კოჯაელში, ბურსაში, ბილეჯიკში... ტოპონიმ „ჰამიდიეს“ სულთან აბდულ ჰამიდ ხანის სახელს უკავშირებენ.

თურქეთის რესპუბლიკის ტოპონიმებში ასახულია სხვადასხვა მიზეზის გამო ადგილშეცვლილ მუჰაჯირ ქართველთა ყოფა. ტერიტორიულად სრულიად განსხვავებულ რეგიონებში ერთი და იმავე ტოპონიმის არსებობას ზოგჯერ განაპირობებს ის, რომ ქართველები ახალ საცხოვრისს იმ ადგილის სახელს არქმევდნენ, საიდანაც გადადიოდნენ. ისინი ადგილს იცვლიდნენ და, რომ არ დაშორებოდნენ მას, თან მიჰქონდათ იმ ადგილის სახელი. ასეთია, მაგალითად, **ბორჩხა**, რომელიც, სავარაუდოდ, ართვინიდან ბურსაში, კერძოდ, ინეგოლში, გადასულებს დაურქმევიათ იქაური ჰამიდიესთვის. ამას ცხადყოფს ისიც, რომ მუჰაჯირებს კოჯაელში არსებული ჰამიდიესთვისაც **ბორჩხა** უწოდებიათ.

ფაზარის ჰამიდიე შავი ზღვის სანაპიროდან მაღლა მთისკენ არის გაშენებული. იქაურ ქართველთა გადმოცემით, სოფელში 40 ქართული კომლი ცხოვრობდა. ამჟამად 15 ოჯახია შემორჩენილი. მათი უმეტესობა მხოლოდ ზაფხულს ატარებს ჰამიდიეში. ქობულეთელ მუჰაჯირთა ფაზარის ჰამიდიელი შთამომავლები ძირითადად თურქეთის დიდ ქალაქებში - სტამბოლში, ანკარაში... ცხოვრობენ. ერთ დროს მხოლოდ ქართველებით დასახლებული სოფელი დღეს შერეულია: ჰამიდიეში ქართველებთან, მათ შორის, ლაზებთან, ერთად ცხოვრობენ თურქებიც. ფაზარის ჰამიდიეს **კუწუმა/ქუცუმა**საც უწოდებენ.

ფაზარის ჰამიდიელებს ახსოვთ თავიანთი ძველი გვარები: კონცელიძე (დღ. ფაშიოდლო), ხარაზი (დღ. ფასიოდლო), მემარნე (მამენოდლო), ჯაში, მჟავანაძე, გოგიტიძე, გუგუნავა, ცენტერაძე, ართმელაძე, ყენია...

ფაზარის ჰამიდიეში ენობრივი სიტუაცია თითქმის ისეთივეა, როგორც საერთოდ თურქეთის სხვა რეგიონებში და, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო მძიმე. ამის მიზეზი არის თითქმის დაცლილი სოფელი. უფროსმა თაობამ ასე თუ ისე იცის ქართული ენა, შუა თაობას

ესმის ქართული, იცის სიტყვები, მაგრამ ქართულ ენაზე კომუნიკაციას ვერ ახერხებს: ზოგი თურქულ საუბარში აქა-იქ ურევს ქართულ სიტყვებს (მაგალითად: *Benim gogo erkek gibi* = ჩემი გოგო ბიჭივით არის; *Televizyonda bende kartularis* = ტელევიზორში ქართული არხები მაქვს...). რაც შეეხება ახალ თაობას, ისინი საერთოდ ვერ ფლობენ მშობლიურ ენას.

ფაზარის ჰამიდიელი ქართველი მუჰაჯირები აჭარულ დიალექტზე, მეტწილად ქობულეთურ კილოკავზე, მეტყველებენ (მაგალითად: *თქვენ ახლად მოსულები ხართ; მე ნათესავიდან მეგობარ ქალი, ქორწილი არ ვიცი...*). ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ლექსიკაში. მათ შემონახული აქვთ: ქართული (ქობულეთური) კერძების სახელები (შრალი ფხალი, საცივი, ზეთიანი ქათამი, დედღური, ქუხიანი ლობიო, ამოლესილი ლობიო...), სამეურნეო ნაგებობათა და იარაღების აღმნიშვნელი ტერმინები (სახლის ფუძე, ღობე, საძროხე, საქათმე... თოხი, ნიჩაბი, ცული, წალდი...)...

მოხსენებაში უფრო ვრცლად იქნება განხილული ფაზარის ჰამიდიელში მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების ყოფისა და ენობრივი სიტუაციის ამსახველი მასალა.

## **მედეა საღლიანი** (თბილისი)

### **მოდრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკური გააზრებისათვის სვანურში**

მოდრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნები ნებისმიერ ენაში მოიპოვება და, ცხადია, ამ მხრივ გამოწვევის არც სვანური ენა წარმოადგენს, სადაც ამგვარი ზმნები საკმაოდ მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი. მათი ენობრივი ასახვა, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით საინტერესოდ და მნიშვნელოვნად ითვლება როგორც ლინგვისტური, ისე კოგნიტიური კვლევის თვალსაზრისით (ლ. ტალმი, ბ. ქობალავა, რ. გერსამია, მ. ლომია, რ. ჭკადუა, ნ. ლოლაძე...).

ამჯერად ჩვენი ყურადღება გამახვილდება სვანური *სვლის* აღმნიშვნელი ზმნური ძირების ძირითად ლოკაციურ მახასიათებ-

ლებზე და შეძლებისდაგვარად დადგინდება აღნიშნულ ზმნურ ფორმებში კოდირებული მოძრაობის მიმართულებისა და ორიენტაციის ტიპები (ანუ *სივრცული ლოკაციის თავისებურებები*); *დინამიკურობა, მოძრაობის სუბიექტი, მოძრაობის სახე, მოძრაობის დრო* და ა. შ.

*სვლის* ცნებას სვანურში სამი სხვადასხვა ძირის ზმნა გადმოსცემს, ესენია: 1. **ლ<sup>ი</sup>ზი** (ბზ., ლშზ., ჩოლ.), **ლიზი** (ბქ., ლნტ.) „სვლა, წასვლა“, 2. **ლიჭედ** (ზს., ქს.) „მოსვლა“ და 3. **ლიჩედ** (ზს., ქს.) „წასვლა, გაქცევა“; წარმოდგენილ ნაზმნარ სახელებში ზმნის აწმყოს ფუძე არ ჩანს; ისინი დეფექტურ ზმნათა ჯგუფს განეკუთვნებიან და დანაკლის ფორმებს სხვა ძირის ზმნებით ივსებენ (ვ. თოფურია, კ. გაგუა, მ. საღლიანი...).

მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელ ზმნურ ძირებს შორის, როგორც ადამიანისთვის ყველაზე ბუნებრივი და მნიშვნელოვანი აქტივობის გამომხატველი, სწორედ **ლ<sup>ი</sup>ზი/ლიზი** „სვლა“ მასდარია უფრო გავრცელებული, რომლის ძირეული ნაწილი (-**ზ**-) მხოლოდ მიმლეობურ ფორმებშია შემორჩენილი (**ლ<sup>ე</sup>ზი** (ბზ., ლშზ., ჩოლ.), **ლეზი** (ბქ., ლნტ.) „წასასვლეელი“; **ლ<sup>ა</sup>ზ** (ბზ., ლშზ., ჩოლ.), **ლაზ** (ბქ., ლნტ.) „სავალი“; **მ<sup>ე</sup>ზი** (ბზ., ლშზ., ჩოლ.), **მეზი** (ბქ., ლნტ.) „წამსვლეელი“; **ნ<sup>ა</sup>ზჷ** (ბზ., ლშზ., ჩოლ.), **ნაზჷ** (ბქ., ლნტ.) „წასული“; **ჷზა** (ბზ., ლშზ., ჩოლ.), **უზა** (ბქ., ლნტ.) „წაუსვლეელი“; **ლ<sup>ე</sup>ზნე** (ბზ., ლშზ., ჩოლ.), **ლეზნე** (ბქ., ლნტ.) „სავალი მანძილი“...), ხოლო ზმნური, უდღებადი ფორმები, როგორც უკვე ითქვა, სხვა ძირის ზმნებითაა გამოხატული, კერძოდ, აწმყოს წრის ნაკვეთებში გამოყენებულია **ღ<sup>ე</sup>რ**- ძირი, რომელიც ჩვეულებრივ იხმარება **ან/ეს||ას**- ზმნისწინებით (მაგ.: **ანდრი** „მოდის“, **ესდრი||ესხრი** „მიდის“...), თუმცა ზმნისწინიანი ფორმების პარალელურად უზმნისწინო ფორმებიც დასტურდება (შდრ., მაგ., **ღ<sup>ე</sup>რი** „გავა, წავა“), რომლის გამოყენებასაც, ბუნებრივია, კონტექსტი განსაზღვრავს.<sup>1</sup> მყოფადის წრის მწკრივებში (მაგ.: **ანჭდენი||ჭედნი** (ზს.), **ანჭდენი||ჭედნი** (ლშზ., ჩოლ.?), **ანჭედენი** (ლნტ.) „მოვა“ და დრო-კილოთა II (მაგ.: **ანჭად** (ზს., ქს.) „მოვიდა“, **ანჭეს** (ზს., ქს.) „მოვიდეს“) და III (მაგ.: **ანჭედ<sup>ე</sup>ლი||ანჭედ<sup>ე</sup>ლი** (ბზ.), **ომჭედელი||ომჭედ<sup>ე</sup>ლი** (ბქ.), **ემ-**

<sup>1</sup> დრო-კილოთა წარმოების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოდ სწორედ **ღ<sup>ე</sup>რი** „დის, წავა“ ზმნა არის მიჩნეული (გაგუა 1976: 44).

**კედელი**||**ემკედ** (ლშხ., ჩოლ.?), **ამეკედ**||**ლი** (ლნტ.) „მოსულა“ ჯგუფში **კედ** ძირი ენაცვლება, რომელიც, ასევე, აწმყოშიც (და აქედან ნაწარმოებ დროებშიც) გვაქვს. იქითა მიმართულების გამომხატველი ზმნის მყოფადის ფორმებში (მაგ.: **ოდრინე**||**ოდრი** „წავალ“, **ადრინე**||**ადრი** „წახვალ“, **ადრინე**||**ადრი** „წავა“), როგორც ვ. თოფურია ვარაუდობს, ამოსავალია **ღგრ**- ძირი, რომელიც **ად**- წინდებულის დართვის შედეგად უნდა გამარტივებულიყო (ად-რ-ინ-ე < \*ად-ღგრ-ინ-ე); ქვემო სვანურ დიალექტებში გამარტივების პროცესი კიდევ უფრო შორს წასულა და **ღგრ**- ძირისაგან ფაქტიურად არაფერი დარჩენილა (შდრ., ლნტ. *ად-ჭ-ინ-ე, ად-ინ-ე, ად-ინ-ე...* და *ლშხ. ოდ-ინ-ე, ად-ინ-ე, ად-ინ-ე* – თოფურია 1931:251-252). დროკილოთა II (მაგ.: **აჩად** (ზს., ქს.), **აჩად** (ზს.) „წავიდა“) და III (მაგ.: **ამჩედელი**||**ამჩედ**||**ლი**||**მეჩედელი** (ზზ.), **ომჩედელი**||**ომჩედ**||**ომჩედელი** (ბქ.), **ემჩედელი**||**ემჩედ** (ლშხ., ჩოლ.?), **ამჩედ**||**ლი** „წასულა“) ჯგუფში (ანუ იქითა მიმართულების გამომხატველ ზმნურ ფორმებში) გვხვდება, ასევე, **ჩედ** ძირი, რომელიც **ხოჩდენი** „მიუდის, გაურბის, გასდის, გაუვა“ ზმნაშიც დასტურდება (იქვე).

იგივე ძირი დასტურდება მყოფობის გამომხატველ დრონაკლ ზმნაში — **მიჩდა** (ზზ., ლშხ., ჩოლ.?), **მიჩედა** (ლნტ.) „ყოფილვარ“, **ჯიჩდა** (ზზ., ლშხ., ჩოლ.?), **ჯიჩედა** (ლნტ.) „ყოფილხარ“, **ხოჩდა** (ზზ., ლშხ., ჩოლ.?), **ხოჩედა** (ლნტ.) „ყოფილა“, რომელიც ვ. გაგუას თავის მონოგრაფიაში „დრონაკლი ზმნები სვანურში“ შეტანილი აქვს ერთი ტიპის ზმნებში (**ადან** (მ<sup>წ</sup>**დან** „რა იქნა...“), **ხოჩდა** „ყოფილა“ და **ათხად** „თქვა“).

**სელის** ცნების გამომხატველ მთავარ ზმნურ ძირად სვანურში, რამდენადაც ცნობილია, მიჩნეულია **ლზი**||**ლიზი**, თუმცა, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, აღნიშნული ძირი დროკილოთა თითქმის არც ერთ ფორმაში არ დასტურდება და ზმნური, უღლებადი ფორმები სხვა ძირის, კერძოდ, **ლიკედ** და **ლიჩედ** ზმნური ფორმებითაა გამოხატული, თუმცა სხვა სემანტიკის მქონე ფუძეებში იგივე **-ზ**- ძირი იჩენს თავს, შდრ., **ესზი** „გაურბის, გასდის (მაგ., ქვაბს)“, აქაც **-ზ**- და **-ჩედ**- ძირები ენაცვლება ერთმანეთს — **ოსზი** (ზზ., ლშხ., ჩოლ.), **ოსეზი** (ბქ.), **ასოზი** (ლნტ.) „გაურბის, გასდის“ და **ოთჩად** (ზზ., ლშხ., ჩოლ.), **ოთჩად** (ბქ., ლნტ.) „გაეცვა, გაუვიდა“. რა თქმა უნდა, აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სივრცულ ლოკაციას, გვაქვს როგორც აქეთა მიმართულების (მაგ.: **ან-**

**ღრი** „მოდის“, **ანჳად** „მოვიდა“...), ისე იქითა მიმართულების (მაგ.: **ესღრი** „მიდის“, **აჳად** „წავიდა“...) ორიენტაცია. **ჳედ** და **ჩედ** ფორმათა მასდარები ცნობილია, ხოლო **ღგრ** ფორმის მასდარი სვანურში არ ფიქსირდება (არ გვაქვს მასდარული ფორმა — **ლიღგრ**).

ფორმათა ასეთი აღრევა ბევრ კითხვას აჩენს, უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, ჰქონდა თუ არა თითოეულ ამ ზმნურ ფორმას უღვლილებადი ფორმები დრო-კილოთა მიხედვით, თუმცა ამჯერად კვლევას სხვა მიმართულებით წარვმართავთ.

## **მედეა საღლიანი, ლელა გიგლემიანი** (თბილისი)

### **სვანურ ელიზიურ სიტყვათა სიმფონია-ლექსიკონის შედგენის პრინციპები**

სვანურ ელიზიურ სიტყვათა სიმფონია-ლექსიკონში წარმოდგენილი იქნება „სვანური ენის ქრესტომათიაში“ დადასტურებული ყველა ელიზიური ფორმა სათანადო გვერდისა და სტრიქონის მითითებით. შესადარებლად საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება „სვანური პროზაული ტექსტების“ ოთხივე ტომის მონაცემები, სვანური პოეზიის ნიმუშები და ჩვენ მიერ საველე პირობებში მესტიისა და ლენტეხის რაიონის სხვადასხვა სოფლებში<sup>2</sup> მოპოვებული შესაბამისი საილუსტრაციო მასალაც.

ლექსიკონში მოცემული იქნება თითოეული ელიზიური ლექსიკური ერთეულის შემცველი სათანადო საილუსტრაციო ფრაზების ქართული თარგმანი სავარაუდო ამოსავალი სემანტიკური და იდენტური ქართულ-სვანური ძირების ჩვენებით<sup>3</sup>, ამასთანავე გათვალისწინებული იქნება ქართულ-ზანურიდან და, ასევე, ქართულის გზით სვანურში შემოსული (ბერძნული, თურქული, სპარსული, არაბული, ოსური, ჩრდილო-კავკასიური, რუსუ-

---

<sup>2</sup> ქვემო სვანური (ლაშხური, ლენტეხური, ჩოლურული) მასალა გადამოწმდება ქვემო ქართლის სხვადასხვა რეგიონში ჩასახლებულ ეკომიგრანტ მოსახლეობასთან.

<sup>3</sup> სიმფონია ლექსიკონში გათვალისწინებული იქნება ყველა დღემდე არსებული ცნობილი ეტიმოლოგიური ლექსიკონის მასალებიც.

ლი და ა. შ.) ნასესხები ლექსიკაც და, შეძლებისდაგვარად მოცემული იქნება ცდა ცალკეულ ლექსემათა თავდაპირველი მნიშვნელობის დადგენისა.

ჩვენი „სიმფონია-ლექსიკონი“ ფაქტობრივად საძიებელი იქნება. თითოეულ სიტყვაფორმას თანდართული იქნება საანალიზო ელიზიური ფორმის შემცველი ილუსტრაცია, რომელსაც ექნება როგორც ლიტერატურული, ასევე სიტყვასიტყვითი (ე. წ. ბწკარედული) თარგმანი.

აღნიშნული ლექსიკონი შემდეგი სახის იქნება:

**ადდაგრ'ერქად ← ადდაგრი ერქად**

ქრისდე[ს] ხოქუა: „ჯ'ესერ ჟი დემ იგწლ, ოდე ... უირძმარე ხელწიფს ჩუ დო ძარ **ადდაგრ'ერქად** — ქრისტეს უთქვამს (შდრ. ძვ. ქართ. „თქუ-მ-; თქუ-მ-ულ-ი“, ახ. ქართ. „თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი“): „მე („თვითონო“) ვერ ავდგებო („ზე ვერ დგება“) {მანამ, სანამ („ვიდრე“) ებრაელების („ური-ებ-ის“, შდრ. ქართ. „ურია“ < სირ. „hūd/rāyā“) ხელმწიფეს („ქ{ვ}ე“) ვინმე („ვინ“) არ მოკლავსო (შდრ. ძვ. ქართ. „მო-მე-დგრ-ება“, და-მე-დგრ-ებ-ა, მე-დგრ-ობ-ა“)“ (1) 91:28

**ადსკორ'ესნარ ← ადსკორე ესნარ**

ალ ოთარშერ უწრგდ ადსკორ'ესნარ – ამ ოთარანთ („ოთარ-ის-ან-ის თავადმა (შდრ. ძვ. ქართ. „ვარგ-ი“) იფიქრა („გაიფიქრა“, შდრ. ქართ. „და-სკვნ-ა“) თურმე (1) 92:37

**ბაზართე'სგა ← ბაზართეისგა ← ბაზართეისგა**

... აშხტ მკეშნად ყურთილ ჩჟ ლახსკინწუნე **ბაზართე'სგა** ... – ერთმა (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა-ა** „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) ჩერქეზმა („ქაშაგ-მა“, „ყაზარდოელმა“. შდრ. ქართ. **ქაშაგ-ი** „მოზრდილი ტყვე (საბა)“ შდრ. ოს. „კჰსჰგ“) ლაფშა (შდრ. ქართ. "ყვერულ-ი") ცხენი შემოაჭენა ("შემოასკუპა", შდრ. ქართ. "ა-სკინ-კილა") ბაზარში (1) 80:9 და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ ეს ლექსიკონი იქნება ქართველოლოგიაში ელიზიურ სიტყვათა სიმფონია-ლექსიკონის შექმნის პირველი სერიოზული ცდა, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, ექნება მეცნიერული (ლინგვისტური, ეთნოკულტუროლოგიური, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული,...) დანიშნულება, რაც საშუალებას მოგვცემს მომავალში მოვახდინოთ ამ მასალის სეგმენტაცია ენობრივი დონეების მიხედვით და წარმოვადგინოთ სეგმენტირებულ ერთეულთა ლინგვისტური ანალიზი.

ამ ტიპის ლექსიკონი სჭირდებათ როგორც უშუალოდ ქართველური ენების სპეციალისტებს, ასევე ტიპოლოგიის, ეთნოლონგვისტიკის, ფოლკლორისტიკის და ა. შ. სფეროში მომუშავე სპეციალისტებს, რადგანაც წინამდებარე ლექსიკონი წარმოადგენს არა მხოლოდ ლექსიკოგრაფიული (როგორც თარგმნითი, ისე განმარტებითი) ხასიათის ნაშრომს, არამედ გამოკვლევასაც (გარკვეული თვალსაზრისით).

## **ნ ა თ ე ლ ა ფ ა რ ტ ე ნ ა ძ ე** (ბათუმი)

### **ზმნურ ფუძეთა მონაცვლეობა მუჰაჯირთა შთამომავლობის მეტყველებაში**

სალიტერატურო ქართულში ხმარებულ რამდენიმე ზმნურ ფუძეს მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში ენაცვლება სხვა ფუძეები:

**იტყვის – ჩივის:** ჩვენ თხილს **ვჩივით**, იგინმა კაკალი **ჩივიან**; ჩვენ ნიგოზი **ვჩივით**, იგინმა კაკალი **ჩივიან**; ჩვენ ვაშლი **ვჩივით**, იგინიც ვაშლს **იტყვიან**: იგინი ყოლიფერ კაკალი **ჩივიან**, სიმინდიც კაკალი **ჩივიან**; ამას სინიმდში **ჩივოდენ**;

ქართველი აქა გაავრი **იტყვიან**, ქართველი გაავრს **ჩივიან**; თურქს კუდურად **უჩივიან**, **ეტყვიან**, რა ვიცი. ისინიც **იტყვიან**: ჩვენ იქავრებ ქვაბითავლებ **ეტყვიან...**, თუმცა **ჩივის // ჩივა'** ფორმა სხვა დიალექტებისთვისაცაა (მთიულურ–გუდამაყრული, გურული...) დამახასიათებელი: არ დაიდევს საქმეს საგვანსა, ძალს **ჩივის** ქისტებისაას...

**შენება - კეთება:** ჩემი ბაბაჲ ქალაქში სახლს **აკეთებდა...**; მილლეთი სახლების **კეთებას** მუუხშირებენ ქი, ახირზამანი ახლოაო; ოთხი თანე უსტა იქნება, ქოშეებზე დადგება, ფიცარ მივტანთ, ოდას **კეთებას** დევწყებთ...

**კეთება - ქნა:** ყურძენის წვენიდან ფაფას **ვიქით**; მერე ქორწილს **ვიქდით**; ალანში ქორწილი **ქნილა**; ერთ ფერზე არ მოვდენ, არ იგი **ქნანო**; ზოგი **იქდა**, ზოგი არ **იქდა** ნიშან-დუგუნს; ყანის მარგლიხან ნადებს **ვიქმოდით**; რას **იქმენ** და ყანის იგი არ ეცო-



დინებიან; ბჟოლიდან, ვაშლიდან, ყურძნიდან ... ბექემუს **გავაკეთებთ...**

**დასახლება - დაჯდომა // დაშენება:** ტყეში ჩამოსულან, **დამჯდარან;** ჩვენები ბათუმის მაღლა აერებზე **მჯდარან;** ერმენები გააძეს, ამათ მოვდენ, გურჯებმა **დაშენდენ...**

**ჭყელიტა - ჭიჭყვა:** ნიგოზ **გაჭიჭყვენ...**

**დარჩენა - დადგომა:** ჩვენ ქალაქში არ **დავდგებით;** ნასრედინ ხოჯა მეზობელთან **დადგა...**

**გაკვლევა - გაგნება:** გზა იმა **გუუგნიან...**

**ვალ-არ:** გევიარ (გევიარდი) - გევალ...

**მოვლა - მორება:** ჰოდა, მივდა იმ კაცმა და **უარება** იმ ხეს გურიშამ...

**გაბრაზება - გადელება:** ფერები **გადელდებიან,** გეიარ წახვალ დელიებში; ფერებმა **გაადელეს...**

**ჭერა - კავება:** ძირითადად გვხვდება კავება' ფორმა, თუმცა, იშვიათად, ერთმანეთის გვერდიგვერდ შეიძლება ორივე ფორმა დადასტურდეს: იქიდან მოსულან ჩვენი დედები, ბევრი მიწები **დუუკავიან;** ერთმანები **დუუკავიან;** კაბალახიანო, თვალი გეიხილე, ზეცა, მიწა რას **უკავია,** ღმერთს, გაჩენილი ცალკე, ცალკე ერთქვანებში არ ერევა; იარებოდა ჯოხი **დაკავებული;** მეზობელ ალაის **დუუჭერია** ახორში, **დუუკავებია...**

**მზობა - უზნობა/თხრობა:** შენ ახორში აღარნა შევდეო, **უთხრობია...**

**ჩვენება - ნახვება:** ფადიშაჰის შვილმა რომ დაბრუნდა სახში, ქალმა ვარდები **ანახვა...**

**გაწევა - გაჩოჩება - გახოხვება:** აქაური თურქები **გუუხოხვებია;**

**გაკიბვა - გაწეწვა:** ჭიყველა **გაწეწილა,** წელიდან გადაწყვეტილა...

**ტარება - დააქ:** ვინც მოკლა იმის სურათი **დააქ...**

**სმა - ჯდენა, ჟდენა//ჯენა:** აქაც ტყეში **დაჟდენ;** უსუფაი ცხენზე **დააჟდუმლა...**

**მიხვედრა - გაგნება:** მე **ვაგნობ,** ჰამა ვერ ვლაპარაკობ; მაი (მუჰაჯირების) ისტორია **გავგენით ...**

**გაყრა - გაძევება:** აქ გაავრები **გუუმიან** და მემრე მათ დასახლდენ; რომ გადმოსულან, ერმენები **გუუმიან;** ერმენები **გააძეს,** ამათ მოვდენ, გურჯებმა **დაშენდენ...**

**მოსმენა-დაყურება:** სიმღერა გინდა, შენ დეიმღერე და მე დევყურავ...

**გაჩუმება – წაყურება:** მე წავეყურდები...

**ტარება – რონი/ნ/ება// რუნი/ნ/ება:** წამოე, მოგარუნიებო დუ-ნიას; რუმ დაარუნიეს, უთქვია; მეზობელ არონიაგდა...

**წასვლა – გარება:** ეს ორი ფუძე ხშირად ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება: მოცვი ფოთლით ნუსხას ვწერდი, დამწიფებულ მოცვითა, ციცავ, ერთი მაკოცნიე, გევიარ, წავალ ლოცვითა; სოფლი-ერო, გეხუეწები, ერთი გოგო გამატანეთ, გევიარ და წავალ ოსმანლი-ში, აღარ მოვალ მე იფხრევლში; ჯანჯირის ბაწრებიდან გევიარ გა-ვალ ზიარეთ, აღარ მავიწყდება, ერთათ თუ ვიარეთ; დედემაც თქუა: ტყეში გევიარდი ფხავსიან ხიებ დევნახევი, ჩემი თავი მაგონდებო-დაო; ერთი დედე იყო, ჩემ კაცსა ეტყოდა რაცხიებსა და გვაცინებ-და: ჭოვ, ოსმანავ, ერთი ნენეი იყოვო, გევიარდი და დამაყრიდა ტაკ-ვეცებსაო; იმფერი პატარაი გზები იყო, რომ არაბაით რა ჰალით გე-ვიარდით ...

**დახურვა – დაბურვა:** ზეიდან ყაფალ დააბურებდენ...

**მოვლება – მორება:** ბაქლაგას გააკეთებდენ, შერბეთ მუარებ-დენ...

**წვრთნა – გახედნა:** მაშინ ასე სამოზდაათ დღეს ხარს ვხედ-ნიდით...

**თქმა – თხრობა:** ფადისაჰს უთხრობია; რუს უთხრობია, მუს-ლიმანობა თუ გინდა წედიო; უქუმეთს უთქმია; მექეთებში ერთ დღეს შესულა დიდი ფაშა, უთხრობია თელეგებიოთვინ; გურჯსაც უთხრობია: თამამ, მე'ნა გულუხტე'ნაო, მარა ჩემ გადახტომიხან თქუენ დულუტაშუნოთ'ნაო; უთხრობია სახლში'ნა წევდეო, ეყოფა ამ-დონიო; დაბრუნდიო რომ უთხრობიან, ენაზე მოსულა ძალი: თქუ-ენტან ერთათ'ნა წამოვდეო; თავდგირიძე ალი-ფაშის შვილი ხასანი ისტამბოლს ყოფილა და ჩემი ბაბუაის ხალა-ტაიაშვილი ყოფილა, იმას მუყყვანიან, იქვრობა კაიაო უთხრობიან; მაწონი რომ შედგესო, – უთხრობია...

**გაფუჭება – მოშლა:** მაშინ ბუზდოლაბი არ იყო, ჰამა საჭმელს ებზედი არ მოშლიდა; თავლიც აქში შევნახდით, ებზედი არ მიეშლე-ბა...

**პატივი – პაიჯი – დამახება:** ოც დღეს უკან სიძეს გაპაიჯავ-დენ, მთელ სოფელში დაარიგებდენ, დაპაიჯებდენ; გოგოსაც

წამოიყვანდა; **დეიდახვენ**, წევალ ქორწილში... **დეიდახვენ** წეხვალ ნადში...

**დახურვა – მოძრა:** ის სახლის კარი **წამოვძრა?**; – **წამოძარ**, ფუტკარი შევა!...

**გაღება – გახსნა:** კარი არ **გახსნილიყო**, დაამიწყებოდა, ახლა აღარ დეიკარქვის; იმფრო ადრე **გახსნილიყო**, იმფო კაჲ იყო...

რიცხვში მონაცვლე ზმნები მრავლობითში ძირითადად მხოლოდობითის ფუძით გვხვდება. **ყრა** ზმნას ვნებით გვარში არ ენაცვლება **ცვივნა** ზმნა, მაგრამ **ჯდომა** ფორმა ზოგიერთ შემთხვევაში გვხვდება **სხდომა** ფორმით: იმაჲ ვერ დეინახავ, ყორიებში, ლელიებში **სხედან**, – გონჯ იერებში; ამოსულან აქ **დამსხდარან**...

**ველა** ზმნა ანგარიშს არ უწევს არც სუბიექტის და არც მესამე პირდაპირი ობიექტური პირის რიცხვს: **მოვკლათ** იგინი (და არა: დავხოცოთ); მემიოდლები მოვდენ, ჰამა არ წამოვდენ წინ, **მოკდე-ხიან** (და არა: დაიხოცებიან); დიდვანებმა **მოკტენ**, გამოწყდენ...

## **მამია ფაღავა** (ბათუმი)

### **კლარჯული კილო, მისი გავრცელების არეალი და ადგილი მომიჯნავე დიალექტებს შორის**

კლარჯულს ვუწოდებთ ერთ-ერთ სამხრულ კილოს, რომელიც ისტორიული კლარჯეთის მკვიდრთა მეტყველებაა.

კლარჯული კილო გავრცელებულია ჭოროხის ხეობაში, მისი უმეტესი ნაწილი თურქეთის რესპუბლიკაში, ართვინის ილის (გუბერნიის) ბორჩხის, მურღულისა და არტანუჯის რაიონებშია, ასევე საქართველოში, მირვეთში, ქვემო მარადიდსა და კირნათში (აჭარის არ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), სხვაგვარად, ძველი კლარჯეთის ვრცელ ქვეყანაში.

თურქეთის კლარჯეთის ერთი ნაწილი მექართულეა, მეორე – მეთურქულე.

მუჰაჯირობისა (1877-1978 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ) და ახალი მიგრაციების შედეგად კლარჯებს სოფლები

დაუარსებიათ თურქეთის რესპუბლიკის სხვა პროვინციებშიც, კერძოდ:

ქოჯაელის ილის გიოლჯიქის რაიონში: **ჰამიდიე** (ბორჩხა, ასე უწოდებენ ქართველი მუჰაჯირები) – ბორჩხელებს, **აივაზფინარი** (ძვ. ჩათალთაში) – ართვინელებს (კლარჯებსა და ჩხალელ ლაზებს), **სიპრეთიე** (მურღული – ასე უწოდებენ ადგილობრივები) – მურღულელებს, **იჯაადიე** (ძვ. ალიმეზარი) და **ირშაადიე** (ძვ. ბეილიქი) – კატაფხიელებს, **ნუსრეთიე** (ძვ. დოშამე) – მურღულელებს, **ლუთბიე** (ძვ. ბეგოლი) – კლარჯებს (ნარევი სოფელია), **ფნიფერადიე** (ცოცხოზა – ასე უწოდებენ ფერადიელი გურჯები) – ცოცხოზელებს (ფერადიელმა ცოცხოზელებმა ცუდად, მაგრამ იციან ქართული, კლარჯეთის ცოცხოზა მეთურქულეა), **ესკიფერადიე** – კლარჯებს.

იზმიტში: **ბილაბილი**, **ნუსრეთიე** (ძვ. თათარქოი) – ბორჩხელებს, **შირინსულიე** – კინცხვეთლებს (//კინცხურეთლებს), **ჩიხუქლუზალა** – მარადიდლებს.

იალოვას ილის ჩინარჯიქის რაიონში: **თეშეიქიე** – ბორჩხელებს (სოფელში მაჭახლელებიც ცხოვრობენ).

გემლიქის რაიონში: **ჰაიდარიე** – ლივანელებს.

საქარიას (ადაფაზარი) ილის ხენდეკის რაიონში: **ქოშქი** (უბნები: თხილაზორი, ორჯი, ქართლა), **იქზაალიე** – ართვინელებს, **ბიჩქაათი** (ქართლა – ასე უწოდებენ ადგილობრივები) – ქართლელებს, **გუნდოდანი**, **იქრამიე** – ხატილელებს (ქვემო ხატილა, ზემო ხატილა – იციან ქართული, ართვინის ხატილაში ქართული აღარ ისმის).

გეივეს რაიონში: **ნუროსმანიე** (ძვ. მიჩქიდერე) – მარადიდლებს, **ისტამბულდერე** (ძვ. ერემლი), **გულდიბი** – კირნათლებს.

ქოჯაალის რაიონში: **კოზლუქოი** – მირვეთლებსა და სხვებს (ნარევი სოფელია), **რიშაადიე** – ხატილელებს (ცუდად, მაგრამ იციან ქართული).

დუზჯეს ილის აჩაკოჩას რაიონში: **შიფრიქოი** – ?, **მელენააზი** – მირვეთლებს.

ბურსის ილის ქესტელის რაიონში: **ხაიფიე** (ძვ. ბაიდინი) – მურღულელებს (აქვთ ქართული ტოპონიმები: ნაქერავი, წისქვილიკარი, ჭანები, ბოლო ყანა, ვაშლოვანი, ბაღები...), **ალაჩამი** (ძვ.

თემვიქიე) – მურღულელებს, **ორჰანიექოი** – ხატილელებს, **ოსმანიე** – ხატილელებს (ქართული ცუდად იციან).

ბურსაში: **სულეიმანიე** – ტანმოთლებსა და დოღოსყანელებს, **სოუთფუნარი** – ჯმერკელებსა და დაბელებს.

გემლიქის რაიონში: **ადლიე** – ირსელებს, სინკოთელებსა და ბეშაველებს (8 ირსულმა ოჯახმა იცის ქართული, ართვინის ირსაში ქართული არ იციან), **ხამიდიე** – ადაგულელებსა და ბორჩხელებს, **სელიმიე** – ბერთელებს (ქართული იციან სელიმიელმა ბერთელებმა, ართვინის ბერთაში – არ იციან).

მუსტა ფაქემალ ფაშის რაიონში: **კარაფინარი** – ართვინელებს, **ქომურჯი ქადიქოი** (ძვ. აქიმი) – ბორჩხელებს, ბაშქოელელებსა და ქურელებს.

იალოვას ილის არმუთლუს ილჩემი: **ჰაირიე** (ძვ. ჩიფთლიკი) – ბორჩხელებს, ადაგულელებსა და დევსქელელებს (აქვთ ქართული ტოპონიმები: კორდები, დიდი ყანა, ბელქემები, ფალიოში კარები, დიშბუდაები...), **სელიმიე** – ბორჩხელებს, **თემვიქიეს იაილა** – ბორჩხელებს.

ბალიქესირის ილის გონენის რაიონში: **ბალჯიდერე** – ერეგუნელებს, **ექშიდერე** – ბორჩხელებს, **კობაირი** (ძვ. სალიკიე) – გურბინელებს, ქურელებს, **სუჩიქთე** – ბაგელებს, **ჯუმურიე** (ძვ. სულთანე – ქართველები გევლებს ეძახიან) – გევლებს.

შამლის ილჩემი: **არმუთალანი** – ოსმანიე მაჰალე – ბორჩხელებს, სელიმიე მაჰალე – წიწვეთლებს (ჩანს, წინათ ორი დამოუკიდებელი სოფელი იყო, შემდეგ ერთ სამამასახლისოდ გაუერთიანებიათ), **იენიკავაკი** (ორი უბნით: არჩვეთი, ჩკაეთი) – ართვინელებს.

დუზჯეს ილში: **ჩიჩექფინარი** – ართვინელებს.

სინოპის ილის სინოპის რაიონში: **ლალა** – ხებელებსა და ნაჯვიელებს (ლალელმა ნაჯვიელებმა ქართული იციან, ართვინის ნაჯვია მეთურქულეა), **თუქჩიმაჰალე** – ხებელებს, **აქქირაჩი** – ნაჯვიელებს, **დეგრანთი** (თანგალის მაჰალე) – ნაჯვიელებს, **ყარასუ** – დევსქელელებს.

ერფელეკის რაიონში: **კეისელი** – ქლასკურელებს, **დერმანჯილი** – ბორჩხელებსა და დევსქელელებს, **ინჯემეიდანი** – ქლასკურელებს, ბორჩხელებსა და დევსქელელებს, **აფთურაჰმან ფაშა**

– ბორჩხელებს, **ჰამიდიე** – ბორჩხელებს, **ვეისელი** – ქლასკურელებს, **თანგალი** – სინკოთელებს, **ქილიჩელი** – ნაჯვიელებს, გურზეს რაიონში: **აქყირაჯი** – ართვინელებსა და ნაჯვიელებს.

თოქათის ილის ნიქსარის ილჩეში: **მუხტარდუზი** – ართვინელებსა და არტანუჯელებს.

შესადლებელია, თურქეთის სხვა პროვინციებში კიდევაც კლარჯული სოფლები, რომელთა შესახებ ინფორმაცია ჯერ არ გვაქვს.

60-ზე მეტი კლარჯული სოფელი კლარჯეთს გარეთაა, ამით კლარჯული კილოს გავრცელების არეალი საგრძნობლად ფართოვდება...

კლარჯულის მოსაზღვრე კილოებია აჭარული, შავშური და ტაოური. იგი მრავალი მახასიათებლით განსხვავდება მეზობელი დიალექტებისაგან, ბევრით ემსგავსება კიდევ მათ. შეიძლება ითქვას, კლარჯულს გამოკვეთილი სახე აქვს.

## **ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა** (თბილისი)

### **რწმენა-წარმოდგენების ამსახველი ლექსიკისათვის ლაზურ იდიომებში**

იდიომებში საინტერესოდ აისახება ხალხის რწმენა-წარმოდგენები. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ლაზური იდიომები, რადგან ლაზთა რწმენა-წარმოდგენები ჩამოყალიბდა წარმართობის, ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის გავლენით.

საანალიზოდ აღებულია ლექსიკონებსა და გამოცემულ ტექსტებში მოძიებული მასალა, თუმცა მათ სჭარბობს ჩვენ მიერ მოპოვებული ფრაზეოლოგიური ერთეულები. წარმოვადგენთ რწმენა-წარმოდგენების ამსახველ ზოგიერთ ლექსიკურ ერთეულს, რომელიც საყრდენად დასტურდება ლაზურ იდიომებში:

**ღორმოთი/თრანგი** „ღმერთი“: **ღორმოთიშ პიჯიშენ მეტკომი-ლი** „ბოროტი, უკეთური“ (ზედმიწ. „ღვთის პირიდან გადაგდებუ-ლი“).

**თრანგიჲ მინდიყონუ** „გარდაიცვალა“ (ზედმიწ. „ღმერთმა წა-იყვანა“).

**შეითანი** „ემშაკი“: **შეითანის ნონჲკვალუ** „გონს მოვიდა“ (ზედ-მიწ. „ემშაკს მიაფურთხა“). აქოლე გულიწკედი, ნოსიშა მოხთი, **შე-ითანის ნონჲკვალ** „აქეთ გამოიხედე, გონს მოდი, ემშაკს მიაფურ-თხე“.

**შეითანის შუი გოდგინ** „მოხერხებულა“ (ზედმიწ. „ემშაკის სული უდგას“).

**მელაელი** „ანგელოზი“: **მელაელეფე ვა მიფუთხინა** „გული არ გამიხეთქო, არ შემაშინო“ (ზედმიწ. „ანგელოზები არ დამიფრთხო“).

**მელაელიშ პიჯი უღუნ** „ძალიან ლამაზია“ (ზედმიწ. „ანგელო-ზის პირი აქვს“).

**ლუქუნა** „სანთელი“: **ლუქუნათე ოგოუში** „იშვიათი, ძნელად საშოგარი რაიმე (ვინმე)“ (ზედმიწ. „სანთლით საქებარი“).

**ჰითა მაქვალ** „გამორჩეული ვინმე“ (ზედმიწ. „წითელი კვერ-ცხი“): **ჰითა მაქვალ** ხომ ვაე „წითელი კვერცხი ხომ არ ხარ?“

**ეზრაელი** „სიკვდილის ანგელოზი“: **ეზრაელი ქომუხთუ/ქოგ-ოდგითუ** „სიკვდილი მოუახლოვდა“ (ზედმიწ. „აზრალი მოუვი-და/დაადგა“).

**ჯამე** „მეჩეთი“: **ჯამეშ მზული** „მუქთა“ (ზედმიწ. „მეჩეთის ბა-ლი“). ჰამ დიგარას ფარა მეფჩი, **ჯამეშ მზული** ვა რენ „ამ სიგარეტში ფული გადავიხადე, მეჩეთის ბალი არაა“.

ლაზურ იდიომებში საყრდენ სიტყვებად არ გვხვდება **ხატი, აღდგომა, მონასტერი, ზიარება, წირვა, მღვდელი, მეტანია, წითელი პარასკევი**, რაც თურქულ კულტურულ გარემოსთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგი ჩანს. მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ღმერთს უკავშირდება დადებითი სემანტიკის გამოხატვა, ემშაკს - უარყოფითი, თუმცა ეს უკანასკნელი საალერსო მიმართვაშიც გვხვდება: **შეითანიშ კუჩხე ენ** „ოინბაზია“ (ზედმიწ. „ემშაკის ფეხია“).

მოხსენებაში უფრო ვრცლად იქნება განხილული საანალიზო ლექსიკის შემცველი იდიომები.

## ელზა ფუტკარაძე (ბათუმი)

### ლექსიკური ერთეულები ქუაზაგის ხევის მეტყველებიდან

ამიერტაოს ქუაზაგის ხევის მეტყველება საინტერესო სურათს გვიჩვენებს. განსაკუთრებით სახასიათოა აქაურთა მეტყველებაში დაცული ლექსიკური ერთეულები. გვხვდება არაერთი სიტყვა თუ გამოთქმა, რომელიც სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებს ნაკლებად შემოუნახავს ან საერთოდ აღარ გვხვდება.

ქუაზაგის (ქობაგის) მეტყველებაში ლექსიკის თვალსაზრისით განვითარების ორი ტენდენცია შეინიშნება: არქაული ლექსიკური ფორმების შენარჩუნება (აბლი, სამა...) და ახალი ლექსიკური ერთეულების გაჩენა.

სიტყვა-თქმებში, ბუნებრივია, რომ გვხვდება მნიშვნელობის გაფართოების ან დავიწროების შემთხვევები. გვხვდება ისეთი სიტყვებიც, რომელნიც სალიტერატურო ქართულსა და მის სხვა დიალექტებში ცნობილ მნიშვნელობათაგან რამდენადმე განსხვავებულ ლექსიკურ ნიუანსს ატარებენ: **გასანათებულა, მირთმევა, გაყუდება, ჩინი, როდი...**

დასტურდება საყურადღებო ლექსიკური დიალექტიზმებიც: **ბლანო/ზგანო, დეკაცი//დედეკაცი, მოწიფლება...**

მოხსენებაში, ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალის საფუძველზე, სწორედ ზოგიერთი ასეთი ლექსიკური ერთეული იქნება წარმოდგენილი.

## შორენა ფუტკარაძე (ბათუმი)

### სოფელ ქართლას (ბორჩხის რაიონი, თურქეთი) მეტყველების თავისებურებანი

ისტორიულ ნიგალის ხევში, დაბა ბორჩხასთან ახლოს, მდებარეობს სოფელი **ქართლა**. იგი შეფენილია მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე აღმართული ქედის კალთებზე. ქალაქ ართვინის ვიწრო



ხეობიდან მომდინარე ჭოროხი ქართლას ჭალებს მდორედ მიუყვება დაბა ბორჩხამდე, მდ. მურლულის წყალთან შესართავამდე. ტოპონიმი **ქართლა** ჩვენი სამშობლოს დედაბოძი სიტყვაძირის – **ქართლის** კნინობითი სახელი უნდა იყოს; ბოლოსართი „ა“-ც ამაზე მიგვანიშნებს. სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ. უხუცეს ადამიანებს დღემდე შემოუნახავთ ლეგენდად ქცეული ისტორიული სინამდვილე ქართლიდან გადმოსახლების შესახებ.

2013 წლის იანვარში ნათესავის მიწვევით შესაძლებლობა მომეცა მომესმინა **ქართლას ქართული**, ჩამეწერა მეტყველების ნიმუშები. დაკვირვების შედეგად წარმოჩნდა **კლარჯული კილოს –ნიგალის** (ლივანურის) **ქართულის** საინტერესო ლინგვისტური სურათი. კერძოდ:

1. ნიგალის სხვა სოფლების მსგავსად, ქართლას მეტყველებაშიც აღარ ისმის ძველი ქართული ბგერა **ხარი** (ჰ). ნახევარხმოვანი **ი (იოტა)** გვხვდება მხოლოდ თურქული ენიდან შემოსულ სიტყვებში **y** ბგერის გადმოსაცემად. როგორცაა: აილ (yıl – წელი), აენი აილ (yeni – ახალი წელი), **იოლდაში** (yoldaş –მეგზური), **იოლჩი** (yolcu –მგზავრი), ააზმა (yazma – თავსაფარი), **ააილა** (yayıla – საზაფხულო დასახლება მთაში), **აავრუ** (yavru – ბავშვი), **ააფი** (yapı – შენობა)... სხვა მხრივ ბგერითი შემადგენლობა თანამედროვე ქართულის შესაწყვისია.

2. მიცემით ბრუნვაში მოსალოდნელი სახელი უმეტესად სახელობითი ბრუნვითაა წარმოდგენილი: **ცომი** მოზილავ (ცომს); **ფქილი** მაყრი (ფქილსა); მოჭრავ **ბალახი** (ბალახს); ასველავ **კაბა** (კაბას); წერავ **ქითაბი** (ქითაბს – წიგნს)... ეს თავისებურება ლაზურის გავლენითაა ახსნილი... ადგილის გარემოების გადმოსაცემად გამოყენებული თანხმოვანფუძიანი სახელი, მიცემით ბრუნვაში ნაგულისხმევი, ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ხმოვანფუძიანი კი უთანდებულოდ: წვევლით **ისტანბულ**; გაზაფხულზე **იზმირ** ვიყავით; ნენეი **ბურსას** მივა; შარშან **ალოვას** გვევლ.....

3. ზმნისწინი **მო** წარმოდგენილია **მა** სახით: **მაყარე** ფქილი; **მაგინდება** წყალი; **მაუსვამ** ხელი... **გამო** → **გამა**: **გამააცხებ** შოთი; **გამააგზავნავ** მექთუბი (წერილი); **გამაანგრევიავს** ტუარი (კედელი); **გამააჭრევიავ** ღოჯეზე (კედელზე) კარი.....

4. დამახასიათებელია თემის ნიშანთა მონაცვლეობა: **გაათხელავ** (გაათხელებ) შოთი; თეფშში **მააწყევ** (ჩააწყობ); **გააწითლავ** (გაა-

წითლებ) პური; ბაქლავა **გაკეთავ**; ძალი (ერბო) **გაადნებ**; ვთესამთ ბულდაი (პური)...

5. ქართლას გეოგრაფიული სახელებია: **ნაბელღავი**, **ნატრიფევი**, **გოგისწმინდა**, **სამალავი**, **თხილნარი**, **წყარო**, **კითონჯვარი**, **ლეგთა**, **ნანალიევი**, **დაბლა ზეგანი**, **ბარი**, **ბოსლოვანი**, **ქოცანახევი**, **წუმპო**, **ნასელვარი**, **მოდული**, **ცივწყარიეთი**, **ბენდი**, **სამგლიეთი**, **წმინდამარიფეთი**, **ზიარეთი**, **თეთრობი**, **ჩაილუგი**, **საჭამილეთი**, **კატრი-სერი**, **ტევრი**, **მურღნალი**, **გიზლიზოღაზი**, **დიდიყანა**, **გმელყანა**, **გორიყანა**, **ვაკიბოლო**, **ბოსლოვანის დელე**, **თოჯინეთი**, **კაკლოვანი**, **ნალისკარი**, **გონთახევი**, **უღელტეხილა**, **გოგო მეზრე**, **აშილი ოსმანის მაღარა**...

6. ქართლას მეტყველებას შემოუნახავს ძველი ქართულის ლექსიკური ერთეულები, როგორცაა: **ქუჩუბო** (მარცვალთა ქერქი), **ნერჩი** (ფსკერი), **ფიფინა** (კერძის სახლი), **ჩილბური** (კერძის სახელი), **ყინტორი** (ძალიან ცივი), **ჭაშა** (შუბლის ზეითი), **ჭარბადელა** (ბალახი), **წუმწუბა** (გოგირდი), **დაფალვა** (დაწმენდა, დაგვა), **ჩუმბა** (ერბო), **ცუდვა** (ხელით გაკერვა)...

7. თურქული ენის გავლენა შეინიშნება მხოლოდ ლექსიკაში. კერძოდ, გამოიყენება: **ანჯახ** (ძლივს), **დუზი** (ვაკე), **ქუფი** (მფორი), **დილიმი** (ნაჭერი), **თერე ძალი** (ერბო, კარაქი), **სალჩა** (პამიდვრის საწებელი), **ყუიმაღი** (კერძის სახელი), **შელლიგი** (მხიარულება)...

8. ოთხასორმოცდაათ წელზე მეტია, რაც ისტორიული ნიგალი, აქაური ქართული მოშორებულია დედასამშობლოს, მშობლიურ ქართულს. მიუხედავად ამისა, ქართული ენის ფესვები დღესაც ცოცხალია და აქაურთა ქართული ინარჩუნებს ძირითად ლექსიკურ ფონდსა და გრამატიკულ წყობას. ჩვენც, დღევანდელ ქართველებსაც, შეგვიძლია თამამად, ამაყად გავიმეოროთ სახელოვანი მამულიშვილის **გიორგი ყაზბეგის** მიერ 1874 წლის გაზაფხულზე დაწერილი სიტყვები: **„ჭოროხის სანაპიროს მცხოვრებლები სუფთა ქართულს ლაპარაკობენ. ისინი ლამაზი ტიპით და კარგი გონებრივი თვისებებით გამოირჩევიან. ეს ქვეყანა ოდითგანვე სუფთა ქართული რასის აკვანს წარმოადგენდა და ახლაც, ბედის უკუღმართობის მიუხედავად, შეინარჩუნა თავისი ძველი ღირსებები“**.

## შუშანა ფუტკარაძე (ბათუმი)

### მართა იერუსალიმელის წერილის ენისათვის

საუკუნეთა მანძილზე ჩვენი დიდებული სასულიერო მოღვაწენი სამშობლოს სადიდებლად არ ერიდებოდნენ ათასგვარ გასაჭირს; ხშირად მიდიოდნენ სამშობლოდან შორს, მკვიდრდებოდნენ მსოფლიოს ხალხთა ცივილიზაციის ოაზისებში; იქ აარსებდნენ ქართული კულტურის კერებს და ქართველთა სახელით გარკვეული წვლილი შეჰქონდათ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ამ კერებში შექმნილი ყოველი წერილობითი წყარო სამშობლოზე ზრუნვის საუკეთესო მაგალითია. ერთ–ერთი ასეთი ისტორიული წყაროა **მართა იერუსალიმელის** პატარა ბარათი. წმ. **ექვთიმე თაყაიშვილის** აზრით, ეს წერილი დაწერილი უნდა იყოს 1650–1658 წლებში, როცა **აფხაზეთის კათალიკოსი იყო გრიგოლ პირველი**. წერილი იერუსალიმიდან სწორედ მის სახელზეა გამოგზავნილი. მართა მონაზონი იერუსალიმში, გოლგოთაზე არსებული, დედათა მონასტრის მსახური იყო. იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცულ ერთ–ერთი ქართული ხელნაწერის მინაწერებში ნახსენები **მართა მონაზონი**, ვფიქრობთ, უნდა იყოს საანალიზო წერილის ავტორი **მართა იერუსალიმელი**.

მოხსენებაში საუბარი იქნება მართა იერუსალიმელის წერილის ენობრივი ქსოვილის შესახებ, განხილულია ფონეტიკურ–გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებანი, რომელთა დიდი ნაწილი ძველი და საშუალო ქართულის შესაბამისი ენობრივი ფორმებია. საინტერესო ლინგვისტურ სურათს ქმნის წერილის ლექსიკა. ტექსტში მოცემული ლექსიკური ერთეულების ერთი ნაწილი დამახასიათებელია მხოლოდ ტაო–კლარჯეთისა და აჭარის ენობრივი არეალისათვის. მათგან აღსანიშნავია: **ზიარეთი, კერმი, ამანეთი, თვარამ (თვარა), ვეზირობა, ტაროსი, ეშურება, აგრე, იქთ (იქმთ), მორთული, მოუდგებით, კიდურნი...** ეს სიტყვები ქართულ ენაზე არსებულ ლექსიკონებში ან საერთოდ არ არის აღნუსხული, ან განსხვავებული მნიშვნელობითაა მოცემული, ანდა მინიშნებულია, როგორც ხმარებიდან გასული ლექსიკა (ძვ.).

მართა იერუსალიმელის წერილში დამოწმებული სიტყვები დღესაც ცოცხალია მხოლოდ ტაო–კლარჯულ და აჭარულ კილოებ-

ში. მათ შორის სიტყვა – **ვეზირობა** მხოლოდ ნიგალის ხეობის ქართულშია ცოცხალი. წერილის ტექსტზე დაკვირვება საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ მართა იერუსალიმელის სადაურობა, მისი ვინაობა; იგი წარმოშობით უნდა იყოს კლარჯეთიდან, კერძოდ, ნიგალის ხევიდან.

ამრიგად, მოცემული წერილის ენობრივ ქსოვილში ჩაგვირისტებული მართა მონაზონის მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი მისი სადაურობის მანიშნებელია. წერილის ენა საზრდოებია მართას მშობლიური ენის წიაღის, ნიგალის კილოს მიერ.

## **მარინე ქაცარავა, ლეილა აბზიანიძე** (ქუთაისი)

### **აკა მორჩილადის ნაწარმოებთა ლექსიკისათვის („ჩრდილი გზაზე“)**

1. XX საუკუნის 90–იანი წლებიდან ჩვენს სინამდვილეში მკვიდრდება ახალი ტიპის მწერლობა. იგი გამოირჩევა ნიჰილიზმით, ბრმა მიმბაძველობით ევროპეიზმისადმი, თუმცა ამ ხნის განმავლობაში კარგი ნაწარმოებიც ბევრი შექმნილა. მათ შორის გამოირჩევა აკა მორჩილადის უაღრესად საყურადღებო ნაწარმოებები.

2. აკა მორჩილაძე თავის ნაწარმოებში „ჩრდილი გზაზე“ აღწერს მე–20 საუკუნის 90–იანი წლებიდან ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. ეს ნაწარმოები დოკუმენტური პროზის შესანიშნავი ნიმუშია. მასში ავტორი მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით გვაწვდის ზუსტ ინფორმაციას 90–იანი წლების თბილისური ცხოვრების შესახებ, ნაწარმოებში ქალაქური მეტყველებაა წარმოდგენილი მთელი სისავსით.

3. გარკვეულ პერიოდში თბილისში შეიქმნა და დღესაც თვალშისაცემია სხვადასხვა დიალექტური მეტყველების კონგლომერატი, უხვად შეზავებული უცხოენოვანი ელემენტებით. ამას თვალნათლივ გვიჩვენებს აკა მორჩილაძე თავის ნაწარმოებში. მწერალი უხვად იყენებს რუსიციზმებს, თითქოს ამით იადვილებდა იმ ყოფის დახატვას, რითაც იმ დროს თბილისი გამოირჩეოდა („კარიუმჭიე

ორგანი“, „დრუჟინიკი“, „ანონიმობრივი“, „ლევი“, „პრაპისკა“, „აბლავა“, „ტროიკა“).

4. ავტორი მოქმედ პირებს, მოვლენებს, სიტუაციას წარმოგვიდგენს. ამიტომაც გვხვდება მრავალრიცხოვანი სპეციკური ტერმინი (ქურდული მენტალიტეტი, ყოჩობა, ქვეშიდან გამოსვლა, მაზინაზე თამაში).

5. ნაწარმოებში წარმოდგენილია სახელი და გვარი იმ რეალური პირებისა, რომელთაც გარკვეული როლი ჰქონდათ დაკისრებული ამ ჩვენს მნებლედთან საქართველოში.

(სტალინი, ხრუმჩოვი, ფილადელფოს კიკნაძე, ბრეჟნევი, ვერიკო ანჯაფარიძე)

6. აკა მორჩილამის თხრობაში ჭარბობს აღწერითი მომენტები, იგი ყოველთვის ცდილობს და მშვენივრად ახერხებს კიდეც შეინარჩუნოს მკაფიო ენობრივი კოლორიტი. ამიტომ ხშირად დიალექტიზმებსაც ვხვდებით. („მართლა რო წამა ეხედა“, „იმიტოლა რუსეთის“, „ქუთეისი ქურდის სახლით იწყებოდა“) სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ ნაშრომში შეგვხვდა სკაბრეზული გამოთქმებიც.

7. აკა მორჩილამის ნაწარმოებები გამოირჩევა თავისი განსაკუთრებული სტილით. იგი უპირატესობას ანიჭებდა იმას, როგორც არის ნათქვამი ის, რის გადმოცემაც ავტორს უნდოდა. ამ ნაწარმოების ლექსიკა სწორედ ისეა შერჩეული, რომ იგი სრულად მიესადაგება სათქმელს.

## **მ ე დ ე ა ღ ლ ო ნ ტ ი** (თბილისი)

### **საღვთისმეტყველო ლექსიკა ქართულ დიალექტებში**

#### **1. ხევს. ხთის იასაული „ანგელოზი“**

ქართულ დიალექტურ საღვთისმეტყველო ლექსიკაში, როგორც წესი, აღიბეჭდება ჩვენი ეთნოსის ძველისძველი წარმართული თუ ქრისტიანული ასპექტები და რელიგიურ-აღმსარებლობითი მრწამსი, მჟღავნდება ქართველი სიტყვათშემოქმედის პიროვნული დამოკიდებულება სხვადასხვა სულიერ-სარწმუნოებრივი საკითხისადმი, რაც ამ ლექსიკის სემანტიკური მოტივის განმაპირობებელი და განმსაზღვრელია.

სათანადო ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური (ფოლკლორული, საღვთისმეტყველო) მასალის მოხმობისა და ანალიზის საფუძველზე, მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ანგელოზის აღმნიშვნელი, კომპოზიტიური წარმოების პოლისემიური ხევა. **ხთის იასაულის** სემანტიკური მოტივაციის ცდა, რის შედეგადაც, ერთი მხრივ, დადასტურდება მისი ლექსიკურ-სემანტიკური დანიშნულების არსობრივი თანხვედნილობა საღვთისმეტყველო (ბიბლიურ) **ანგელოზთან** და, მეორე მხრივ, დადგინდება ხევა. **ხთის იასაულის** ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანის თავისებურება.

## **ხ ა თ უ ნ ა   ყ ა ნ   დ ა შ ვ ი ლ ი** (თბილისი)

### **კახური დიალექტის ზოგიერთი მორფოლოგიური თავისებურება კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მიხედვით**

კახეთის 1812 წლის აჯანყების მასალები საკმაოდ საიტერესო ვითარებას გვიჩვენებს ენათმეცნიერული თვალსაზრისით. ვხვდებით კახური მეტყველებისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა ენობრივ თავისებურებას, ამ მოხსენებაში შევჩერდებით რამდენიმე მორფოლოგიურ თავისებურებაზე. როგორც აღვნიშნეთ, საკვლევი მასალა XIX საუკუნის ტექსტია. მას აქვს სამწერლობო ქართულის გავლენა, რადგან ტექსტის ჩამწერები არიან სასულიერო პირები – გარკვეული განათლების მქონენი, ხოლო მთქმელები კი წერა-კითხვის უცოდინარი გლეხები.

საკვლევ მასალაში გამოვლინდა ზმნების თავისებური წარმოება: ტექსტში ვხვდებით მარტივ ზმნისწინთა ძველი ქართულისებურ ფორმებს:

ამის მიზეზით **აღივსო** ჩვენი საწყაული (ანაგა)

საწყაულზე **გარდამეტებული გარდმოსთხივა** (ანაგა)

ზმნისწინთა ამგვარი წარმოება ახლანდელ კახურში აღარ გამოიყენება.

საინტერესოა ზმნაში პირის ნიშანთა გამოყენებაც. არის შემთხვევები, როდესაც უნდა იყოს პირის ნიშანი წარმოდგენილი, მაგრამ არ ვხვდებით: „ყვანდათ“ (ბოდბე), მაგრამ დასტურდება ფორმა პირის ნიშნითაც: „ჰყვანდეს“ (თელავი). დღევანდელ კახურში კი ყოველთვის ვხვდებით პირის ნიშნით წარმოებულ ფორმას **ჰ-** პრეფიქსით, ან დიალექტურ ფორმას „ყვანდა“.

შევხვდით ისეთ ფორმებსაც, როდესაც მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის მაწარმოებელი **-ნენ** ფორმანტის ნაცვლად გამოყენებულია **-ენ** მაწარმოებელი:

„ეს თავად აზნაურიშვილები **ახლდენ**“ (თელავი).

დღევანდელ კახურში ამგვარი ვითარება არ გვაქვს.

საკვლევ მასალაში შევხვდით **-ვა** მარცვლის შერწყმის შემთხვევებს:

„წაგვართო“ (ანაგა); „ვსთქოთ“ (ანაგა)

ამგვარი ფორმები დღესდღეობით გამოიყენება ახმეტის რაიონში, ხოლო სხვაგან კახური მეტყველებისთვის ასეთი წარმოება უცხოა.

საინტერესოდ წარმოჩინდა თანდებულების გამოყენებაც:

ვხვდებით მიცემითი ბრუნვის თანდებულებს: **-ზედა//ზედ**

//ზე:

„ფიცსა ერთგულობასა **ზედა**“ (სიღნაღი)

„ამ **საქმეზედ** წარმოებდა სამართალი“ (ანაგა)

„ასე ჯიბრით იმყოფებოდა **ჩვენზე**“ (ანაგა)

**-შინა // -ში** თანდებულებს:

„დამიტევებია **მშვიდობასა შინა**“ (სიღნაღი)

„სიღნაღის უეზდის **სუდში**“ (ანაგა)

ნათესაობითი ბრუნვის თანდებულებიდან გვხვდება: **-თვის**

//-თვის: „**ჩვენთვის**“ (თელავი), „**რისთვისმე**“ (თელავი)

**-გან**: „**მატნელთაგან**“ (თელავი)

**-ებრ**: „**სხვებრ**“ (სიღნაღი)

დასტურდება მოქმედებითი ბრუნვის თანდებულის დიალექტური ფორმა: **-დამ**:

„იქ ინახოს და **იქიდამ** გამოჩნდება ჩვენი ტყუილი“ (თელავი).

ვითარებითი ბრუნვის თანდებულის დიალექტური ფორმა:

**-მდინ// -მდის**:

„**ურმამდინ**“ (ანაგა); „**თუმნამდის**“ (თელავი)

შევნიშნეთ: არქაული ფორმების გამოყენება შეიძლება ჩამწერი სასულიერო პირების თავისებურება იყოს.

## **ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი , მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი** (თბილისი)

### **უ ს რ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ს ვ ა ნ უ რ შ ი**

უსრულ წინადადებაში გამოტოვებულია წინადადების ერთი ან რამდენიმე მთავარი ან არა მთავარი წევრი, რომელთა აღდგენა შესაძლებელია კონტექსტის ან სხვა გარემოების მეშვეობით.

ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ სვანურის ჩოლურულ მეტყველებაზე, სადაც არცთუ იშვიათად ვხვდებით უსრულ-უშემასმენლო წინადადებებს.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სამსჯელო საკითხის ამსახველი ილუსტრაციები წარმოდგენილია საველე პირობებში მოპოვებული მასალის საფუძველზე, რომელიც ძირითადად ემყარება ხანდაზმულთა მეტყველებას, ვინაიდან, სწორედ ასაკოვანი რესპოდენტების საუბარში ფიქსირდება სისტემატურად უშემასმენლო წინადადებები, განსხვავებით ახალგაზრდა თაობის მეტყველებისაგან.

დიალოგებში ზმნა-შემასმენლის გამოტოვება ჩვეულებრივი მოვლენაა დანარჩენი ქართველური ენებისთვისაც და ამ მხრივ გამონაკლისი არც სვანურია:

— მაჩუბი სგერი სგამენ ჯაშყიდმა ხოჩამდ? — მაჩუბის ქვედა სართულის შიგნით გახსოვს კარგად?

— **ხოჩამდ [მაშყიდ] ეჯი მაგ, სერ!** (გვ. 4) — კარგად [მახსოვს] ის ყველაფერი!...

— იმხენ ლოქ ხი? — საიდან ხარო?

— **ლენტხახენიჯ [ხუი]**! (გვ. 134) — ლენტეხიდან [ვარ]-მეთქი!

უსრულ წინადადებად დიალოგებში ძირითადად პასუხის ამსახველი წინადადებები გვევლინება, თუმცა დასტურდება შემთხვევები, როცა კითხვით წინადადებასაც აკლია ზმნა-შემასმენელი:



— ალე კანარ ხედი ლოქ ლიხ ხოჩილ? — ეს ხარები რომელი-  
აო უკეთესი?

— სულერთია ლოქ ლიხ, სიმწრე, აღმარ მერქდა ხოჩა ლოქ  
ლიხ! — სულერთიააო, შე კაცო, ესენი ორივე კარგი არიანო!

— **ემო ლოქ ხედი [ლი], ემო?!** — მაინც რომელი [არისო], მა-  
ინც?!

— **აალო, ალე ლოქ [ლი]!** (გვ. 141) — აბა, ეს [არისო]!

ცალკე აღებული საპასუხო უსრული წინადადება ხშირად  
მოკლებულია რაიმე სახის აზრს, მისი სრულად წარმოდგენა და  
შინაარსის გაგება შესაძლებელია გარკვეულ კონტექსტში იმ კი-  
თხვითი წინადადების გათვალისწინებით, რომელსაც პასუხად მო-  
უდის.

გარდა დიალოგებისა, ჩოლურულ მეტყველებაში უმეტესწი-  
ლად დასტურდება ისეთი უსრული წინადადებები, სადაც შედგე-  
ნილი შემასმენლის ზმნური ნაწილია (**ხუი** „ვარ“, **ხი** „ხარ“, **ლი**  
„არის“ სხვადასხვა მწკრივის ფორმით) ჩავარდნილი. შედარებით  
იშვიათად დასტურდება მარტივი შემასმენლის გამოტოვების შე-  
მოხვევებიც:

ალე ლიპარტელიანარ ხონკუტიდა ნაჯად **[ლიხ]** მგრამხენ (გვ.  
1) „ეს ლიპარტელიანები მანამდელი მონასველი [არინ] საიდან-  
ღაც“

ხოჩა ლარდას ხუასყიდად, ცეკუა-თამამ **[ლას]** ნებოხს (გვ.  
158) „კარგ სამყოფს ვაკეთებდით, ცეკვა-თამაში [იყო] საღამოს“

ხეთოფ ათხე, ცხად, კისტლარს ჯეფ, მი მამ **[ხუეთოფ]** ათხე  
(გვ. 133) „ესვრის ახლა, რა თქმა უნდა, კისტებს თვითონ, მე არ  
[ვესვრი] ახლა“

სერ ლიხასიათალო **[ლას]**, ხოჩა ლარდა ექკალიბ, ერე  
ლიშუპარალო ი მაგ **[ლას]** (გვ. 199) „კიდევ მხიარულება [იყო], კარ-  
გი სამყოფი ისეთი, რომ ცეკვა და ყველაფერი [იყო]“

მოხსენებაში ვრცლად იქნება განხილული ისეთი უსრული  
წინადადებები, რომლებიც მარტივი, შერწყმული, თანწყობილი  
(მასში შემავალი რომელიმე წინადადება), ქვეწყობილისა და ზერ-  
თული ანუ ნარევის სახის წინადადებების შემადგენელ ნაწილს  
წარმოადგენენ.

## **ნინო შარაშენიძე** (თბილისი)

### **ევიდენციალობის (უნახაობის) კატეგორია ქართული ენის დასავლურ დიალექტებში: ნა- პრეფიქსიანი ფორმების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზისათვის**

ევიდენციალობის კატეგორია უნივერსალური კატეგორიათა რიგს განეკუთვნება და იგი ყველა ენაში გამოიხატება. მისი გადმოცემა სხვადასხვა ენობრივი ფორმით ხდება: იგი შეიძლება ვლინდებოდეს დისკურსული ანალიზის შედეგად, შეიძლება გადმოცემული იყოს სინტაქსური, ლექსიკური ან მორფოლოგიური საშუალებებით. ევიდენციალობა ფართო გაგებით არის ტექსტში გადმოცემული ინფორმაციისა და ინფორმატორის / მოლაპარაკეს შორის არსებული მიმართების გამოხატვა – რა გზით იქნა მიღებული ინფორმაცია, პირდაპირი აღქმის შედეგია თუ მოსმენილი ან გაგებული სხვა წყაროდან, ჭეშმარიტებას მოიცავს იგი თუ სავარაუდო ან მოსალოდნელია მოლაპარაკისათვის.

უნახაობა სამივე ქართველურ ენაში დასტურდება, თუმცა იგი მორფოლოგიურ კატეგორიად არ მიიჩნევა.

ევიდენციალობის, უნახაობის კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვაგვარი ვითარებაა. აღმოსავლური დიალექტები ძირითადად ძველ ვითარებას ასახავენ – თურმეობითის მწკრივები უფრო შედეგობითობას, რეზულტატიურობას გამოხატავენ, თუმცა ნარატიულ ტექსტებში I თურმეობითის ფორმების თანმიმდევრობითი ხმარება განაპირობებს პერფექტის რეზულტატიური მნიშვნელობის რღვევას და უნახაობითი, თურმეობითი მნიშვნელობის ჩასახვას.

განსხვავებული ვითარებაა დასავლურ დიალექტებში. უნახაობის კატეგორიის გამოხატვა სრულიად ბუნებრივია მესამე სერიის ფორმებისათვის. გარდა ამისა, რამდენიმე დიალექტში არსებობს სპეციალური ფორმები ირიბი ევიდენციალობის გადმოსაცემად. მიჩნეულია, რომ ეს ფორმები მეგრულის გავლენის შედეგად ჩამოყალიბებული. ესაა **ნა**-პრეფიქსიანი წარმოება, რომლებიც სახელდებაულია მეოთხე სერიის ფორმებად.

**ნა**-პრეფიქსიანი ფორმები ქართული ენის ოთხ დიალექტში დასტურდება: ქვემოიმერულში, გურულში, ლეჩხუმურსა და რაჭულში. **-ნა** პრეფიქსიანი ფორმების სემანტიკურმა ანალიზმა რამ-

დენიზე ჯგუფის გამოყოფის შესაძლებლობა შექმნა. ეს ფორმები ირიბი ევიდენცილობისა და გარკვეული სემანტიკური ნიშნით ხასიათდება. ნაშრომში განხილულია **ნა-** პრეფიქსიანი ფორმებით შექმნილი კონსტრუქციის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი: ადმირატიულობა – ანუ მოულოდნელი შედეგი, ინფერენცია – ანუ ლოგიკური დასკვნა, ხმებზე დამყარებული ინფორმაცია, მკვეთრი ირონია.

## **ეთერ შენგელია, კობა მითაგვარია** (თბილისი)

### **ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი სახელები მეგრულ იდიომებში**

ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი სახელები აქტიურია იდიომებში მონაწილეობის თვალსაზრისით. საანალიზოდ ავიღეთ მეგრ. **ჭვიმა** „წვიმა“, **გურგინი დო ტყვაცი** „ჭექა-ქუხილი“, **ვალი** „ელვა“, **ჩხურუ** „სიცივე“, **სინჩხე** „სიცხე“, **ზორია** „ქარი“. აღნიშნული ერთეულები ქმნიან სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფს, კერძოდ:

**ჭვიმა** „წვიმა“

**განუწყვეტელი, ძლიერი წვიმა:**

**განოჩამილო ჭვენს** „განუწყვეტლად წვიმს“ (ზედმიწ. „გადაცემულად (დაწყველილად) წვიმს“).

**უსუსური, უმწეო**

**ჭვიმაშ ნაშქვიდეფი** „უსუსური, უმწეო, წვიმაც რომ დაახრჩობს ისეთი“. (ზედმიწ. „წვიმის დამხრჩვალი“).

**გურგინი დო ტყვაცი** „ჭექა-ქუხილი“

**რისხვა:**

**გურგინ დო ტყვაცით მულა** „ჭექა-ქუხილით, რისხვით მოსვლა“.

**ვალი** „ელვა“

**ძალიან სწრაფად:**

**ვალიში მამალას** თექ ქიდასხაპუ „ძალიან სწრაფად იქ გარჩნდა“; შდრ. ქართ. **ელვის სისწრაფით**.

**სინჩხე:**

**გაწყრომა, დატუქსვა:**

**სინჩხე ქიმეჩუ** „დატუქსა, გაუწყრა“ (ზედმიწ. „სიციხე მისცა“).

**პატივისცემა, მფარველობა** (ვინმესი)

იმ განშე **რგილ ზორიას ვაუტენს** „მას პატივს სცემს, მფარველობს“ (ზედმიწ. „მის მხარეს ცივ ქარს არ უშვებს“); შდრ. ქართ. **ცივ ნიავს არ აკარებს**.

**ამაო გარჯა**

ქიმეფხვადით, თენა ხოლო **ზორიაში ეკოთხოზინი** რდგ „მივხვდით, ესეც ამაო (უაზრო) გარჯა (ზედმიწ. „ქარის უკან მიდევნება“) იყო“.

**ჩხურუ** „სიცივე“:

**შეცივება:**

**ჩხურუქ ქინაჭკირგ** „შესცივდა“ (ზედმიწ. „სიცივე შეეჭრა“).

**აცივება:**

**ჩხურუქ ქედანთხე** „აცივდა“ (ზედმიწ. „სიცივე დაეცა“).

იდიომები საყურადღებოა სტრუქტურული თვალსაზრისითაც – კომპონენტთა შემადგენლობის მიხედვით გვხვდება ორდა სამკომპონენტიაანი იდიომები. უფრო ხშირია ორკომპონენტიანები; იდიომების შემადგენლობაში შემავალი წევრები შეიძლება იყოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილი: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნი-ზედა, გვხვდება საწყისი და მიმღეობა, ყველაზე ხშირია არსებითი სახელი და ზმნა.

**ვაჟა შენგელია, ცირა ჯანჯღავა** (თბილისი)

## **ფონეტიკურ პროცესთა ტიპოლოგია ქართველურ და ჩერქეზულ ენებსა და დიალექტებში**

მონათესავე ენებს ტიპოლოგიურად აერთიანებს არა მხოლოდ მსგავსება ფონოლოგიურ სისტემაში, არამედ საერთო ფონეტიკური პროცესებიც, რომელთაგან ზოგი ამჟამინდელია, ზოგი კი – ისტორიულად მოქმედი. ამ პროცესთაგან მხოლოდ ნაწილს შევხებით.

1. ხმოვანთა მარტივი და თანხმოვანთა რთული სისტემა ზოგადად იბერიულ-კავკასიურ ენათა და კონკრეტულად – ქართველური და ჩერქეზული ენების ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევა; ამ მხრივ გამონაკლისს სვანური ენა წარმოადგენს, რომლის დიალექტებში ხმოვანთა საკმაოდ რთული სისტემა ფუნქციონირებს, რასაც (ხმოვანთა სიგრძესთან ერთად) ისტორიულად ყველა დიალექტში მოქმედი უმლაუტი განაპირობებს. ჩერქეზული ვოკალიზმის სამწევრა სისტემაც უმლაუტის პროცესის შედეგია და ორწევრა სისტემისაგან მიღებულად ივარაუდება;

2. აფიქსების დართვის შედეგად ხმოვანთა რედუქცია მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია როგორც ქართველური, ისე ჩერქეზული ენებისათვის;

3. ქართველურ ენათაგან მეგრულ-ლაზურისათვის და ჩერქეზული ენა-კილოებისათვის არ არის დამახასიათებელი თანხმოვანი + სონორი მიმდევრობები და ხდება მათი სუპერაცია;

4. ქართველურ და ჩერქეზულ ენა-დიალექტებში გავრცელებულ ფონეტიკურ პროცესთაგან აღსანიშნავია რეგრესული ასიმილაცია;

5. ამავე პროცესს მიეკუთვნება მეგრულ-ლაზური და ჩერქეზული პირის ნიშნების ასიმილაცია მათი მომდევნო ზმნის ფუძისეულ თუ აფიქსისეულ თანხმოვანთან;

6. მნიშვნელოვანი პროცესია თანხმოვანთა დისიმილაციური გამჟღერება;

7. ბაგისმიერი თანხმოვნები შეიძლება მივიღოთ კომპლექსთაგან, რომლის პირველი კომპონენტია უკანაენისმიერი ბგერა;

8. მეგრულ-ლაზურსა და ჩერქეზულ ენებს ახასიათებთ ფარინგალური აბრუპტივის ლარინგალურ ბგერაში გადასვლის პროცესი (ყ → ყ);

9. ქართული ენის დიალექტებსა და მეგრულ-ლაზური ენის მეგრულ დიალექტში გავრცელებულია სისინა და შიშინა სიბილანტების **ა**-ში გადასვლის პროცესი (**ს** → **ა** და **შ** → **ა**), რაც ჩერქეზული ენის დიალექტებშიც შეინიშნება (კერძოდ, **შ** → **ა**) და სხვ.

ერთნაირი ფონეტიკური პროცესები (მათი ნაწილი მაინც), რომლებიც ქართველურ და ჩერქეზულ ენა-დიალექტებში დასტურდება, ამ ენათა საერთო ტიპოლოგიურ მახასიათებლადაც შეიძლება განვიხილოთ.

## ერთი ისტორიული გვარი საქართველოში (ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით)

ყოველი გვარი ერის გენეტიკური საგანძურია, მაგრამ, თუ რომელიმე მათ შორის „კაიკაცობრივი“ მრავალრიცხოვნებითაცაა გამოჩეული, ეს უკვე მშობლიური ხალხის უკვდავების ტოლფასია. საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, ამ თვალსაზრისით **ბერიძეთა** საგვარეულო უნდა განვიხილოთ, რომელიც 300000-მდე სულისგან შედგება, მათ შორის მხოლოდ აჭარაშია 14192;

იმის მიხედვით, თუ ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში ცხოვრობს **ბერ-** ძირის შემცველი გვარის ოჯახი, შესაბამის **პატრონიმთა** სეგმენტაცია განსხვავებული გამოვა, რადგანაც სემანტიკურად ერთგვარი, თუმცა ფორმოზრივად ნაირ-ნაირი დაბოლოებანი ქმნიან საკმაოდ რთულ სურათს: **-ძე, -შვილი, -ი<sup>1</sup>ან > -ია, -უან > -უა.** ყველა მათგანი გამოიყენება ქართულ გვარებში და, ძირითადად, „შთამომავალს“ შეესაბამება, ამიტომაც ვერ გავიზიარებთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ **ბერ-** „ვაჟს, ძეს, ყრმას“ აღნიშნავს, მით უმეტეს, ძნელი დასაჯერებელია, საანალიზო ძირი ლაზურ **ბერე** („ვაჟიშვილი, ბავშვის“)ს უკავშირდებოდეს. თუ ამ ვარაუდებს დავეთანხმებით, მაშინ სემანტიკურ ჭრილში სერიოზულ უხერხულობას წავაწყდებით, რადგანაც „ბერიძე“ და „ბერიშვილიც“ ისტორიულად „შვილიშვილი“ გამოგვივა. უფრო მეტიც: 1995 წლის 1 თებერვლის საპასპორტო მონაცემებისა და მეტრიკული ამონაწერების მიხედვით, გურჯაანში, გარდაბანში, ბათუმსა და თბილისში ცხოვრობს **ბერიძიშვილთა** 329 ოჯახი, რომელთა სახელწოდების ეტიმოლოგია „შვილიშვილიშვილს“ წარმოგვიდგენს, რაც, რაღა თქმა უნდა, ძნელი დასაჯერებელია – მაინც ვისი შვილთაშვილები უნდა ყოფილიყვნენ **ბერიძიშვილები**?! – ბერიძეთა თუ ბერიშვილებისა?!

**ბერ-** ძირი პატრონიმებში წარმოდგენილია ნაირ-ნაირი (ძირითადად, კნინობითი) სუფიქსებით ან კომპოზიტური სტრუქტურით; გამონაკლისს ქმნის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული **-ურ** (დისიმილაციით **-ულ**), რომელიც, ჩვეულებრივ, არ გვხვება **ბერ-**თან კომბინაციაში. ერთადერთი გამონაკლისია 1700

წლის დოკუმენტში წარმოდგენილი ქაიხოსრო, ფეშანგ და თამაზ ყანჩაველების მეკოდისპურე ყმები: ვინმე თევდორე **ბერ-ა-ულ-ი**, მამისიმედ **ბერ-ი-ულ-ი** და ნადირა **ბერ-ი-ულ-ი**. აგრეთვე, თბილისში, დედოფლისწყაროსა და თელავში დღეს მცხოვრები **ბერ-იკ-ა-ულ-ებ-ი** (33 სული).

ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ მთელ საქართველოში ყველაზე გავრცელებული (მათ შორის მესხეთში, აჭარასა და გურიამი პირველ ადგილზე მდგარი) გვარი ძველიც იყოს. ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდაა აღიარებული ოფიციალურ პატრონიმთა შედარებით გვიანდელი წარმომავლობა, რასაც მხარს უჭერს კომპარატივისტული ლინგვისტიკაც.

**ბერ-ი** ყველა თანამედროვე ქართველური ენის დიალექტებში ე. წ. შავი სამღვდლოების წარმომადგენელს ნიშნავს, ვისაც არ შეიძლება ოჯახი (ცოლ-შვილი) ჰყავდეს, რადგანაც ის საზოგადოებისგან მოშორებულ მონასტერში განდგომილად ცხოვრობს. ვფიქრობთ, თანდათანობით ამ ლექსემის მნიშვნელობა გაფართოვდა და იგი „ხატისა“ თუ „ხევის უფლის“ აღსანიშნავადაც იქნა გამოყენებული: ფშაურსა და ხევსურულ დიალექტებში **ბერ-ზაადური** გუდანის ჯვრის სახელწოდებაა, იმავე მეტყველებაში **ბერ-ი** „კოპალას“ (ხატია!) ეპითეტია, ხოლო ხევსურები და მთიულები **ბერ-ზვარ-ა/ბერ-ზორ-ას** „ხატისთვის შეწირულ ხარს“ უწოდებენ.

მულახელი მოსე ნიგურიანის მიერ 1937 წელს ჩაწერილ ძველ სვანურ ხალხურ სიმღერაში **თათრიშ ლაშგარ** (იხ. სვანური პოეზია 1939: 44-52) ჯარის მეთაურს **ბერ გელტან**ს კლავენ, რომლის კარავში, მიცვალებულის სასთუმალთან, **სალშგარუ ხატი** („სალაშქრო ხატი“) ეკიდა. თავისთავად ცხადია, გელოვანი სასულიერო პირი არაა, მაგრამ მას სახელად **ბერ-** ჰქვია; შდრ. ქართული **ბერ-ა**, **ბერ-ია**, **ბერ-ოა**, **ბერ-უა** ანთროპონიმები; ყველა შემთხვევაში ამოსავალია არა შავი სამღვდლოების აღმნიშვნელი ლექსემა **ბერ-ი**, არამედ კონკრეტული ანთროპონიმი, რომელიც, თავის მხრივ, ზოგადი სახელისგან („მოხუცი, მცოვანი, უფროსი, მთავარი, ხანდაზმული, ბებერი“) მომდინარეობს (შდრ. ძვ. ქ. **ხევისბერი/ხევისუფალი**, ერთი მხრივ, და **ბერათითი**, მეორე მხრივ).

იმავე **ბერ-** ძირის შემცველია სვანეთის სულთა მატიანეში (XIII ს.) დადასტურებული **ასი-ბერ-იან-ი**, **ბერ-ან-ევ-ან-ი** და **ჯამ-ბურ-იან-ი**, XIV საუკუნის ისტორიულ საბუთებში წარმოდგენილი **კამ-ბერ-იან-ი/კონ-ბერ-იანი** და თანამედროვე **ბერ-იან-ი** (შდრ. **ბერ-**

**იან-ი-მე** აღმოსავლეთ საქართველოში) – მესტიის რაიონის სოფელ მულახში მცხოვრები 7 ოჯახი 1887 წლის სტიქიურ კატასტროფამდე.

დღეს მხოლოდ ჯამბურეანები (< **ჯან-ბერ-იან-ებ-ი**) ცხოვრობენ სვანეთში (ჩოლურში), სხვა დანარჩენები ან გადაშენდნენ, ან სამოსახლო შეიცვალეს.

გარდა ამისა, ლაშხეთში გვხვდება **ბერიძეთა** ერთი (სოფელ მარგვიში), ხოლო **ბერაძეთა** სამი ოჯახი (სოფელ სასაშში), რომლებიც XVIII საუკუნის ბოლოს გადასახლებულან სვანეთში რაჭიდან და იმერეთიდან.

**ბერ-** ძირის შემცველი გვარები სრულიად საქართველოშია გავრცელებული, რომლებიც ანთროპონიმული (და არა ასკეტური სახელწოდების!) წარმომავლობისანები არიან თითქმის ყველა შემთხვევაში; მათ სემანტიკას განაპირობებდა ადამიანთა პატივისცემის, მოკრძალების გამოხატვა. საინტერესოა, რომ კახეთში, სოფელ ბოდბისხევში, ერთი ახალგაზრდის თიკუნია **ბებერო**, ვინც სხვათაგან მხცოვანი (ბრძენი) კაცისთვის დამახასიათებელი ჭკუით გამოირჩევა (ცხადაია 2005: 11,97).

**ბერ-** ძირის შემცველ გვართა უმრავლესობას თავიანთი გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი კავკასიის ცივილიზაციის მაღალ დონეზე წარმოდგენის საქმეში. ამის საილუსტრაციოდ მარტო XI საუკუნის სახელგანთქმული მწიგნობრის **ნიკოლოზ გულაბერისძისა** თუ აკადემიკოსების **ფუკოლ** და **ვახტანგ ბერიძეების** (მამა-შვილის) დასახელებაც კმარა...

## **მ ა ლ ხ ა ზ ჩ ო ხ ა რ ა ძ ე , თ ა მ ა რ ჩ ო ხ ა რ ა ძ ე** (ბათუმი)

### **ქართული დასახლებები გირესუნის პროვინციაში**

გირესუნის პროვინცია თურქეთის შავიზღვისპირეთში მდებარეობს. შავი ზღვის რეგიონში 18 პროვინციაა. ჭოროხის ხეობასა და ლაზეთში ქართველები მამა-პაპათა მიწაზე ცხოვრობენ. შიდა პროვინციებში კი მუჰაჯირთა შთამომავლების მრავალი ქართულენოვანი სოფელია. კერძოდ, ქართულენოვანი დასახლებები მეტ-ნაკლები



რაოდენობით არის ამასიის, ბოლუს, დუზჯეს, ორდუს, სამსუნის, სინოპის, თოქათის და სხვა პროვინციებში.

გირესუნის პროვინციაში 16 რაიონია. მათგან ქართული სოფლები არის ხუთში. კერძოდ, ბულანჯაქის, პირაზიზის, ქეშაპის, დერელის, გირესუნის (ცენტრალურ) რაიონებში.

ყველაზე მეტი დასახლება ბულანჯაქის ([Bulancağ](#)) რაიონშია – 13 სოფელი: დამუდერე (Damudere), ეზელთერე (Ezeltere), გუნეიქოი (Güneyköy), ჰაჯეთ (Hacet), კარააღაჩი (Karaağaç), ქაიაბაში (Kayabaşı), ქიშლა (Kışla), კუჩუქდერე (Küçükdere), ოდადუზუ (Odadüzü), თეფე-ორენი (Tepeören), თოქმადინი (Tokmadin), იენიქოი (Yeniköy), იე-შილთეფე (Yeşiltepe);

გირესუნის ცენტრალურ რაიონში 3 სოფელია: ამბარალანი (Ambaralan), იჩმესუ (İçmesu,) იაიქინლიქი (Yaykınlık);

პირაზიზის ([Piraziz](#)) რაიონში ორი სოფელია: თეფექოი (Tepeköy) და იუნუსემრე (Yunusemre);

ქეშაპის ([Keşap](#)) რაიონში ერთი სოფელია: ქურბაფინარი (Kurbapınarı);

დერელის (Dereli) რაიონში ერთი სოფელია: აქქაია (Akkaya).

მიუხედავად იმისა, რომ დასახელდა ხუთი რაიონი, აღნიშნული სოფლები ერთადაა დაჯგუფებული. ოდნავ მოშორებითაა ქურბაფინარი, ამბარალანი, იჩმესუ და აქქაია. დასახელებული სოფლებიდან მხოლოდ რამდენიმეა შერეული მოსახლეობით. უმრავლესობაში ყველა ოჯახი ქართულია.

გირესუნის ქართული მოსახლეობა აჭარიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებია, ძირითადად თანამედროვე ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს რაიონის სოფლებიდან. საშუალო და უფროსი თაობა მშობლიურ ენას საკმაოდ კარგად ფლობს, თუმცა, გასაკვირი არაა, რომ ლექსიკა გადარიბებულია და თურქიზმებიც მოჭარბებულია. ახალგაზრდობა, უმცროსი თაობა საზოგადოდ, სოფლებშიც კი ვეღარ ლაპარაკობს ქართულად.

## მერაბ ჩუხუა (თბილისი)

### მასალები ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის

- ს.-ქართვ. \*სვავ- „სვავი, გედი“  
ქართ. სვავ-ი : ზან. (მეგრ.) შონ-ი „გედი“, შონ-ტობა (პ. ცხადაია) : სვან. შვან „გედი“
- ს.-ქართვ. \*კეხ- „კეხი, შემადღება“  
ქართ. კეხ-ი, კეხ-იანი : ზან. (მეგრ.) კახ-უ „მაღალი შიშველ-ფერდობი ადგილები“
- ს.-ქართვ. \*ცხერ- „ტყე (რცხილის)“  
ქართ. (გურ., იმერ.) ცხერ-ი „რცხილა“ : ზან. (მეგრ.) ჩხარ-ი „შეთხელებული ტყე, ვაზის ჯიშიცაა“
- ს.-ქართვ. \*კორძ- „კორძი“  
ქართ. კორძ-ი : სვან. ყუნჯ „კორძი ხის ტანზე“
- ს.-ქართვ. \*კეკე-რა „კენკრა“  
ქართ. კენკრა : ზან. (მეგრ.) კაკარო „კენკრა“, შდრ. ტოპ. კაკარო (მარტვილი)
- ს.-ქართვ. \*ყვირ-ა- „ცალი, ეული“  
ზან. (მეგრ.) ყვირა „ეული“ : სვან. ყვირა- „ცალთვალა“
- ს.-ქართვ. \*ზარგ- „ნათესავი“  
ზან. (მეგრ.) ზოგ-ი „ნათესავი“, ზოგ-იმ ზოგ-ი „შორეული ნათესავი“ : სვან. ბარგ (ლშხ.) „ახლონათესავი“
- ს.-ქართვ. \*ტუმბ- „მორევი, დელე“  
ქართ. (ხევს.) ტუმბ-ო „მორევი“ : ზან. (მეგრ.) ტვიბ-ია დალუ „მორევიანი დელე : სვან. ტვიბ-რა „დელე“; შეიძლება ტოპ. წყალ-ტუბო ამავე ქართულ ძირს შეიცავდეს.
- ს.-ქართვ. \*მულალ- „მკბენარი; ჭიალუა“  
ქართ. (ზ. იმერ.) მულალ-ი „მკბენარი : ზან. (მეგრ.) მურღულ-ია „ხარაბუზა“ : სვან. მულულ „ჭიალუა“
- ს.-ქართვ. \*ბიჯ- „ბიჯი, ბრჯენი“  
ქართ. ბიჯ- „საბჯენი, ბრჯენი“, ბიჯ-აგ-ი „საკაცე“, გურ. ბიჯ-იკინა- „ბიჯი“ : ზან. (მეგრ.) ბიჯგ-ი „ბრჯენი“, ათო-ბიჯგ-აფ-ა „შებრჯენა“ : სვან. (ჩოლურ.) ბინჯგ „ბრჯენი“
- ს.-ქართვ. \*ჰაჰ- „coire, კოცნა, შეხება“

ქართ. (მოხ.) წაწ-ებ-ა „შეხება“ : ზან. (მეგრ.) ჭუჭ-უა „კოცნა“ : სვან. ჭაჭ- „coire“, ი-ჭაჭ-იელ „აქტს სჩადის“

ს.-ქართვ. \*ოქსილო- „დიდი კოპე“

ქართ. (გურ.) ოქსილო/ოქსინო „დიდი კოპე“ : ზან. (მეგრ.) ორშიმო „ხრიკა“

ს.-ქართვ. \*გერემ- „უფსკრული“

ქართ. გრემ-, გრემ-ი (ტოპ.) : ზან. (მეგრ.) გარამ-ი ‘უფსკრული“

ს.-ქართვ. \*მოლ-ე „მცირე“

ზან. (ლაზ.) მოლა „ნელთბილი“ : სვან. მოლე „მცირე“

ს.-ქართვ. \*ობ-ა „ღვთაება ერთ-ერთი“

ქართ. (მოხ.) ობ-ა „წმინდა ობა“ : ზან. (მეგრ.-ლაზ) ობ-იშხა „პარასკევი“ : სვან. ვობ „თავბედი“, „судна“

ს.-ქართვ. \*დუყ- „ყლორტი“

ქართ. დუყ-ი „ყლორტი“ : ზან. (ლაზ.) დურყ-ი „ყლორტი“, მეგრ. დუყ-ი „ახალი ყლორტი“, დუყ-ია „კვირტი“; შდრ. ლაზ. დუყ-ი//დუყ-ი „ბოძი“

ს.-ქართვ. \*მან- „მძივი“

ძვ. ქართ. მან-ი „მძივი“ : ზან. (ლაზ.) მონ-ი „მძივი“, შდრ. გვარ-სახელები: ქართ. მე-მან-ი-შვილ-ი, მეგრ. მონ-ია-ვა

ს.-ქართვ. \*სხამ- „ინიციაცია, დაბედება“

ქართ. ხელ-და-სხმ-ა „ინიციაცია“ : ზან. (მეგრ.) გე-შხომ-აფ-ა „დაბედება“

ს.-ქართვ. \*ფენ- „წყალობა, წმინდა“

ზან. (მეგრ.) ფან-ა „წმინდა, სალოცავი ადგილი“ : სვან. ფენ „წყალობა“

ს.-ქართვ. \*ჩუმ- „ჩუმი“

ქართ. და-ჩუმ-ებ-ა, ჩუმ-ი : ზან. (მეგრ.) ჩქუმ-ი „პირქუში“ : სვან. ჩქვიმ „ჩუმი“

ს.-ქართვ. \*ტყებ- „ველური არემარე“

ზან. (მეგრ.) ტყაბ-ი „ველური ადგილი“, ტყაბ-თხირ-ი „ტყიური თხილი“ : სვან. ტყეფ „არე-მარე, მიწა-წყალი“

ს.-ქართვ. \*ც-ინ- „სიცილი, გაცინება“

ქართ. ცინ-, ი-ცინ-ი-ს : ზან. (ლაზ.) ო-ჩინ-უ „სიცილი“, მ-ჩინ-ი „დამცინე“ : სვან. ჩ-ონ-, ხ-ა-ჩ-ონ-და „გაეცინა“, ხ-ა-ჩ-ა „ეცინება“

## გრამატიკული კატეგორიები სამხრული ზმნური ფრაზეოლოგიზმების მიხედვით

ზმნური ფრაზეოლოგიზმების კვლევისას ყურადღებას იქცევს ერთი მეტად საინტერესო მომენტი. გრამატიკული კატეგორიების მიხედვით ცვლას მოჰყვება სემანტიკური ცვლილებებიც. აღნიშნულ ფაქტამდე შეიძლება მიგვიყვანოს გრამატიკული სინონიმების შედარებითმა ანალიზმაც. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს კაუზატივის, შუალობითი კონტაქტის, სუბიექტური და ობიექტური წყობის ზმნების, ქცევის ფორმათა შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად. ძირითადი, წამყვანი, მაფრაზეოლოგიზებული კომპონენტის გრამატიკული კატეგორიების შეცვლით ვიღებთ სრულიად განსხვავებულ, ხშირად საპირისპირო შინაარსსაც. შესაბამისად, მათი კონოტაციაც განსხვავებულია, ისინი მარკირებულია.

მოკლედ, ფრაზეოლოგიზმების კვლევისას აქტუალურია პარადიგმატული სინონიმის საკითხი, კერძოდ, იდიომის კომპონენტთა სისტემური სინონიმური ურთიერთობა გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით.

ქართულში ამგვარი შემთხვევა სპორადულად გვხვდება: **ბუზსაც არ აიფრენს თავზე, ბუზს ვერ აიფრენს, ბუზსაც ვერ აუფრენენ**. ეს ფრაზეოლოგიზმები განსხვავებული კონოტაციისაა.

მეტად საინტერესო ენობრივი ფაქტია მათი გამოვლენა სამხრულ კილოებში, ასევე მუჰაჯირთა მეტყველებაში.

**ლემსის ყუნწში გაძვრა** (ყველა ღონეს მიმართავს მიზნის მისაღწევად) და **ლემსის ყუნწში გააძრუმლა** (ძლიერ შეაწუხა, გამოცდა მოუწყო, დასაჯა). აქ კაუზატივის ფორმათა მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე, ისევე როგორც შემდეგ შემთხვევებში (**სული გაშპა**) **გაძრა** (დაიტანჯა) გაწვალდა, მოკვდა), **სული გააშპუნა/გააძრო** (დაიტანჯა, გააწვალა, მოკლა), **ჰახს არ შეჰამს** (უსამართლობას არ ჩაიდენს), **ჰახს არ შეაჰმევს** (უსამართლობას არავის შეარჩენს; (hak არაბული სიტყვაა და ნიშნავს გასამრჯელოს, სიმართლეს).

ზოგჯერ სემანტიკური ცვლილება ზმნის გვარის ფორმათა სინონიმის ემყარება: **აბრუ გაუტყდება** (სახელი შეურცხვება), **აბრუს**

**არ გაიტეხს** -- არ შეიმჩნევს, იხტიბარს არ გაიტეხს); **აბრუ არ გაგიტეხონ** – **აბრუ არ დუგულურონ** – არ შეგარცხვინონ.

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში დადასტურდა **ჰადს მიაჰამე** (საჰმელი ცოტაა) და **ჰადს მიაჰამე** (საჰმელი ბევრია).

ზოგჯერ ეს მოვლენა ზმნის სუბიექტურ და ობიექტურ წყობასაც ემყარება: **ღლიაში გამახედნია** (მასხრად ამიგდო), **ღლიაში გავახედნიებ** (**დავიმორჩილებ**).

ეს ფაქტი შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორიების სიმრავლის კვალობაზე ფრაზეოლოგიზმთა სტრუქტურაში გამოწვეულ ცვლილებად, კერძოდ, პარადიგმათა ლაბილურობად. სამხრული კილოების მონაცემები გვიჩვენებს, რომ ეს ცოცხალი პროცესია.

**როინ ჭიკაძე** (თელავი)

## **სპეციფიკური ჰიპოტაქსური კონსტრუქციები ჩვენებურების ქართულში**

დროის ფაქტორი თუ ტერიტორიული დისტანცია კიდევ უფრო ზრდის ჩვენებურების ქართულის ენათმეცნიერული შესწავლის გადაუდებელ აუცილებლობას, ვინაიდან თანდათანობით დავიწყებას ეძლევა მუჰაჯირების მშობლიური ენა, რასაც საკუთარი მიწა-წყლიდან „გადასოფლებული“ ჩვენებურები გულმტკიცებულად განიცდიან: „ჩუენი ენა იკარქვის და ამაზე ფენა შეწუხვილი ვართ, გულის კაკალი ქვტკივა.“ სწორედ ამიტომაც საშური ქართული ენის დიალექტების და, მათ შორის, განსაკუთრებით ტერიტორიულად დაშორებული და მშობლიურ ენას მოწყვეტილი დიალექტების ენობრივი დოკუმენტირება.

ჩვენებურების ქართულში გვაქვს როგორც კავშირიანი, ისე უკავშირო ჰიპოტაქსური კონსტრუქცია. კავშირიანი ქვეწყობილი წინადადება საკმაოდ ღარიბია საკავშირებელი საშუალებებით, სადაც იშვიათად გვხვდება მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები. დამოკიდებული წინადადების მთავართან დასა-

კავშირებლად დომინანტობს **რომ/რომე**, რომელიც, საერთოდ, ყველაზე პოლისემანტიკური კავშირია. ზოგჯერ მისი მონაცვლეა **ქი**, იშვიათად კი **დიე**; მაქვემდებარებელ კავშირად გვხვდება აგრეთვე **თუ**. ამ კავშირთა გამოყენების სიხშირე ასეთია: **რომ/რომე** - 70%. **ქი** - 20%. **თუ** - 8%. **სხვადასხვა** - 2%.

ამრიგად, ჩვენებურების ქართულში **რომ/რომე, ქი** კავშირების გამოყენების სიხშირე შეადგენს 90%-ს, სხვადასხვა - 10%-ს.

ჩვენებურების ქართულში კავშირიანი თუ უკავშირო კონსტრუქციის დამოკიდებული წინადადება **შინაარსის მიხედვით** მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. აღნიშნულ კონსტრუქციაში დომინანტობს **გარემოებითი** დამოკიდებული წინადადებები; ვფიქრობთ, ენაში ასახულ ამ ვითარებას ხელს უწყობს მუჰაჯირთა სოციალური გარემო, მათი ყოფა და საფიქრალი.

ჩვენებურების ქართულში გვხვდება **სპეციფიკური სინტაქსური კონსტრუქციები**; კერძოდ, ელიფსური კონსტრუქცია, **ქი** კავშირის პოზიცია, წინადადების რიტმულ-მელოდიკური სტრუქტურა...

**ელიფსურ კონსტრუქციაში** მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელთან იგულისხმება მოქმედების კიდევ უფრო დამაზუსტებელ-დამაკონკრეტებელი სიტყვა. ესაა შეკვეცილი კონსტრუქციის ერთ-ერთი სახე, რომელიც ძირითადად სასაუბრო ქართულს ახასიათებს; ასეთ კონსტრუქციაში დამოკიდებული წინადადება, როგორც წესი, **რომ კავშირიანი დროის გარემოებითა** და კვეცა ხდება კონტექსტით ადვილად საგულისხმებელი ზმნა-შემასმენლის გაუჩინარებით:

გახედა, რომ თავგებმა დეიწყეს ფუთუნი მეგემ,25. კაცმა მეიხედა, რომ ხალხი მორბიან რაცხა ბევრი,26. ამეიყვანეს, რომ გერჩეჟის კაცი,26. მოვიარეთ, რომ არ არიან,27. იბრაჰიმმა დეინახა ბებერი, რომ მაშინ დაფიშინდა,176.

ჩანს, აღნიშნულ კონსტრუქციაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებით გადმოცემულია მოქმედების ერთდროულობა, რაც ცხადი გახდება გაუჩინარებული ზმნა-შემასმენლის აღდგენით: გახედა თუ არა, და ა ი ნ ა ხ ა, რომ...; კაცმა მეიხედა თუ არა, და ა ი ნ ა ხ ა, რომ...; მოვიდენ მლოცავები თუ არა, და ა ი ნ ა ხ ე ს, რომ...;

ზოგჯერ **სპეციფიკური ჰიპოტაქსური კონსტრუქცია** იქმნება ისეთ ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც მაქვემდებარებელი კავშირი **ქი** პოზიციურად გადადის მთავარ წინადადებაში და ენკლიტიკურად ეკვრის მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელს:

ვუთხარი **ქი**, იმასაც ვაწავლიო,335. ბევრ იტყვიან **ქი**, სატალახე ზუელი დასახლება ყოფილა,174. შეხედა **ქი**, ფერხულობენ,174. გიცადეთ **ქი**, მოიდეს,196.

მაქვემდებარებელი კავშირის ამგვარი პოზიცია გამოწვეულია წინადადების ინტონაციურ-ექსპრესიული ფაქტორით. ასეთ კონსტრუქციაში **ქი** არის არა მხოლოდ მაქვემდებარებელი კავშირი, არამედ იგი დატვირთულია დადასტურებით-მტკიცებითი ნაწილაკის ფუნქციით და წინადადებას აძლევს **სპეციფიკურ რიტმულ-მელოდიკურ ელფერს**.

ამრიგად, საანალიზო მასალითაც დადასტურდა, რომ ჰიპოტაქსური კონსტრუქციის პირველწყარო ხალხური ზეპირი მეტყველებაა. ამასთანავე, ჩვენებურების ქართულმა შემოგვინახა სპეციფიკური ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც საერთო ენობრივი ტენდენციის კონკრეტულ გამოვლენას ასახავს.

## **ნინელი ჭოხონელიძე (თბილისი)**

### **სართიჭალაში (გარდაბნის რაიონი) დადასტურებული ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები**

სართიჭალაში მე-19 საუკუნის დასაწყისიდან სოფლის ძირძველ მოსახლეობათან ერთად გვხვდებიან განსხვავებული მიზეზების გამო ჩამოსახლებული რაჭველები, იმერლები, ფშავლები, ხევსურები, მთიულები. არიან აქ აგრეთვე სხვა კუთხის წარმომადგენლებიც, ამდენად სართიჭალის მეტყველების შესწავლა დიალექტთა ურთიერთზეგავლენის თვალსაზრისით საინტერესო სურათს წარმოაჩენს. ამჯერად განვიხილავთ სართიჭალის პირვანდელ, ადგილობრივი მოსახლეობის „ბუდიონელების“ მეტყველებაში დადასტურებულ ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებს, რო-

მელთა დიდი ნაწილი სალიტერატურო ქართულთან თანხვედრილია, ზოგი კი სხვა დიალექტშიც შეიძლება შეგვხვდეს.

სართიჭალაში დადასტურებული ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები ძირითადად უკავშიროა და გვხვდება როგორც I. ფუძეუცვლელი; ისე II. ფუძეცვლილი სახით.

1. ფუძეუცვლელი კომპოზიტები, რომლებიც მარცვალთა გაორკეცებითაა მიღებული:

**ცაკცაკა** ჩქარ-ჩქარა მოსიარულე.

**ქითმაქითმად** პატარ-პატარად. მაგ. ქითმაქითმა დაკუნა.

**ტაპტაპა** 1. მძიმედ მოლაპარაკე; 2. მძიმედ მოსიარულე.

**ტყარტყარი** სიბრაზისაგან გაწითლება.

შეიძლება სალიტერატურო ქართულის ფუძეუცვლელი კომპოზიტები სართიჭალურ მეტყველებაში სხვა ბგერით იყოს წარმოდგენილი. მაგ.:

**კაწკაწა** ჩაუცმელი, ხელუხლებელი კაბა. იგივეა, რაც კაწკაწა.

**ყიტყიტი** იგივეა, რაც ყატყატი.

**დუდდუდი** იგივეა, რაც დუგდუგი.

**რატარუტი** იგივეა რაც რატრატი.

2. სახელის ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტები უფრო ხშირია.

**კუზიკუზ** მოკუზული. შდრ. კუზი.

**ტაბაკტაბაკ** ერთიანად. შდრ. ტაბაკი.

**ბატბატა** ბატივით მოსიარულე. შდრ. ბატი

**ლურთლურთი** ძალიან მსუქანი ხორცი. შდრ. ლურთი.

**ფოთოლფოთოლ** აჭრელებული. იხ. ფოთოლი.

**იანიანა** უზოუკვლოდ სიარული. შდრ. თურქ. **იან** გვერდი, მხარე.

შეიძლება ამოსავალი სახელი ფონეტიკურად იყოს ცვლილი **ხევრეხევრე** ბრიყვულად. **ხევრე** ბრიყვი < ხეპრე.

**ზვიგზვიგ** ზუსტად. შდრ. ზუზი ზუსტი. შდრ. ასურ. **ზუზა** მონეტა.

II. ფუძეცვლილი კომპოზიტები:

1. ძირითადად დასტურდება **ა-უ-** ხმოვანთა მონაცვლეობა.

**ბრაცაბრუცი** ბრმასავით სიარული. შდრ. ბრუციანი.

**ფათაფუთა** ჩქარი. შდრ. ფათური.



**კაკაკუევი** ტკბილეულობა. შდრ. კაკა.

**ფრასტიფრუსტი** ხმაურის გამოცემა სიარულის დროს. შდრ. ფლასტი.

2. იკარგება თავკიდური თანხმოდანი:

**არუქმარუქი** ნებიერი. შდრ. აროქ-ფაროქ (ი. გრიშაშვილი).

სპ. **ფაროქ** > მარუქ.

**აზრისაზარი** იხ. ხაზარი – ქეგლ.

**აჰკაბაჰკა** აცაბაცა.

შეიმჩნევა თანხმოდანთა სხვა სახის ცვლილებებიც:

**ქიცა/ომაცო** წვრილი ნაყარნუყარი რამ.

შეიძლება სალიტ. ქართულთან ფორმოზღვივ თანხვედრილი კომპოზიტი სხვა მნიშვნელობით დასტურდებოდეს.

**ხუჩხუჩი** იგივეა რაც ხაჩხაჩა < ხასხასა, სუფთა. შდრ. **ხუ-ჩხუჩი** ქვითქვითი – ქეგლ.

**ზიმზიმი** სიმდიდრე. შდრ. **ზიმზიმი** ჩოჩქოლი – ქეგლ.

**ვასვასი** ლასლასი. შდრ. **ვასვასი** ბიბინი, ლივლივი – ქეგლ.

## **ნ ი ნ ო კ უ მ ზ უ რ ი ძ ე** (თბილისი)

### **ვერბალიზაციის შემთხვევები ქართული ენის დიალექტებში**

ტრანსპოზიციის კერძო სახე, ვერბალიზაცია, ანუ ის შემთხვევა, როცა ზმნა-შემასმენლის ფუნქციას ასრულებს სხვა მეტყველების ნაწილი, საკმაოდ იშვიათია ქართულში და ნაკლებად არის შესწავლილი. განსაკუთრებით საინტერესოა, როცა ზმნა-შემასმენლის ფუნქციით გვევლინება ხმაბადვითი ფორმაუცვლელი ბგერათკომპლექსები ან ბგერწერითი სიტყვები.

ხმაბადვითი და ბგერწერითი ბგერათკომპლექსებით იწარმოება როგორც სახელები, ისე ზმნის პირიანი ფორმები, ზოგჯერ კი მხოლოდ ბგერათკომპლექსით, სიტყვაწარმოების აფიქსთა დართვის გარეშე, გადმოიცემა პირიანი ზმნის შინაარსი, რაც როგორც ვერბალიზაციის შემთხვევა, განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის; ასე მაგალითად, **ბიჯგ** ბგერათკომპლექსი გვაქვს სახელებშიც და ზმნებ-

შიც: მერე **ბიჯგებზე** გავდებთ ონგალოებს (ზემოიმერ.); **დავიბიჯ-გნიდით** ჯოხს, **საბიჯგებელას** აქეთ-იქით და შევადგებოდით ფეხით (ლექხ.). ვერბალიზაციის შემთხვევა გვაქვს შემდეგ წინადადებაში: ბურსას გარეთიდან რომ გასულა, იმ ხმელ ჯოხით, **ბიჯგინ-ბიჯგინ**, დამჟღარა იგზე (ზემოაჭარ.).

**კაკუნ** ხმაბამვითი ბგერათკომპლექსი გვხვდება **კაკუნ** ვარიანტითაც. იგი გვხვდება როგორც სახელის, ისე ზმნის ფუძედ: თავში რო ჩაარტყამს ჯოხითა, **ჩაუკაკუნაო**, იტყვიან; თავის **კაკუნა** დააქს თანა და ვისაც მოხვდება, **ჩაუკაკუნებს** ხომე (ქართლ.). ა. წერეთლის „ბაშიაჩუკში“ **კეკუნ** ზმნის ფუნქციითაც გვხვდება: **კეკუნ** თავში ემ-მაკს.

ასევე ხმაბამვითი ბგერათკომპლექსი **ბრახ** ზოგჯერ ცვლის ზმნის პირიან ფორმას: ჩივთაი სილაჰი მქონდა, ეველ დივანზე და **ბრახ და ბრახ**. – ვინ სროლილოფსო? (ზემოაჭარ.).

მსგავსი შემთხვევები განსაკუთრებით საინტერესოა ენის გამომსახველობითი შესაძლებლობების გამოვლინების თვალსაზრისით.

## **რამაზ ხალვაში** (ბათუმი)

### **ხანთუშეთი და ხანთუშიძეები**

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა გვარსახელ ჯანთუშიძის არასწორი დაწერილობა: ჯანთუბიძე // ხანთუბიძე // ხანთუმიძე. ამ საკითხზე საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას ვ. კეკელია და ი. ხოსიტაშვილი და დასძენენ, რომ მინაწერებში ეს გვარი იკითხება როგორც ჯანთუბიძე და არა ჯანთუმიძე. თუმცა საპირისპიროს ადასტურებს მათ მიერ გამოქვეყნებული ფოტოპირები, სადაც ნუსხა-ხუცურით და მხედრულით შესრულებულ მინაწერებში თვალნათლივ იკითხება „ჯანთუშისძე“ და „ჯანთუშიძე“.

გვარი ჯანთუშისძე // ჯანთუშიძე უნდა ენათესავებოდეს შავ-შეთში დადასტურებულ ოიკონიმ ხანთუშეთს, რომელიც გავრცელებული ეტიმოლოგიით, უსაფუძვლოდაა დაკავშირებული თუშეთთან, რადგან, ჩვენი აზრით, გვარსახელი ხანთუში(ს)ძე // ჯანთუ-

ში(ს)ძე და ოიკონიმი ხანთუშეთი [ჯანთუშეთი] მომდინარეობს ანთროპონიმ „ხანთუშისაგან“. სწორედ ამ ფორმით იხსენიება ეს ანთროპონიმი A-97 ხელნაწერის სულთა მატიანეში: „სულსა **ჯანთუში**, სულსა **იორდანეს** შეუნდნენ ღმერთმან“. ამა თუ იმ გვართან დაკავშირებული ოიკონიმის -ეთ სუფიქსით წარმოება კი გავრცელებული მოვლენაა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და კერძოდ, ტაოკლარჯეთში. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჯანთუშისძეთა // ჯანთუშიძეთა გვარის სამკვიდრებელი სწორედ შავშეთის ხანთუშეთი იყო და არ არის გამორიცხული, ამავე ანთროპონიმის უსუფიქსო ფორმას (ხანთა>ხანთ-უშ) უკავშირდებოდეს გვარსახელი ხანთაძე.

A-97 ხელნაწერის სულთა მატიანეში ჯანთუშისძეთა // ჯანთუშიძეთა გვარის რამდენიმე წარმომადგენელი იხსენიება: **კვირიკე, ოქრობერი, იოსები** და **გიორგი**. Jer. Geo. 49 (XI ს., ოთხთავი) და H-2338 (XVI ს., იერუსალიმური წარმომავლობის თვენი) ხელნაწერების მოსახსენებლებში იხსენიება მიძნაძორის წინამძღვარი **ზოსიმე ჯანთუშიძე**. იოსებ ხანთუშიძის ვრცელი საოჯახო მოსახსენებელია დაცული A-503 ხელნაწერში (XVI ს., რიგის სახარება-ოთხთავი).

## **ნინო ხახიაშვილი** (თბილისი)

### **ყურს- სიტყვის სემანტიკისათვის**

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **ყურსი** არის: „ძვ. 1. მკვრივი, კოშტი რამ (დ. ჩუბინ.). 2. ზოდი (დ. ჩუბინ.). შდრ. დაყურსვა<sup>1</sup>“ (ქეგლ VII, 1962). **დაყურსვა**<sup>1</sup> დახალასება, დაწმენდა (ვერცხლისა, ოქროსი). **დაყურსული**<sup>1</sup> დახალასებული, დაწმენდილი (ოქრო, ვერცხლი) (ქეგლ III, 1953).

დავით ჩუბინაშვილის განმარტებით: **ყურსი** (არაბ.) მკვრივი твердая масса; მეტალის ზოდი очищенное золото в элитках, металл; სიკლის წონა ან 18 გირვანქა და 22 მისხალი...(დ. ჩუბინ.).

ძველ ქართულში **ყურსი** არ დასტურდება.

სიტყვა **ყურსი** სულხან-საბასთან არ არის გამოტანილი ცალკე ლექსიკურ ერთეულად, მაგრამ იგი დასტურდება სხვა სიტყვათა

[ზოდი, შანთი, ფილი] განმარტებებში: „**ზოდი** (+ ესე A) არს ნადნობი ერთი გვამი ილეკროთაგანი ZA... არს ნადნობი ერთგვამოვნად: ვეცხლი, რკინა და მისთანანი Cb. [შდრ. უცხო შესატყვისობანში: **ზოდი** თურქ. **ყურსი** ZAaBC; სომხ. **ზოთ** CaqDE.] (სულხან-საბა).

ზოდის სინონიმებია: **ბენძლი, ყურსი**.

საბას განმარტებით: **ბენძლი** უმუშევარი **ილეკრო** ZAB; ნ. და-ბენძლა, დაბენძლილი... **დაბენძლა** ილეკროს მიწა და ქვა რა დაადნო და ბენძლად შექმნა ZA [**ილეკრო** ეწოდების ოქროსა, ვეცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა და ყოველსავე მისთანათა ერთბამად ZA... **ილიკტრიონი** ესე იგი არს ილეკროებთა ფერი ერთბამად ბრწყინვიდეს ZAB. **ილიკტრიონი** (1,4 ეზეკ.) ესრეთ ითქმის ოქროსფერი და ცეცხლისფერი, თანნარევად ბრწყინვალედ ჩნდეს... C. **ლიკტორი, ილექტრო** არს ოქროსა და ვეცხლის ფერი თანნარევად...] (სულხან-საბა); **ილეკრო, ილეკატრო** [ბერძნ.] ბრწყინვალე მეტალლი, რომელსაც შეადგენდნენ ძველნი 4/5 ნაწილისაგან ოქროსა და 1/5 ნაწილისაგან ვერცხლისა, ილექტრუ, ეზეკ. 1-5 (დ. ჩუბინ.).

**შანთი** (+ 41,10 იობ. ZAa) გაჭურვებული რკინა ZAB. ცეცხლით განჭურვებული Cb. **შანთი** ოქროსა და ვეცხლის შუშა ZA. ოქროვეცხლთ შუშა და ზოდი B... შ ა ნ თ ი ეწოდებიან გა[ნ]ცეცხლებულსა რკინასა და რადც[ა] მსგავსად მის[ს]ა განჭურდეს; რომელი განისროდეს ნაბერწყალსა (წინწკალთა Cq); კვალად შ ა ნ თ ი ოქროთა და ვერცხლთა ზოდთა და ეგვეითართა[თა] ეწოდების C... [უცხო შესატყვისობანში: **შანთი** თურქ. **ყურსი** E. სომხ. [დურს] E] ...

**ფილი** (უკმ.) სანთლის კვერეული D, **სანთლის ყურსი** E (სულხან-საბა).

სახელი **ყურსი** დასტურდება სამედიცინო ტერმინოლოგიაშიც: „ვარძიის კომპლექსში ყურადღებას იპყრობს მეექვსე სართულზე მდებარე აფთიაქი - „წამლის სახლი“... საინტერესოა ამ დროის სააფთიაქო ჭურჭლის მრავალფეროვნება... არსებობდა წამლის ფორმების ნაირსახეობაც: **აბი**, ფხვნილები, სალბუნი (მალამო), **ყურსი (ტაბლეტი)**, მაჯუნი (სხვადასხვა სახის ნარევი რთული წამლის ფორმა), თრიაყი (ანტიდოტი მოწამვლის დროს)... (ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი, ვარძიის აფთიაქის აღწერილობა, მარი

მელიქიშვილი, წამლის პირველი სასახლეები საქართველოში).<sup>4</sup>

**ყურსი** ასევე დასტურდება ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობაში, ამჯერად როგორც ტოპონიმი: „გელათს ზევით წყალწითელას მოერთვის, **ყურსებს**, საწირის წყალი. ეს გამოსდის ნაქერალას მთას და მოდის ჩრდილოთ-აღმოსავლეთს შუა... ამას ზევით, ამავე წყალზედ, საწირეს არს ციხე. ამის გარემოს ითხრების რკინა და ლითონი მრავლად. **ყურსებს** ზევით ეყრების წყალწითელას ახალდაბის ჴევი... კუალად **ყურსებსვე** მოერთვის წყალწითელას ოჯოლას ჴევი, ჩრდილოთ-დასავლეთს შუადამ. ამის სათავის ზევით არს ჯუარისა ციხე...” (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გელათისათვის). დღეს ვახუშტის მიერ მოხსენიებული **ყურსები** ფონეტიკურად სახეცვლილია: **ყურსები** > **კურსები**. **ყურსები** ადგილს იქ არსებული მადნეულის გამო უნდა შერქმეოდა? [შდრ.: სოფ. **ზოდი**, ჭიათურის პლატოზე [ასევე, იმერეთში]; **მადნეული**, **წედისი**, **სარკინე**, **სარკინეთი**, **ქვა-წითელი**; **შავი ქვა...**].

სიტყვა **ყურსი** სულხან-საბას მიხედვით - თურქული, ხოლო დავით ჩუბინაშვილის მითითებით არაბული წარმოშობისაა. საყურადღებოა, რომ ქართულ დიალექტებში დასტურდება ომონიმური ფუძე „გაჩუმება, დადუმება, განაზვისა“ და „ძალზედ დატვირთვა, დახუნძვლის“ სემანტიკით:

**დაყურსვა**<sup>2</sup> გაჩუმება, დადუმება. **დაყურსული**<sup>2</sup> გაჩუმებული, დადუმებული. **დაყურსული**<sup>3</sup> 1. რაც დაიყურსა, – დახუნძვლილი, ძალიან მოსხმული, ერთობ დატვირთული (უფრო-კი იტყვიან ხეხილის შტოზე, რომელსაც იმდენი ხილი გამოსხმია, რომ იზნიქება) (ი. ჭყ.). 2. კუთხ. (ქართლ.) გასუქებული, ხორცით სავსე... **დაყურსდება** კუთხ. (ფშ. ქართლ.) დადუმდება, დაყრუვდება. მომეტებული ნაწილი ფრინველებისა თბილი ქვეყნების გზას გაუდგა და ტყე და მინდორი დაყურსდა (თ. რაზიკ.). **დაყურსებული** კუთხ. (ფშ.) იხ. დაყურსული<sup>2</sup>. ზაფხულის მოახლოებას ყველაზე უწინ ეგ [= მხეწვია] იგებს და დაყურსებულ ჩიტებს გულს უნავარდებს (თ. რაზიკ.) (ქეგლ III, 1953).

**დაყურსვა** (გურ.) ძალზე დატვირთვა; **დაყურსული** (გურ., იმერ., ლეჩხ.) ნაყოფით ძალზე დატვირთული ტოტი (ალ. ღლ.); და-

---

<sup>4</sup> შდრ.: **აბი** [არაბ. ჰაბბ „მარცვალი“, „თესლი“, „აბი“] პატარა ბურთულეზად გაკეთებული დაგუნდავებული წამალი საყლაპავად...; **ტახლეტი** [ფრანგ. **ტახლეტე**] ფხვიერი წამლის დაწნეხილი პატარა მრგვალი კვერი.

მძიმებული, დაწმენდილი (მ. ჩიქ.); **დაყურსვა** (ფშ., ქართლ.) დადუმება, განაბვა. **დაყურსული** (ფშ.) განაბული, გარინდული (ივ. ქეშიკ., გ. გოგატ.) (გ. გოგატ. 2006).

**ყურს-** ძირი გვხვდება აგრეთვე **გა-** ზმნისწინიანი ფორმებითაც:

**გაიყურსება** ხმას არ გაიღებს, გაყურდება, გაინაბება, გაილურსება... **გაყურსვა** სახელი გაიყურსება ზმნის მოქმედებისა, – გაჩუმება, გალურსვა... **გაყურსული** ვინც, რაც გაიყურსა, – გაჩუმებული, გალურსული... **გაყურსულ-განაბული** გაყურებული, გატრუნული... (ქეგლ II, 2010).

მსგავსი მნიშვნელობებით **ყურს-ი** მეგრულშიც დასტურდება: მეგრ. **ყურსუა** იხ. **სურსუა** – 1. გაჩუმება; 2. დაწმენდა...

**სურსილ-ი** მიმღ. ვნებ. წარს. **იყურსუ(ნ)** ზმნისა – 1. გაჩუმებული, განაბული, გალურსული. 2. დახუნძლული (ნაყოფით).

**სურსუა** სახელი **იყურსუ(ნ)** ზმნისა – 1. გაჩუმება, წყნარად ყოფნა; განაბვა, გალურსვა. 2. დახუნძვლა (ნაყოფით)... **იყურსუ(ნ)** (გიყურსუ გაინაბა; გოყურსე<sup>ლ</sup> (ნ) განაბული). გრდუვ. ვნებ. ინაბება, ილურსება, ჩუმდება; იხუნძლება ნაყოფით.

**სურშუა** სახელი **სურშუნს** ზმნისა – 1. ბევრის დაღევა. 2. დაბუდება [ფრინველისა]... **სურჩუა** იგივეა, რაც **სურჩუა**, **სურშუა** – სახელი **იყურჩუ(ნ)** ზმნისა – ყურება, ყუჟვა, ბუდება...

**ყურშუა** იგივეა, რაც **სურჩუა**, – ყუჟვა, ყურვა; ყურება; (ქათმის) დაბუდება.

**ყურწუა** იგივეა, რაც **სურწუა**, – სახელი **ყურწუნს**, **იყურწუ(ნ)** ზმნათა – 1. ბევრი ნაყოფის სხმა, დახუნძვლა. 2. ერთბაშად, ხარბად სმა, – ყლურწვა...

**ყურჭუა** სახელი **ყურჭუნს** ზმნისა – ყლურჭვა... (ო. ქაჯ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, 3, 2002).

3. ფეინრიხ - ზ. სარჯველაძის ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში **ყურს-** ძირთან დაკავშირებით შემდეგს ვკითხულობთ:

**ყურს-**

ქართ. **ყურს-** **ყურ-**ს-ვ-ა "გაჩუმება"

მეგრ. **სურს-** **სურს-**უ-ა "გაჩუმება; წყნარად ყოფნა"; ი-**სურს-**ან-ც "ჩუმდება"; გო-**სურს-**ილ-ი "გაჩუმებული"...

**ყურსვა** დასტურდება ქართული ენის ქართლურსა და ფშაურ

დიალექტებში.

ქართულ **ყურს**- ძირს შეესატყვისება მეგრული **ცურს**-. მასალა 3. ფეინრიხმა შეაპირისპირა [Fähnrich 1984,44]

**\*ყურს-**

ქართ. **ყურს- ყურ**-ს-გ-ა "სითხეში ჩაწობა"

მეგრ. **ცურშ- ცურშ**-უ-ა "ბევრის დაღვევა"

ქართული **ყურს**- (<**\*ყურს-**) ძირს კანონზომიერად შეესატყვი- სება მეგრული **ცურშ**- .

სემანტიკური სხვაობა, რაც შეინიშნება ქართულ და მეგრულ ფორმებს შორის, არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი ამ დაკავშირები- სათვის.

მასალა 3. ფეინრიხმა შეაპირისპირა [Fähnrich 1984,44] (3. ფეინ- რიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსი- კონი, 2008).

სემანტიკურად, სავარაუდოდ, **ყურს-** ძირიდან ნაწარმოები ლექსიკური მნიშვნელობები ასე შეიძლება გაიმიჯნოს:

1. **ყურსი** ბენძლი, ზოდი, **დაყურსული** დახალასებული, და- წმენდილი (ოქრო, ვერცხლი...), **დაყურსვა** დახალასება, დაწმენდა (ვერცხლისა, ოქროსი...) > დნობა;

2. **დაყურსვა**, **გაყურსვა** გაჩუმება, გალურსვა, გარინდება, განაბვა... > დაბუდება; **დაყურსული** გაჩუმებული, გალურსული, გა- ტრუნული, გარინდული, განაბული... > დაბუდებული;

3. **დაყურსვა** ძალზე დატვირთვა; დახუნძვლა > ხორცის შესხ- მა...

4. **დაყურსვა** სითხეში ჩაწობა; ბევრის დაღვევა...

## **მ ზ ი ა ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი** (ბათუმი)

### **ქობულეთური მეტყველების ზოგი ფონეტიკური თავისებურება**

აჭარული დიალექტის კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული კილოს კილოკაური დი- ფერენციაციის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია. ქობულე-

თურს მკვლევართა ერთი ნაწილი თქმად მიიჩნევს, მეორენი – კილოკავად. მიუხედავად ტრადიციული კვალიფიკაციისა, არაერთი ენობრივი მოვლენა ახლებურ ანალიზს მოითხოვს და შესაბამისად ზოგიერთი შეხედულება – გადაფასებას. ამის საშუალებას იძლევა როგორც უკვე არსებული, ისე ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლებთან ჩაწერილი კონსერვირებული ემპირიული ენობრივი მასალა.

მოხსენებაში ქობულეთურის ფონეტიკურ თავისებურებებზე ვისაუბრებთ აჭარულის სხვა კილოკავებთან მიმართებით

აჭარულისათვის ნიშანდობლივია დაკარგული სონანტის (უპირატესად რ-ს) საკომპენსაციოდ ხმოვნის დავრძელება (წ ვიცი; ), რაც უცხოა ქობულეთურისათვის.

აჭარულში თანხმოვანთგასაყარად ხმოვანი დასტურდება: **ქი-ბილი, კიბილი, ხობო**, რაც ქობულეთურში არ გვხვდება.

ქობულეთურისათვის თვალში საცემია **ო→უ** ასიმილაცია მ სონანტის გავლენით, რაც უცხოა აჭარულისათვის: **რუმ, ხუმ, ყდუმა**.

**ს** სპირანტის დაკარგვის ტენდენცია მეტად თვალში საცემია აჭარულისათვის, რაც არ გვხვდება ქობულეთურში. აჭარულში **ს** გადადის **ჰ**-ში: **ჰად, ჰადმე, ჰაცხა**. იმავე შემთხვევებში ქობულეთურში მხოლოდ **ს** სპირანტი დასტურდება. თუმცა ქობულეთურში გვაქვს **ჰ-ხ** (**ჰაერი-ხაერი, ჰამან-ხამან (თურქ. ზუსტად)**), რასაც ვერ ვხვდებით აჭარულში.

ქობულეთურში გურულის ანალოგიით დასტურდება რიგი ფონეტიკური მოვლენა.

აჭარულში თურქულის გავლენით დასტურდება გემინატები (**ქელლა - თავი**), რაც ქობულეთურში არ გვხვდება.

ქობულეთურში გურულის ანალოგიით მკვეთრად გამოხატულია **სჰ-შჰ** ასიმილაციის პროცესი, რაც აჭარულში უიშვიათესია: **მო-შჰრა, შჰირს**.

აჭარულშიც და ქობულეთურშიც დასტურდება მსგავსი ფონეტიკური პროცესები: დისიმილაცია (**თხიები, ხპიები შდრ. აჭ. ხობიები**); ბგერის დაკარგვა (**მოყრობა, გააგზანა**); ბგერის ჩართვა (**კამბეჩი, უმფროსი**).



დასახელებული თავისებურებანი და ასევე შემდგომი კვლევა დივერგენციული პროცესების შეფასებისა და გამოკვეთის შესაძლებლობას მოგვცემს, რომლებიც ქობულეთურში ზოგადად აშკარაა.

## **ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი** (თბილისი)

### **ბოკ-ლექსიკური ძირისათვის მცენარეთა ქართველურ სახელებში**

1. მცენარეთა მთელ რიგ სახელებში დადასტურებული ლექსიკური ძირები უძველესი წარმოშობისა და სემანტიკისაა. გამოყოფდით ფიტონიმებს, რომლებშიც გამოცალკევდება **ბოკ-** ძირი. ესენია: ა) **გოგრის ჯიშ-სახეობათა** აღნიშვნელი „მრავალრიგნი“ (საბა) სახელების ერთი წყება: **ბოკერა** გოგრა (ოფიც.); **ბოკერა** (იმერ. ლეჩხ.); **ბოკორა**, **ბობოკა/ე-მ**, **ხეკერა** კვახი (იმერ.); **ხაკარა** გოგრა (კახ.); **ბოკორა** (ლეჩხ., მეგრ.); **ბოკორია** კოპეშა, **ბოკო** (მეგრ.). ეს არის ე.წ. „მაგარკანიანი გოგრა“ (*Cucurbita pepo*), რომელიც გოგრის ჯიშ-სახეობათა შორის ყველაზე ძველი ისტორიისა და გავრცელებისაა საქართველოში.

ბ) **რამდენიმე ბალახოვანი მცენარის** სახელი: **ობოკუა**, **ობაკუა/ე** - იმერ. (= ოროვანდი, *Arktium*); **სახოკია** - მეგრ. (=მაღლის ენა, *Cynoglossum*); **ბოკანა**, **ბოკის ბალახი**, **ღორიბოკა** - იმერ. (=ღებმა, *Datura stramonium*); **გახოკია** - მეგრ. (=ცხენისკუდა, *Erigeron canadensis L.*).

2. ქართველური ენების ქვესისტემებში **ბოკ-** ძირის არაერთი ლექსიკური ერთეული დასტურდება საკმაოდ მრავალფეროვანი სუფიქსებითა და მნიშვნელობებით. ეს შეიძლება იყოს:

*შინაურ ცხოველთა და ფრინველთა დაავადების სახელები*: **ბოკი (ღოკი)**, **ბოკირი**, **ბოკო**, **ბოკინება**, (საბა, დ. ჩუბ., ნ. ჩუბ., ქეგლი, მოხ., მთ., ზმ. იმერ., თუშ.); *სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი (დამზადებული ხის ან გოგრის ქერქისაგან)*: **ბოკერი (ღოკერი)** (საბა, ქეგლი, გუდ., მთიულ., ფშ., ხეგს., თუშ., იმერხ., ზმ. აჭ., ლაზ.); **ბოკრი** (ქართლ.); **ბოკერაი** (მოხ.); **ბოკი**, **ბოკო** (მეგრ.), **ბოკორა**, **ბოკორამ**, **ბოკორა** (სვან.); *ფუტკრის სკა, კარადა*: **ბოკერი** (მთიულ.);

*თავის ქალა*: **ბოკერი**, **ბოკერა** (ქეგლი, ზმ. აჭ., იმერ), **ბოკო**, **ბოკორია** (მეგრ.); *საფარი, გარსი (ბაკანი, ფუფხი, კვახის ქერქი, ნიყარა)*: **ბოკი**, **ბობოკ-**

**ვერა** (ქეგლი), **ხოზოკური** (ზმ. იმერ.), **ხოკო** (მეგრ.); *ზოგიერთი ცოცხალი არსების სახელი: გველხოვერა* (ქეგლი); **ხოკურა** (მეგრ), **ხოვერა** (ქართლ.) - გველხოვერა, ანვარა, ძლოკვი; **ხოკია** (იმერ.) აბანოს ჭია (ტრაკანა) (ქეგლი); *ადამიანის ან პირუტყვის სიბერის, სიგამხდრის, უძლეურობის აღმნიშვნელი სახელი: ხუკი* (ლევხ.), **ხუნკი** (მეგრ.), **ხუნკუტ** (სვან.) „საპყარი, დავრდომილი, უმწეო“; **ხოვერაი** (იმერხ.) „ძალიან სუსტი, მჭლე ადამიანის მეტსახელი“, **ხოკნიჭი** (ლაზ.) „მეტად ბებერი“, **ხოკი** (ჯავახ.) „ბებერი კამეჩი“; *სხვადასხვა მნიშვნელობა: კავიანი ჯოხი - ხოკა* (მეგრ.); მწირი, ხრიოკი, მოუსავლიანი მიწა - **ხოვერი** (ზმ. აჭ.); *გამომშრალი, გაფშვილი, კანმაგარი - ხოკორია, ხევერია* (მეგრ.); *ხოტორა - ხოკორია, დუდხოკორა* (მეგრ.); *ღვინით გაუმადლარი - ხოკი* (ქართლ.); *დაბალი და სქელი - ხოვერა* (ხევს., მოხ.).

**ხოკ-** ძირი დასტურდება ზმნურ ფორმებშიც: **ხოკა** - პირისახის გლეჯა (საბა); **დაიხოკავს** დაიკაწრავს, დაიფხაჭნის (ქეგლი); **ხოკუა** (მეგრ.) პარსვა, დახოკვა; **ხოკრდების** (ხევს.)-სივდება; **ხოკიალი** (გურ.) მაგარი საგნის თრევა.

3. იკვეთება **ხოკ-** ძირის შემცველ სახელთა ურთიერთგადმკვეთი მნიშვნელობა, რომელიც გვავარაუდებინებს ამ ძირის თავდაპირველ სემანტიკას. ეს უნდა იყოს: „ქერქი“ (შდრ.: ნ. ჩუბ., დ. ჩუბ.), შესაბამისად, **ხოკ-** ზმნური ძირის სემანტიკა უნდა გულისხმობდეს „გარსად ქცევის, გამოქერქვის, გულის ქერქისაგან გამოცალკეების, გატყავების პროცესს“ (რაც ადამიანის საქმიანობის უძველეს ეტაპს წარმოადგენს).

4. „გარსის“, „ქერქის“ სემანტიკასთან ერთად **ხოკ-** ძირისაგან წარმოქმნილი სახელები, რომელნიც ცხოველთა და ფრინველთა სწულელებს აღნიშნავს (ძირითადად კანის, ან სიმსივნური დაავადებები), გულისხმობს „სიმკვრივის“, „სილუხემის“ სემანტიკასაც. იგივე ჩანს სხვა სახელებშიც, რომელთა მნიშვნელობებია: „ბებერი“, „მჭლე“, „ხრიოკი“, „მწირი“ და მასდარულ ფორმაში **ხოკიალი** (გურ.) – „თრევა მაგარი საგნისა“. „გარსის“ სემანტიკაა ამოსავალი გოგრის ნაყოფისა და თავის ქალის აღმნიშვნელ სახელებში, ხოლო ზოგიერთი სახელი გვხვდება გადატანითი მნიშვნელობით, შდრ.: **ხოკი** „მრგვალი ჭურჭელი“ > **ხოკი** „ღვინით გაუმადლარი კაცი“; **ხოვერი** „მატყლის შესანახი მრგვალი ჭურჭელი“ > **ხოვერი** „დაბალი, ჩამრგვალებული კაცი“ ( „ხოვერივით ჩამრგვალებული“ - ქეგლი); ასევე, ნასახელარი ზმნა **ხოკრდების** „სივდება, იბერება, ხოკერს ემსგავსება“.

5. „ხოვერა გოგრის“ გაკულტურებისას მისი სახელდება უნდა მომხდარიყო **ნაყოფის** გამორჩეულ ნიშან-თვისებათა მიხედვით, როგორცია:

**სიმკვრივე-სიმაგრე** („კვაზი“, „კუახნესგ“); სიმრგვალე („გოგრა“, „გუგრა“) **სქელგარსოვანება** („ხოკო“, „ხოკერა“...); **ღრმულოვან ჭურჭლად გამოყენება** („ხაპი“, „ხაპერა“, „კოპეშია“). თითოეული სახელი ზუსტად გამოხატავს მცენარის ნაყოფის რომელიმე ნიშანს, ყველა ერთად კი ზედმიწევნით ახასიათებს ამ ნაყოფს.

6. ბალახოვან მცენარეთა სახელებისათვის (**ობოკუა, სახოკია, ხოკანა, ხოკის ბალახი, გახოკია**) ამოსავალია ამ მცენარეთა ხალხურ მედიცინაში გამოყენება შინაურ ცხოველთა ერთგვარი დაავადების (**ხოკი/ლოკი**) სამკურნალოდ.

## **ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა მ ე** (თბილისი)

### **ინტერნეტენა**

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ”ქალაქში იქმნება ენობრივი კონგლომერატი სხვადასხვა დიალექტური მეტყველებისა, უხვად შეზავებული უცხოენოვანი ელემენტებით. ეს ენობრივი კონგლომერატი თანდათანობით იწმინდება, მკვეთრი სხვაობანი ნიველირდება, მსგავსება წინ წამოიწევა, წარმოიქმნება ახალი ერთიანობა, თავისებური ნაირსახეობა ძირითადი ენობრივი სისტემისა... **ასე წარმოქმნილი ქალაქური მეტყველება კილოურ ნაირსახეობას იძლევა უკვე სოციალური ფენების მიხედვით**” (ბ. ჯორბენამე).

კონკრეტულად თბილისური სასაუბრო მეტყველების ნათლად დოკუმენტირებულ სურათს ინტერნეტმასალა გვაძლევს; მეტიც – სხვადასხვა ვებგვერდზე დაფიქსირებული ენობრივი მოცემულობა (**პირობითად მას „ინტერნეტენა“ შეიძლება ვუწოდოთ**) ცალკეულ ერთეულად ჩამოყალიბების მკვეთრ ტენდენციას იჩენს.

აღნიშნული მეტყველების მთავარ მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ **დიალექტური ლექსიკისა** და, ზოგ შემთხვევაში, ასევე, **მორფოლოგიურ-სინტაქსური შემთხვევების** სიჭარბე; შეინიშნება **უცხო ენათა ლექსიკიდან** შემოსული ერთეულების სიმრავლეც; მისთვის ასევე დამახასიათებელია **საკუთარი სინტაქსურ-სტილისტიკური** წარმოებაც.

ზოგადად, **ინტერნეტენა** მსგავსებას ავლენს როგორც **სასაუბრო მეტყველებასთან**, ისე – **პუბლიცისტიკის ენასთან**, თუმცა ბოლომდე არცერთს არ ემთხვევა. აღსანიშნავია უკუშედეგიც – თავის მხრივ **პუბლიცისტიკისა**, და მეტიც, ზოგადად **მედიის ენა** ინტერნეტენის გავლენით უფრო სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოებული ხდება და ასევე მასში უკონტროლოდ მკვიდრდება დიალექტიზმები, ბარბარიზმები, ჟარგონიზმები...

## **მარინა ჯღარკავა** (თბილისი)

### **ზანურის სემანტიკური თანხვედრები ძველ ქართულთან**

ლაზურსა და მეგრულში არის ლექსიკური ერთეულები, რომელთა მნიშვნელობის ცვლა დროსა და სივრცეში ძველი ქართულის ვითარებას ასახავს. მართალია, ხშირად ამ სიტყვების წარმომავლობა არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მათი სემანტიკური თანხვედრები აშკარაა.

მაგ., ცნობილია, რომ ძველ ქართულში **თამაში** და **მღერა** ზოგჯერ სრულად ან ნიუანსურად განსხვავებული, ზოგჯერ კი ერთნაირი მნიშვნელობით გამოიყენებოდა.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოცემულია განმარტება: **მღერა**, უძველესი ქართული ხალხური ტერმინი, ადრინდელი მნიშვნელობით – თამაშობა, XII საუკუნიდან სიმღერაც. ამ ტერმინის ადრინდელი მნიშვნელობა შემდგომში მივიწყებას მიეცა, თუმცა XVII-XVIII საუკუნეებში მხატვრულ ლიტერატურაში მაინც ვხვდებით მას ძველი მნიშვნელობით. მაგ., არჩილთან.

მეგრულსა და ლაზურშიც მღერა-ცეკვა-თამაშის აღმნიშვნელი სიტყვების სემანტიკა ცვალებადია. მაგ., არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში“ მოცემული აქვს **ბირ-** ძირი, რომლის მნიშვნელობა ჭანურსა და მეგრულში ერთია – სიმღერა. მეცნიერმა გამოთქვა ვარაუდი: „როგორც ქართულში „მღერა“ თამაშს

ნიშნავდა, ისე ჭანურში **ო-ბირ**-უ თამაშის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. მეგრულში დაცულია **ო-ბირ**-ემ-ი, ადგილი, სადაც ცეკვა-თამაში იმართება (ყიფშიძე); მისი პირვანდელი მნიშვნელობა „სათამაშო“, „საცეკვაო“ უნდა ყოფილიყო“. (შემდგომში ამ ძირის სვანური ექვივალენტი გამოავლინა გ. კლიმოვმა, ქართული კი – ჰ. ფენრიხმა).

მეგრულში **ბირა** დღეს მხოლოდ სიმღერას ნიშნავს, ლაზურის ზოგ კილოკავში – თამაშს (მაგ., ათინურში), ზოგში კი – სიმღერას.

ლაზურში ნასესხები ზმნა **ისტერს/ისტერს/ისტორს** „თამაშობს“ ზოგჯერ ცეკვის, ან დაკვრის მნიშვნელობით გვხვდება, რაც ძველი ვითარების ფსიქოსემანტიკური გავლენის შედეგი უნდა იყოს.